პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№290 (12661) 10 დეკემბერი ოთხშაბათი 2008 ფასი 50 თეთრი

## მაინც, ბრავო, თემურ!

კვიპროსს ეს არც დაესიზმრებოდა

მერვედფინალში



- რომა
- ჩელსი
- პანათინაიკოსი
- ინტერი
- ბარსელონა
- სპორტინგი
- ლივერპული
- ატლეტიკო

» 15

## არველაძე დამტკიცებულია

შეგრტი გაუშვეს და... დატოვეს

**ოფიციალური შეთავაზება ცხადაძეს**

ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა » 2

uefa.com

## ქეცბაია შეიძლება წლის მწვრთნელად აღიარონ

» 3



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

## თანამედროვე ფეხბურთს ასე არ თამაშობენ!

გაჩერებული მოთამაშე ბურთს ვერ მიიღებს, იმოძრავეთ!

რეპორტაჟი საბურამოდან » 2

## შუსტერი მაინც მოხსნეს



რეალის ახალი მწვრთნელი ხუანდე რამოსია



მადრიდული ამბები » 8

ალმასკომი


რევაზ არველაძე


პეტარ შეგრტი

# გენმდივნად არველაძე დამტკიცდა

## შეგრტი ნაკრებიდან გაუშვეს, მაგრამ არა საქართველოდან

გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ალმასკომის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგში სულ სამი საკითხი იყო შეტანილი, რომელთაგან ორს გადაწყვეტა სჭირდებოდა, ერთს კი განხილვა. ალმასკომს 9 წევრი დაესწრო. სხდომაზე არ მობრძანებულან ხელისუფლების წარმომადგენლები - **გიორგი გაბაშვილი** და **კობა სუბელიანი**. ქვეყანაში ახლა მნიშვნელოვანი საკადრო გადაადგილებებია და ეტყობა, არ ეცალათ...

ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივნად, როგორც მოსალოდნელი იყო, **რევაზ არველაძე** დამტკიცდა. გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს. არველაძე მანამდე ფედერაციის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი იყო. ახლა ამ თანამდებობაზე გადავა **უჩა უგულავა**, რომელიც ფედერაციის გენმდივანი გახლდათ არველაძემდე. მოკლედ, თავისებური როქი გაკეთდა.

არველაძემ პროფესიონალი ფეხბურთელის კარიერა სსრკ-ს ჩემპიონატის მეორე ლიგაში დაიწყო. ჯერ რუსთავის „მეტალურგის" (1988) ფეხბურთელი იყო. ნათამაშები აქვს საბჭოთა კავშირის დუბლიორთა პირველობაზეც. მაშინ ის უკვე თბილისის „დინამოში" იყო. 1994 წელს „დინამოდან" ბუნდესლიგის ერთ-ერთ ყველაზე ტრადიციულ კლუბში გადავიდა - „კიოლნში" ნახევარი სეზონი დაჰყო და ერთი გოლიც გაიტანა. სხვათა შორის, ქართველთაგან პირველი ბუნდესლიგური გოლის ავტორი სწორედ რევაზ არველაძე გახლავთ. „კიოლნის" მერე ის „დინამოში" დაბრუნდა, მერე იყო მეორე ბუნდესლიგის „ჰომბურგი" და „ობერჰაუზენი", ბელგიური „მეხელენი", კარიერა კი 2000 წელს „დინამოში" დაასრულა. იყო „დინამოს", „ლოკომოტივისა" და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი. საფეხბურთო მოხელის პირველი სერიოზული გამოცდილებაც „დინამოში" მიიღო, სადაც 2000-01 წლებში კლუბის პრეზიდენტი გახლდათ, 2005 წლიდან გუშინდლამდე კი ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტიც იყო...

ალმასკომზე გატანილი მეორე საკითხი ახალგაზრდულ ნაკრებს შეეხებოდა, უშუალოდ კი მის მთავარ მწვრთნელს. ხორვატი **პეტარ შეგრტი** ჩვენს 21-წლამდელებს აღარ გაწვრთნის - ასეთია ალმასკომის განაჩენი. ფედერაციაში ამ საკითხზე არ იყო ერთი აზრი, შეგრტს ბოლომდე ჰქონდა ფედერაციის პრეზიდენტ **ნოდარ ახალკაცის** მფარველობის იმედი და, ალბათ, ამიტომაც ჯანჯალდებოდა მისი დათხოვნა. შეგრტი ორი მატჩით საქართველოს ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელიც კი გახლდათ. ესტონეთსა (1:1) და პორტუგალიასთან (0:2) ამხანაგური შეხვედრების შემდეგ მას ამ პოსტზე დარჩენის ამბიცია გაუჩნდა. შეგრტზე ნაკრების წამყვანმა ფეხბურთელებმაც კი თქვეს - კარგი მწვრთნელიაო. ხორვატს მართლა შესძლებია, იყოს მიმზიდველი პერსონა, აგვისტოს ომის დროს, უმეტესი უცხოელების დარად, საქართველო არ დაუტოვებია, მაგრამ მაინც მოუწია ახალგაზრდული ნაკრებიდან წასვლამ - ალმასკომზე მისი დამცველი არავინ ყოფილა.

მიუხედავად ამისა, შეგრტს თავისუფლად შეუძლია, კიდევ ერთი წლით დარჩეს საქართველოში და იმუშაოს ფეხბურთის ფედერაციაში. საქმე ისაა, რომ ხორვატი ფედერაციის ტექნიკური დირექტორია და ამ თანამდებობაზე კონტრაქტი ერთი წლის შემდეგ უმთავრდება. მოკლედ, „ქართული ფეხბურთის სახლი" ამ კაცს ასე ადვილად ვერ მოიცილებს. შესაძლოა, გერმანიაში წავიდეს და იქ გააგრძელოს მწვრთნელობაო, - გვითხრეს ფედერაციაში, თუმცა ეს უკვე მხოლოდ შეგრტის გადასაწყვეტია.

რაც შეეხება ახალგაზრდული ნაკრების მომავალ თავკაცს, ალმასკომი მას წლის ბოლოს ან იანვარში დაამტკიცებს, როცა კიდევ ერთხელ შეიკრიბება. ალმასკომმა განიხილა **მამუკა კვარაცხელიას** წინადადებაც, რომელიც ფედერაციის ერთ-ერთმა ყველაზე მწვავე ოპონენტმა ალმასკომს წერილობით მიაწოდა. კვარაცხელია ფედერაციას უკიჟინებს - სასკოლო ასაკის ფეხბურთელები უფასოდ უნდა ესწრებოდნენ ეროვნული ჩემპიონატის და თასის გათამაშების მატჩებსო. ამასთან დაკავშირებით ფედერაციასა და პროფლიგას აქვთ საკუთარი მოსაზრება, რომელიც სწორედ იმას ითვალისწინებს, რომ მოზარდები ჩემპიონატისა და თასის გათამაშების მატჩებზე მიიყვანონ. ალმასკომის დადგენილებით, ამ საკითხზე პროფლიგა იმუშავებს...

**დავით თავართქილაძე**

ეროვნული ნაკრები | სამშაბათობა

# ასე თანამედროვე ფეხბურთს არ თამაშობენ!

## კუპერმა ტაქტიკა ემოციურად ახსნა: გაჩერებული მოთამაშე ბურთს ვერ მიიღებს, იმოძრავეთ!


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

**ექტორ კუპერმა** გუშინ მორიგი „სამშაბათობა" გამართა. ვარჯიში საგურამოში, თბილისის „ლოკომოტივისა" და ეროვნული ნაკრების ტექნიკურ ცენტრში ჩატარდა. შეგახსენებთ იმ ფეხბურთელთა ვინაობას, რომლებიც კუპერმა გუშინდელი წვრთნისთვის გამოიძახა:

მეკარეები - **გიორგი ლომაია** (ლოკომოტივი), **როინ კვასხვაძე** (ზესტაფონი), **ზურაბ მამალაძე** (მგლები);

მცველები - **დავით გიგაური** (გაგრა), **უჩა ლობჟანიძე** (ზესტაფონი), **გურამ კაშია** (დინამო), **ალექსანდრე კვახაძე** (ვიტ ჯორჯია);

ნახევარმცველები - **ლევან ხმალაძე**, **დავით ოდიკაძე** (ორივე დინამო), **ლუკა რაზმაძე**, **ირაკლი კლიმიაშვილი** (ორივე ვიტ ჯორჯია), **გიორგი სეთურიძე** (ოლიმპი), **მურთაზ დაუშვილი** (ზესტაფონი), **ზაზა ჭელიძე** (სიონი);

თავდამსხმელები - **დავით სირაძე** (უგუნდოდ), **მათე ვაწაძე** (დინამო), **გიორგი გაბედავა** (გაგრა).

როგორც ხედავთ, კუპერი კვლავ თბილისის „დინამოს", „ლოკომოტივის", „ვიტ ჯორჯიის", „გაგრისა" და „ზესტაფონის" ფეხბურთელებს დაეყრდნო. პირველად გამოჩნდა მოთამაშე ზუგდიდის „მგლებიდან". საინტერესოა, რომ კუპერი „სამშაბათობებზე" სისტემატურად იწვევს „გაგრის" მცველ **დავით გიგაურს**. მის თანაგუნდელ **გიორგი გაბედავას** კი, ისევე როგორც დინამოელ **მათე ვაწაძეს**, ბოლოდროინდელი კარგი თამაში დაუფასდათ.

არ გამართლდა ვარაუდი, თითქოს არგენტინელი უცხოეთში მოთამაშე ქართველების მიწვევას აპირებდა - ლეგიონერებიდან მხოლოდ **დავით სირაძემ** ივარჯიშა. კუპერი უცნობ ლეგიონერებზე დაკვირვებას მომავალში აპირებს. ის სლოვაკური „ნიტრის" თავდამსხმელ **ირაკლი ლილუაშვილით** დაინტერესდა. ნაკრების თავკაცმა 23 წლის ფორვარდის თამაშების ამსახველი ვიდეომასალა მოითხოვა. ეს თავად ფეხბურთელმა გვითხრა - სლოვაკებს ვთხოვე და ჩანაწერს მალე გამომიგზავნიანო. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ლილუაშვილს ხვალ-ზეგ ნაკრებში აუცილებლად მიიწვევენ.

ვარჯიში, რომელიც 15 საათზე დაიწყო, დინამოელმა **გიორგი მერებაშვილმა** და ზესტაფონელმა **ბექა გოცირიძემ** გამოტოვეს. ისინი ტრავმირებულები არიან. კუპერის გეზი უცვლელია - მან მესამე „სამშაბათობაც" ტაქტიკურ ვარჯიშებს დაუთმო. გუშინდელი შეკრებიდან დასამახსოვრებელ ეპიზოდებზე გავამახვილებთ ყურადღებას. პირველი ვარჯიში ბურთის დაჭერასა და კონტროლს ითვალისწინებდა. მერე ორად გაყოფილი ჯგუფი ორი შეხებით ცდილობდა ბურთის შენარჩუნებას. ამას მოჰყვა ანალოგიური ვარჯიში, ოღონდ, განსხვავება ის იყო, რომ ამჯერად ფეხბურთელებს მხოლოდ დაბალი გადაცემების უფლება ჰქონდათ. ბოლოს დრო კი დაცვიდან შეტევის ორგანიზებასა და დამუშავებას დაეთმო.

მართალია, მოთამაშეთა ნაწილს კუპერი დიდი ხანია იცნობს და მათთან სამი „სამშაბათობის" გარდა, ეროვნულ ნაკრებშიც უმუშავია, მაგრამ მაინც დასჭირდა ელემენტარული დეტალების გამეორება, თანაც ხმამაღლა და მისთვის დამახასიათებელი ემოციურობით. მაგალითად, ასეთი:

- დღევანდელ ფეხბურთში, გაჩერებული მოთამაშე ბურთს ვერ მიიღებს, იმოძრავეთ!

ვარჯიშს რამდენიმე მწვრთნელი ესწრებოდა. მათ შთაბეჭდილების გაზიარება ვთხოვეთ.



### ზაზა ზამთარაძე,

*ლოკომოტივის მწვრთნელი*

- კუპერი ტაქტიკური ვარჯიშებით ცდილობს ფეხბურთელებამდე თავისი ჩანაფიქრის მიტანას. რა თქმა უნდა, კარგია, რომ ასეთი ვარჯიშები ტარდება. ჩემი აზრით, ნაკრების კანდიდატებს ყოველ სამშაბათსაც არ აწყენდათ მსგავსი შეკრებები.

**- ნუთუ კლუბებში ფეხბურთელებთან ტაქტიკურ ვარჯიშებს არ ატარებთ?**

- რა თქმა უნდა, „ლოკომოტივშიც" ვმუშაობთ და ალბათ, ყველა კლუბში ამ საკითხს ყურადღებას უთმობენ... უბრალოდ, კუპერს სხვა ამოცანა და დავალება აქვს ფეხბურთელებისთვის და მათთვის ჩანაფიქრის ახსნას ხანგრძლივი მუშაობით ცდილობს.

### გია გეგუჩაძე,

*ზესტაფონის მწვრთნელი*

**- ბატონო გია, ჩამოსვლის შემდეგ კუპერმა მხოლოდ მესამედ მოახერხა „სამშაბათობის" ჩატარება. თქვენი აზრით, ეს რამდენად ეფექტურია?**

- რა თქმა უნდა, კუპერის მუშაობას უფრო მეტი ეფექტი იმ შემთხვევაში ექნება, სამშაბათის შეკრებები უფრო ხშირად რომ ტარდებოდეს. თუმცა ისიც კარგია, რომ საერთოდ ტარდება. ეროვნული ჩემპიონატის გადატვირთული კალენდარი კუპერს მეტის საშუალებას არ აძლევს.

**- ადრე, კლუბებისგან გამოითქვა პრეტენზიები, რომ კუპერის ვარჯიშები გუნდებს მომზადებაში ხელს უშლის...**

- რა თქმა უნდა, ეს პრობლემა არსებობს და პრეტენზიები მთლად უსაფუძვლო არ არის. თუმცა, მე პირადად, ასეთ ვარჯიშებზე ფეხბურთელს დიდი სიამოვნებით გამოვუშვებ. თითოეული მათგანისთვის ეს უდიდესი სტიმული და რატომ უნდა მოვაკლოთ ფეხბურთელებს ეს სტიმული?

**მერაბ მამულაშვილი**

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ახალგაზრდული ნაკრები

# ოფიციალური შეთავაზება ცხადაძეს

უკვე ვწერდით, რომ სადღეისოდ **კახა ცხადაძე** საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე ყველაზე რეალური კანდიდატია. ადრე მასთან ერთად **გია გეგუჩაძის** ვარიანტიც განიხილებოდა, მაგრამ ეს უკანასკნელი ახლა „ზესტაფონის" მწვრთნელია. რა როგორ იქნება ცხადაძესთან მიმართებაში? ის ხომ აზერბაიჯანში მუშაობს. თუკი იქ უცხოელი სპეციალისტებისადმი დამოკიდებულებას გავითვალისწინებთ, წესით, ცხადაძე მალე სამშობლოში უნდა დაბრუნდეს. თუმცა მან ბოლო სამი ტურის მატჩები მოიგო და „სტანდარდის" ხელმძღვანელობა დარჩენას სთავაზობს...

ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ ბატონ კახას ფედერაციის პრეზიდენტი **ნოდარ ახალკაცი** შეხვდა და ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელობა შესთავაზა. ეს იდეა **რევაზ არველაძისგან** მოდიოდა. მაშინ ახალკაცი **პეტარ შეგრტს** იცავდა, მაგრამ გუშინ ყველაფერი გაირკვა - ცხადაძეს ოფიციალური წინადადებით მიმართეს. ბუნებრივია, კომენტარისთვის ჯერაც „სტანდარდის" მწვრთნელს დავუკავშირდით:

*„ჯერ ვერ გეტყვით, ვინ რა შემომთავაზა. არის საკითხები, რომელზეც ღიად საუბარს მოვერიდები. თუმცა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში მუშაობა ჩემთვის დიდი პატივი რომაა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. დანარჩენზე კი უახლოეს დღეებში ვისაუბროთ"*,- გვითხრა ცხადაძემ.

„სტანდარდთან" კონტრაქტი მას მომავალი წლის მაისში უმთავრდება. ჩვენი ინფორმაციით, ფედერაციის ხელმძღვანელობასა და ახალგაზრდა სპეციალისტს შორის მოლაპარაკებების დროს ერთგვარ ბარიერს სწორედ აზერბაიჯანული მხარე ქმნის, რადგან ცხადაძეს მათთან გარკვეული ვალდებულებები აკავშირებს. ის ფიქრობს - „სტანდარდიდან" ახლა წამოვიდეს თუ მაისში? მეორე საკითხი, რომელზეც ფედერაციასა და ცხადაძეს მოლაპარაკება მოუწევთ, მთავარი მწვრთნელის პირადი კონტრაქტია. მოდით, დავაკონკრეტოთ - საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი **ჰერბერტ ცანკერი** ელიწადში 360 ათას ლარს იღებდა. ამის საფასური წარუმატებლობა იყო.

19-წლამდელთა ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელის **ჰაინც ტოპმიოლერის** წლიური გასამრჯელო 360 ათასი დოლარი იყო. მის ხელთ უნიჭიერესი ბიჭები მოხვდნენ, თუმცა შესარჩევ ჯგუფში გუნდმა სამარცხვინოდ ითამაშა. ფეხბურთელები ხუმრობდნენ კიდეც - ჩვენ მწვრთნელი არ გვყავსო.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი **რალფ მინგე** წელიწადში 700 ათას დოლარს იღებდა. გაგიკვირდებათ და, ამ პოსტზე ერთ-ერთ პირველ მატჩს მინგე, ელემენტარულად, არ დაესწრო...

რამდენი ეკუთვნის ცხადაძეს? სწორედ ეს იქნება მოლაპარაკებების ძირითადი საგანი. ის აზერბაიჯანში საკმაოდ დიდ ხელფასს იღებს და ბუნებრივია, იმ სამსახურის მიტოვება უნდა ულირდეს კიდეც. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები...

**მერაბ მამულაშვილი**


კახა ცხადაძე

# ისევ კითხვები და ვარაუდები

## რას უმიზნებენ ახალგაზრდულში?

**ფედერაციაში ცვლილებების ერთმა ტალღამ გადაიარა. მალე ოფიციალურად გაცხადდება საქართველოს 21-წლამდეთა ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის ვინაობაც. თუ რამე რადიკალურად არ შეიცვალა, ამ პოსტზე კახა ცხადაძე დაინიშნება. ეს ისეთი კანდიდატურაა, ფედერაციის ხელმძღვანელობაში უმეტესობა რომ უჭერს მხარს. არიან ოპონენტებიც, თუმც ისინი უმცირესობას წარმოადგენენ. ცხადაძის შანსები დიდია, მაგრამ ის ჯერაც ბაქოს „სტანდარდის" მწვრთნელია და თავდაპირველად კლუბთან უნდა გაარკვიოს საქმე. შეიძლება ითქვას, ოდენ ფორმალობებია მოსაგვარებელი და 21-წლამდელთა კრებულს ახალი დამრიგებელი ეყოლება...**

რატომ გახდა **კახა ცხადაძე** ერთადერთი კანდიდატი ახალგაზრდული ნაკრების ან უკვე ვაკანტურ პოსტზე? ამ კითხვაზე პასუხს, ალბათ, მალე მივიღებთ ფედერაციისგან. თქმა რად უნდა, საქართველო საინტერესო მწვრთნელებით მდიდარი ნამდვილად არ არის, მაგრამ მაინც უცნაურად მოჩანს, რომ ფედერაცია მხოლოდ ერთ კანდიდატურას უკირკიტებს. მწვრთნელი ცხადაძე ორჯერ იყო საქართველოს ჩემპიონი - ეს ტიტული ჯერ „დინამოში" მოიგო, მერე ბოლნისის „სიონში". ასეთ წარმატებას ორ გუნდში რომ მიაღწევ, უკვე გაქვს საიმისო მარაგი, ახალგაზრდული ნაკრების გაწვრთნაზეც იფიქრო...

ფედერაციის პრეზიდენტის შარშანდელი არჩევნების წინ ცხადაძე **ნოდარ ახალკაცის** ერთ-ერთი მაკრიტიკებელი იყო, მაგრამ დრო და სიტუაცია, როგორც ჩანს, შეიცვალა - მათ პარტნიორობის პერსპექტივა გაუჩნდათ.

მოვლენები ისეთი სისწრაფით ვითარდება, ძნელია იმის პროგნოზირება, ვინ ვისი თანაგუნდელი გახდება. ფედერაციაში მომხდარი საკადრო გადაადგილებები, რა თქმა უნდა, მიზნობრივი იყო, თან ყველაფერი ცივილიზებულად, შეხლა-შემოხლისა თუ მწვავე დაპირისპირების გარეშე მოხდა. უწინდელთან შედარებით, ფედერაცია უფრო რაფინირებული გახდა, მაგრამ აქვს კი მას განვითარების მკაცრად ჩამოყალიბებული პოლიტიკა? რა მიზანი უნდა დაუსახონ ახალგაზრდულის ახალ მწვრთნელს?

მოექცევა საქართველოს ყველა ნაკრები ერთიან სისტემაში და ვინ იქნება ასეთნაირად მომუშავე სისტემის კურატორი? ეს ჯერ უცნობია.

როგორი იქნება **ექტორ კუპერის** დამოკიდებულება ახალგაზრდული ნაკრებისადმი, რა ტიპის თანამშრომლობა ექნება მას 21-წლამდელთა ახალ მწვრთნელთან? ესეც გამოცანაა.

შედეგი შესარჩევ ეტაპზე თუ ფეხბურთელების მომზადება ეროვნული ნაკრებისთვის? რომელი იქნება პრიორიტეტი? ჯერ არც ეს ვიცით.

ანუ, ფედერაციამ უკვე შეარჩია მწვრთნელი ახალგაზრდული ნაკრებისთვის, მაგრამ ჯერ მკაფიოდ არ აქვს შემუშავებული სამოქმედო გეგმა, არ ჩანს საქმისადმი სისტემური, კომპლექსური მიდგომა და ასეთ სიტუაციაში როგორ უნდა იყოს მწვრთნელისა და მისი გუნდის ჯაფა ნაყოფიერი?

ფედერაციას ისეთი კადრები სჭირდება, ვინც საკუთარი თავი უნდა შექმნას და ეს წარმატებებით უნდა მოახერხოს. ჩანს კი ეს მომხდარ და მოსახდენ ცვლილებებში? ვფიქრობთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია. ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელობაც ცოტას არ ნიშნავს ამ ყველაფერში. ახალგაზრდებთან რომ გაქვს საქმე, მათთვის ყველანაირად სამაგალითო უნდა იყო, ნაკრებმა იმაზე მნიშვნელოვნად მეტს უნდა მიაღწიოს, **პეტარ შეგრტის** მონაგარი იყო.

სამასლაათოდ, ახალგაზრდული ნაკრები ნამდვილად არ არის პატარა თემა. მწვრთნელი ერთია, მაგრამ ისიც ვიკითხოთ, ფეხბურთელების რა პლეადა მოდის - არაერთი, ძალიან საინტერესო ახალგაზრდაა. ამ ასაკში უძრაობის პერიოდი ნამდვილად არ უდგას ქართულ ფეხბურთს და ცხადაძეც ამავე აზრის რომ არ იყოს, ალბათ, არც ექნებოდა უნიჭოთა გუნდის გაწვრთნის ამბიცია. მე მაინც მგონია, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები უფრო ინდივიდების ნაზავი იქნება, ვიდრე სისტემის პროდუქტი...

**დავით თავართქილაძე**

აზერბაიჯანულ პრესაში

# ცხადაძე მილანში ან ალკმაარში

## სტანდარდიდან წასვლას ჯერ არ ვაპირებო...

**გუშინ აზერბაიჯანულმა ვებგვერდმა „აზერისპორტმა" ბაქოს „სტანდარდის" მთავარი მწვრთნელის კახა ცხადაძის მცირე ინტერვიუ გამოაქვეყნა. სანამ მასალას შემოგთავაზებთ, ერთს ვიტყვით: ჩვენი კოლეგა-მეზობლები, განსაკუთრებით კი „აზერისპორტი" ხშირად შეგვიმჩნევია ტენდენციურობაში, გადაუმოწმებელი ინფორმაციის გაშვებასა და თვით ტყუილშიც კი. ამ ინტერვიუს ყველაზე „მყვირალა" ფრაზა, რასაც ცხადაძე „ამბობს", აშკარად არასწორადაა ინტერპრეტირებული. გადამოწმების შედეგად გავიგეთ, რომ ცხადაძეს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელობაზე უარი არ უთქვამს...**

**- ბოლო დროს აზერბაიჯანულ მედიაში ხშირად წერენ „სტანდარდიდან" თქვენი შესაძლო წასვლის შესახებ...**

- არ არის მართალი. პირველი წრის ბოლო ტურის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელობას შევხვდი, მეორე წრის გეგმებზე ვისაუბრეთ. ასე რომ, ხმები ჩემი გადადგომის შესახებ საფუძველს მოკლებულია.

**- თქვენს ადგილზე დანიშვნას ვაგიფ სადიხოვს უწინასწარმეტყველებდნენ...**

- მან შეიძლება მართლაც ჩაიბაროს „სტანდარდი", ოღონდ ჩემი წასვლის მერე. მე კი, ჯერჯერობით, წასვლას არ ვგეგმავ. ახლახან, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების გაწვრთნაზეც უარი ვთქვი. „სტანდარდს" შუა გზაში ვერ მივატოვებ.

**- ძალაშია თქვენი გეგმა ევროპულ კლუბში სტაჟირებაზე?**

- არის რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის, „მილანისა" და „ალკმაარის". როცა გადავწყვეტ, შეგატყობინებთ.

**- პირველ წრეს, ალბათ, უკვე გაუკეთებდით ანალიზს. თქვენი გუნდის თამაშით კმაყოფილი დარჩით?**

- მიმაჩნია, შედეგი დამაკმაყოფილებელია. 20 ქულა დავაგროვეთ, თუმცა თავისუფლად შეიძლებოდა, 24-ც ყოფილიყო.

**- რას ელით ჩემპიონატის მეორე წრისგან?**

- პირველ რიგში, კარგი ფეხბურთელები უნდა დავიმატოთ და სუსტი პოზიციები გავაძლიეროთ. ვფიქრობ, უკეთ ვითამაშებთ და მერვე ადგილზე მაღლა ავალთ.

**- ყველაზე მეტად რომელი რგოლია გასაძლიერებელი?**

- თითქმის ყველა, განსაკუთრებით კი შუა ხაზი. გვჭირდება ერთი კარგი ფორვარდიც. ჯამში ოთხი-ხუთი ფეხბურთელის დამატება ძალიან კარგი იქნებოდა.

**- როდის შეიკრიბება „სტანდარდი"?**

- 6 იანვარს. 20-მდე ბაქოში მოვემზადებით, 21 იანვარს კი ანთალიაში მივდივართ ორკვირიან შეკრებაზე.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ა[illegible]

# ქეცბაია წლის მწვრთნელობის კანდიდატია

## თემური დიდ ხუთეულში

„ანორთოსისის" თავკაცი **თემურ ქეცბაია** უეფას ვებგვერდმა წლის მწვრთნელის ნომინაციაში ერთ-ერთ კანდიდატად დაასახელა. გამოკითხვა დაწყებულია. ქეცბაიას გარდა, ვებგვერდის რეფერენდუმში კიდევ ოთხი სპეციალისტი მონაწილეობს. თითოეულ კანდიდატურას თან ახლავს განმარტება - ანუ, რა დამსახურების მიხედვით შეიძლება გახდეს ესა თუ ის მწვრთნელი წლის ლაურეატი:

სერ **ალექს ფერგიუსონი** - მეორედ მოიგო ჩემპიონთა ლიგა და „მანჩესტერ იუნაიტედი" მეათედ აქცია ინგლისის პირველ გუნდად.

**ფათიჰ თერიმი** - თურქეთის ნაკრებმა ჩინებულად იასპარეზა ევრო 2008-ზე. თერიმმა გუნდი ნახევარფინალში გაიყვანა.

**ლუის არაგონესი** - მისი ხელმძღვანელობით ესპანეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა.

**დიკ ადვოკაატი** - „ზენიტს" ჯერ უეფას თასი მოაგებინა, მერე კი, „მანჩესტერ იუნაიტედთან" ჭიდილში, ევროპის სუპერთასიც დაისაკუთრა.

**თემურ ქეცბაია** - მოკრძალებული „ანორთოსისი" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა. მანამდე, ამ ქვეყნის არც ერთ კლუბს მსგავსი შედეგი არ ჰქონია.

გამოკითხვა 12 იანვრამდე გასტანს.

**დავით ცაბაძე**

მეტოქე. ბულგარეთი

# ტოპმიოლერი საქართველოს წინააღმდეგ?

მოგეხსენებათ, 2 დეკემბრის შემდეგ ბულგარეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი ვაკანტურია. იქაური ფეხბურთის ფედერაცია უკვე მუშაობს **პლამენ მარკოვის** შემცვლელზე. სავარაუდო კანდიდატებად „ჩელსის" ყოფილი მწვრთნელი **ავრაამ გრანტი** და ინგლისის ეროვნული გუნდის ექსდამრიგებელი **ტერი ვენეიბლზი** დასახელდნენ, თუმცა ბულგარული პრესა დღეს მათზე აღარაფერს წერს.

სამაგიეროდ, გამოიკვეთა კიდევ ერთი, ფრიად საინტერესო კანდიდატურა - შესაძლოა, ბულგარეთის ეროვნული ნაკრები **კლაუს ტოპმიოლერმა** ჩაიბაროს. როგორც მედია წერს, საქართველოს ნაკრების ყოფილი დამრიგებლისთვის შესაძლო ახალი სამსახური ერთობ მიმზიდველი ყოფილა.

*„ეროვნული ნაკრების ახალი მთავარი მწვრთნელის ვაკანტურ პოსტზე რამდენიმე კანდიდატურა გამოიკვეთა, მათ შორის, ორი გერმანელია. პირველ რიგში, ეს არის კლაუს ტოპმიოლერი, რომელმაც უკვე განაცხადა, რომ მზადაა, ბულგარეთის ნაკრები ჩაიბაროს და რომ ეს მისთვის საინტერესო საქმეა. სხვათა შორის, ტოპმიოლერი ბოლოს წვრთნიდა საქართველოს ეროვნულ გუნდს, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩვენი მეტოქეა. ტოპმიოლერის გარდა, მეორე გერმანელი კანდიდატი ჰორსტ კიოპელია. კიდევ ერთი ვარიანტია ფრანგი ჟან ტიგანა. უცხოელთა გარდა, ადგილობრივებიდან შანსები აქვთ „ლევსკის" ყოფილ მწვრთნელ სტანიმირ სტოილოვსა და ნაკრების ექსვარსკვლავ კრასიმირ ბალაკოვს"* - წერს ბულგარული პრესა.

**დავით ცაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალგაზრდული ნაკრები

ისტორია

# ჭეიშვილიდან შეგრტამდე



ვლადიმერ გუცაევი



მიხეილ ფოცხვერია და მამუკა წერეთელი

**1994-96**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 8 | 6 | 1 | 1 | 22-5 | 19 |
| 2. ბულგარეთი | 8 | 5 | 2 | 1 | 11-10 | 17 |
| 3. უელსი | 8 | 3 | 1 | 4 | 11-13 | 10 |
| 4. მოლდოვა | 8 | 2 | 2 | 4 | 5-11 | 8 |
| 5. საქართველო | 8 | 1 | 0 | 7 | 7-17 | 3 |

**1996-98**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 8 | 5 | 3 | 0 | 7-1 | 18 |
| 2. საქართველო | 8 | 3 | 3 | 2 | 10-10 | 12 |
| 3. იტალია | 8 | 3 | 2 | 3 | 17-6 | 11 |
| 4. პოლონეთი | 8 | 1 | 5 | 2 | 10-15 | 8 |
| 5. მოლდოვა | 8 | 1 | 1 | 6 | 5-17 | 4 |

**1998-00**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 10 | 7 | 2 | 1 | 32-10 | 23 |
| 2. ნორვეგია | 10 | 7 | 1 | 2 | 21-8 | 22 |
| 3. საქართველო | 10 | 2 | 5 | 3 | 11-13 | 11 |
| 4. ლატვია | 10 | 2 | 3 | 5 | 8-19 | 9 |
| 5. სლოვენია | 10 | 1 | 5 | 4 | 10-19 | 8 |
| 6. ალბანეთი | 10 | 1 | 4 | 5 | 8-21 | 7 |

**2000-02**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. იტალია | 8 | 6 | 1 | 1 | 14-5 | 19 |
| 2. რუმინეთი | 8 | 5 | 1 | 2 | 13-5 | 16 |
| 3. უნგრეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 12-9 | 15 |
| 4. ლიტვა | 8 | 2 | 0 | 6 | 5-17 | 6 |
| 5. საქართველო | 8 | 1 | 0 | 7 | 9-17 | 3 |

**2002-04**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შვეიცარია | 8 | 6 | 1 | 1 | 12-6 | 19 |
| 2. რუსეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 14-8 | 15 |
| 3. ალბანეთი | 8 | 3 | 1 | 4 | 10-10 | 10 |
| 4. ირლანდია | 8 | 2 | 2 | 4 | 8-11 | 8 |
| 5. საქართველო | 8 | 1 | 2 | 5 | 7-16 | 5 |

**2004-06**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 12 | 9 | 2 | 1 | 30-12 | 29 |
| 2. უკრაინა | 12 | 7 | 2 | 3 | 22-7 | 23 |
| 3. საბერძნეთი | 12 | 6 | 2 | 4 | 18-9 | 20 |
| 4. თურქეთი | 12 | 5 | 4 | 3 | 15-9 | 19 |
| 5. საქართველო | 12 | 3 | 2 | 7 | 7-22 | 11 |
| 6. ალბანეთი | 12 | 2 | 3 | 7 | 9-27 | 9 |
| 7. ყაზახეთი | 12 | 2 | 1 | 9 | 8-23 | 7 |

**2006-07**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-1 | 6 |
| 2. ლიტვა | 2 | 1 | 0 | 1 | 1-2 | 3 |
| 3. საქართველო | 2 | 0 | 0 | 2 | 1-4 | 0 |

**2007-08**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 8 | 8 | 0 | 0 | 21-2 | 24 |
| 2. რუსეთი | 8 | 5 | 0 | 3 | 14-6 | 15 |
| 3. პოლონეთი | 8 | 3 | 0 | 5 | 9-11 | 9 |
| 4. ყაზახეთი | 8 | 2 | 0 | 6 | 9-18 | 6 |
| 5. საქართველო | 8 | 2 | 0 | 6 | 6-22 | 6 |

**...მორჩა - პეტარ შეგრტი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელი აღარ არის! რა თქმა უნდა, ჩვენი ფეხბურთის უმაღლესი ორგანოს, აღმასკომის გუშინდელ სხდომაზე ხორვატ მწვრთნელს კალთები არავინ დაახია - შენი ჭირიმე, არ წახვიდე და არ დაგვღუპოო...**

**ასეა თუ ისე, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში კიდევ ერთი მწვრთნელის „ეპოქა" დასრულდა; დასრულდა სრული კრახით და მორიგი ჩაფლავებული შესარჩევი ციკლით. ამჟამად საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები დროებით უმწვრთნელოდ არის; ჩვენ კი შევეცდებით დაარსებიდან (1994 წლიდან) დღემდე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელების მოღვაწეობა შევაფასოთ.**

## წარუმატებელი დებიუტი

ეს ახლა ჰქონდა **პეტარ შეგრტსა** თუ **რალფ მინგეს** მუშაობის ყველა პირობა (უამრავი ამხანაგური მატჩი, უცხოური შეკრებები) შექმნილი, თორემ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები (იმ დროს ოლიმპიურადაც იწოდებოდა) სადებიუტო ციკლში ასეთ ფუფუნებას ნამდვილად მოკლებული იყო. ისე, არ დაგვავიწყდეს ერთი ფაქტორიც: როგორც ეროვნული ნაკრებისგან ვითხოვდით (!) 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვებას, დაახლოებით ამდაგვარი სიტუაცია გახლდათ ახალგაზრდების მიმართებაშიც. ჰო, 1996 წელს ატლანტის ოლიმპიური თამაშების საგზურის მოპოვება, ალბათ, ფანტასტიკის სფეროს უფრო განეკუთვნებოდა, ვიდრე რეალობას.

პირველ ოფიციალურ მატჩამდე (1994 წლის 6 სექტემბერი) საქართველოს ოლიმპიურმა ნაკრებმა ბელარუსსა და ირანში რამდენიმე არაოფიციალური ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა. ნაკრების გაძღოლა კი **შოთა ჭეიშვილს** დაევალა - საკმაოდ წარმატებულ და ნიჭიერ მწვრთნელს, ვინც სახელი „ბათუმში" მუშაობით გაითქვა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების პირველი ოფიციალური შეხვედრა წარმატებული აღმოჩნდა - მოლდოველ თანატოლებთან დიდი ანგარიშით (3:0) მოიგეს. ორი გოლი **გიორგი ლუდუშაურმა** გაიტანა, ერთიც - **გიორგი ანჩაბაძემ**. სხვათა შორის, საინტერესოა, რომ 14 წლის წინანდელი იმ შემადგენლობიდან ორი ფეხბურთელი კვლავაც აგრძელებს აქტიურ კარიერას და ორივე ამჟამად აზერბაიჯანში თამაშობს: **ამირან მუჯირი** და **დავით ჭიჭველიშვილი**. სამწუხაროდ, მოლდოვასთან მოპოვებული გამარჯვება... იმ ციკლში უკანასკნელი წარმატება აღმოჩნდა. შედეგად ჯგუფში ბოლო ადგილი მივიღეთ, არადა, იმ გუნდს უფრო მეტის მიღწევაც შეეძლო. რა თქმა უნდა, გერმანელ თანატოლებთან (იმ დროს თამაშობდნენ: **ციკლერი, გოსპოდარეკი, ნერლინგერი, რამელოვი, ფიდლერი**) ტოლიტოლზე პაექრობას ვერავის მოვთხოვდით, მაგრამ პოტენციალი ჩვენს ნაკრებს, უდავოდ, ჰქონდა. სამწუხაროდ, ტრავმებისა და პირველ ნაკრებში ფეხბურთელების „მივლინებამ" ის გამოიწვია, რომ ხშირ შემთხვევებში შემადგენლობა ოპტიმალურისგან შორს იყო. სამაგიეროდ, შოთა ჭეიშვილი თამამად ენდობოდა 18-19 წლის ფეხბურთელებს, ვინც მომავალ ციკლში ახალგაზრდულის ბირთვიც შეადგინეს და უფრო მეტიც - ეროვნულშიც უპრობლემოდ დაიმკვიდრეს ადგილი: **ლევან კობიაშვილს, ლევან ცქიტიშვილს, ალექსანდრე იაშვილს, გიორგი დემეტრაძეს, ზაზა ჯანაშიას, გიორგი კიკნაძეს...**

## იმედის ნაკრები

შემდეგი შესარჩევი ციკლის დაწყებამდე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელად **ვლადიმერ გუცაევი** დაინიშნა. ქართული ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელს მანამდე რუსეთსა და კვიპროსში გარკვეული სამწვრთნელო გამოცდილება კი დაუგროვდა, თუმცა მთავარი მწვრთნელის რანგში პირველად სწორედ ახალგაზრდულ გუნდთან მოუწია მუშაობამ. სანამ ოფიციალური შეხვედრები დაიწყებოდა, ჩვენმა ახალგაზრდულმა სამი ამხანაგური მატჩი ჩაატარა და სამივეში დამარცხდა (რუმინეთთან და ორჯერ - უკრაინასთან). ამას მერე ერთი გამარჯვებაც მოჰყვა, მაგრამ - როგორი - რუსეთის ნაკრებს მინიმალური სხვაობით (1:0) ვაჯობეთ. და აი, ოფიციალური შეხვედრების დროც დადგა და გუცაევის დებიუტიც, კოშმარულზე მეტი გამოდგა: 1996 წლის 9 ოქტომბერს, ქალაქ არეცოში იტალიელმა ახალგაზრდებმა ქართველი თანატოლები დიდი ანგარიშით (6:0) დაამარცხეს. რა თქმა უნდა, ძალიან ძნელი იყო თელავის „კახეთის", გორის „დილას" თუ სხვა ქართული გუნდების წარმომადგენლებისგან მოგვეთხოვა, რომ ღირსეულად ეპაექრათ იმ დროისთვის უკვე ცნობილ ფეხბურთელებთან (**ჯანლუიჯი ბუფონი, ფრანჩესკო კოკო, კრისტიანო ლუკარელი, სტეფანო ფიორე, ალესიო ტაკინარდი, მასიმო ამბროზინი**). ისე, ნურც იმას დავივიწყებთ, რომ **დავით ასლანაძის** კარში მასპინძლებმა სამი გოლი... პენალტებით გაიტანეს. ვერც მეორე შეხვედრაში ვივარგეთ - ოღონდ, ამჯერად უკვე „საპატიო" ანგარიშით დავმარცხდით ჯგუფის კიდევ ერთ ფავორიტთან ინგლისთან (0:1). არადა, ვისაც ეს შეხვედრა ახსოვს, დაგვეთანხმება, რომ ეს იყო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი არსებობის განმავლობაში! მერე რა, რომ ინგლისელებს **ფილ ნევილი, ნიკი ბათი, კირონ დაიერი** და **ემილ ჰესკი** ჰყავდათ - ვლადიმერ გუცაევის შეგირდებმა მეტოქეს ყველა კომპონენტში აჯობეს და ფრეს ვინ ჩივის, ალბათ, დიდი ანგარიშითაც უნდა მოგვეგო. სამწუხაროდ, ფატალურად არ უმართლებდათ ჩვენს ფორვარდებს - ალექსანდრე იაშვილი და **მიხეილ ფოცხვერია** სტუმართა მეკარესთან პირისპირ, საერთო ჯამში, შვიდჯერ მაინც დარჩნენ, მაგრამ...

სამაგიეროდ, ბევრისთვის მოულოდნელად, საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ქულა წამოიღო ლონდონიდან: „ჩარლტონ ატლეტიკის" სტადიონზე ჩვენებმა თანამედროვე და „სწორი" ფეხბურთი ითამაშეს! ვლადიმერ გუცაევსაც უკვე მიგნებული ჰყავდა ძირითადი ბირთვი: **დავით გვარამაძე, ლევან სილაგაძე, გივი დიდავა, შალვა ხუჯაძე, მიხეილ საჯაია, ალექსანდრე გოგობერიშვილი, მიხეილ აშვეთია, ლევან ქებაძე** და პლუს ზემოთ ნახსენები ფეხბურთელები: ალექსანდრე იაშვილი, გიორგი დემეტრაძე, მიხეილ ფოცხვერია, გიორგი დემეტრაძე, გიორგი კიკნაძე და ლევან ცქიტიშვილი. ამათ გარდა, ჩვენს ნაკრებში უფრო ხშირად ჩნდებოდნენ ასაკით ბევრად უმცროსებიც: **დავით მუჯირი, რატი ალექსიძე, მამუკა წერეთელი...**

წარმატებული სვლა მერეც გაგრძელდა: მოლდოვასთან საშინაო გამარჯვებას პოლონეთთან სტუმრად დრამატული ფრე (2:2) მოჰყვა; 1997 წლის 10 სექტემბერს კი რუსთავში, „ფოლადის" სტადიონზე, მართლაც ზღაპრული მატჩი მოვიგეთ: „იუვენტუსის", „მილანის", „პარმას" თუ სხვა აღიარებულ გრანდებში მოთამაშე უკვე ჩამოყალიბებული ვარსკვლავებით დაკომპლექტებულ იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებს გიორგი კიკნაძისა და ლევან ქებაძის გოლებით ვაჯობეთ! ეგ კი არა, მეტოქე... მუშტი-კრივშიც დავჯაბნეთ...

ციკლის ბოლო მატჩიც ისეთი გამოდგა, იმ ნაკრებს რომ ეკადრებოდა: 1997 წლის 10 ოქტომბერს პოლონელ თანატოლებს დიდი ანგარიშით (5:1) მოვუგეთ. ის ციკლი ჩვენმა ნაკრებმა საპატიო კი არა, მართლაც ზღაპრული შედეგით დაასრულა - ქვეჯგუფში იტალია და პოლონეთი უკან ჩამოვიტოვეთ და მხოლოდ ინგლისს ჩამოვრჩით. მეორე ადგილი კი შესარჩევ ეტაპზე ჩვენი ახალგაზრდებისთვის მომავალში მიუწვდომელ ოცნებად იქცა...

*(გაგრძელება იქნება)*

**გია ტუხაშვილი**



1997 წლის 10 ოქტომბერი. საქართველო-პოლონეთი 5:1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ გიორგი მიქაძესთან

# თავი კომუნიზმში მეგონა

## მიქაძემ რივალდოსთან ვერ ითამაშა

ქართველ ფეხბურთელს სად აღარ ამოაჩენს კაცი. უკეთესი პირობების გამო ჩვენებურები ცხრა მთასა და ცხრა ზღვას გადაივლიან, რადგან ქართული კლუბების მოფულიანებას საშველი არ დაადგა და ფეხბურთელებსაც სხვა რა დარჩენიათ...

გახსოვთ გიორგი მიქაძე? მან პროფესიული კარიერა თბილისის „დინამოში" დაიწყო, პერსპექტიულ თავდამსხმელად ითვლებოდა და რამდენიმე ხნით „აიაქსშიც" გაუშვეს სტაჟირებაზე. ვისაც მისი საუკეთესო მატჩები უნახავს, არ შეგვეკამათება იმაში, რომ მიქაძე არ არის ერთი რიგითი ფეხბურთელი, ოღონდ ეგ იყო, სტაბილურობა აკლდა. მიქაძე საქართველოს გაეცალა და ფეხბურთის სათამაშოდ უზბეკეთში წავიდა. ეს ინტერვიუც მის უზბეკურ პერიპეტიებს მოიცავს...

**- როგორ აღმოჩნდი უზბეკეთში?**

- ტრანსფერი აგენტმა მიხეილ ძოძუაშვილმა გაახერხა - მე, ზვიად ქუთათელაძე და ზურაბ ქვაჩახია ანდიჟანის „უზ დონგ ჟუში" მიგვიყვანა. სამივემ 6-თვიან კონტრაქტს მოვაწერეთ ხელი. ივლისი იყო და უზბეკეთის ჩემპიონატის დასრულებამდე ოთხი ტური რჩებოდა. ერთი თვე დავყავით იქ და 4 მატჩი ვითამაშეთ. ჩვენს მისვლამდე „უზ დონგ ჟუს" 8 წაგება და 3 ფრე ჰქონდა, მერე კი ერთი მატჩი მოვიგეთ, ერთი ფრედ დავასრულეთ და 2 წავაგეთ... მოკლედ, გუნდის თამაში მნიშვნელოვნად გამოსწორდა, მაგრამ მთავარი მწვრთნელი ისლამ ახმეტოვი მაინც მოხსნეს. მეორე წრის დაწყებამდე შესვენება იყო და თბილისში დავბრუნდით. შევიტყვეთ, რომ ახალ მწვრთნელს ქართველები აღარ ვჭირდებოდით და უკან აღარ დავბრუნებულვართ. ქვაჩახია, მოგეხსენებათ, ბოლნისის „სიონში" მივიდა...

**- კონტრაქტით გათვალისწინებული თანხა თუ მიიღე?**

- ჯერ არა, თუმცა, რა თქმა უნდა, კუთვნილი ფული უნდა მოვითხოვო. უკვე შევეხმიანე კლუბს და თუ აქედან არაფერი გამოვიდა, უზბეკეთის ფეხბურთის ფედერაციას უნდა მივმართო.

**- თქვენ გარდა, ქართველები კიდევ იყვნენ უზბეკეთში?**

- ზურაბ ძამსაშვილი, თენგიზ კობიაშვილი და ვიტალი კრასოვსკი ანდიჟანის მეორე გუნდში, „ანდიჟანში" თამაშობდნენ. ეს „უზ დონგ ჟუზე" ბევრად უკეთესი გუნდია, 16-გუნდიან ჩემპიონატში მეხუთე ადგილზეა, „უზ დონგ ჟუ" კი ბოლოზე.

**- უზბეკურ ფეხბურთში დიდი ფული ტრიალებს?**

- არც ისე, მაგრამ ცხადია, იქაური პირობები ბევრად აღემატება ქართული გუნდებისას. საქართველოში, უბრალოდ, აღარ მიღირდა თამაში.

**- სხვა უზბეკური გუნდებისგან არ გქონია წინადადება?**

- მქონდა და სწორედ ახლა ველოდები ზარს. იქ ყოფნისას მქონდა შემოთავაზება, მაგრამ მანამდე „უზ დონგ ჟუსთან" მაქვს საქმე გასარკვევი.

**- ინფრასტრუქტურის მხრივ რა სიტუაციაა უზბეკეთში?**

- საკმაოდ კარგი მოედნები და სტადიონები აქვთ. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ აუტსაიდერ „უზ დონგ ჟუს" საშინაო მატჩებზე 15-20 ათასი კაცი მოდიოდა, ხოლო „ანდიჟანის" თამაშებზე - 30 ათასი. უზბეკეთში ხალხს ფეხბურთი ძალიან უყვარს, ნაკრებიც საკმაოდ კარგი ჰყავთ.



**- ყველაზე მდიდარი კლუბი კი, ალბათ, „ბუნიოდკორია", სადაც რივალდო თამაშობს და ორწლიან კონტრაქტში 14 მილიონ დოლარს იღებს, მწვრთნელი კი თავად ზიკოა...**

- კი, ტაშკენტის „ბუნიოდკორი" მართლაც ძალიან მდიდარია. ამ კლუბის მფლობელი ქვეყნის პრეზიდენტ ისლამ ქარიმოვის ერთ-ერთი ქალიშვილია. სამწუხაროდ, რივალდოს წინააღმდეგ თამაშმა არ მომიწია, არადა, ეს ძალიან საინტერესო იქნებოდა ჩემთვის. ახლა იქ ზიკოა მწვრთნელი, მანამდე კი „ბუნიოდკორში" ჩვენთვის კარგად ნაცნობი მირჯალოლ კასიმოვი მუშაობდა.

**- ჩემპიონატის საერთო დონე როგორია?**

- საქართველოს ჩემპიონატისგან განსხვავებით, იქ ფეხბურთელები უკეთესი ფიზიკური მომზადებით გამოირჩევიან. საქმე ისაა, რომ უზბეკეთში ბევრი რუსი და უკრაინელი ლეგიონერია და ისინი „ფიზიკაში" ყოველთვის ძლიერები არიან. იქ თამაშობენ სამხრეთამერიკელები და აფრიკელებიც... ერთი სიტყვით, დონე საკმაოდ ნორმალურია.

**- უზბეკეთის ჩემპიონატში გოლის გატანა ვერ მოახერხე?**

- ვერა, თუმც საკმაოდ კარგად წარმოვაჩინე თავი და მწვრთნელსაც მოვეწონე. „უზ დონგ ჟუ" მეტწილად ახალგაზრდა ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული და ამიტომ აქვს ცუდი შედეგი, თორემ როგორც კი იქ გამოცდილი მოთამაშეები მივედით, გუნდს ეს მყისვე დაეტყო.

**- იქ ცხოვრებას როგორ შეეგუე?**

- ტაშკენტში ცხოვრების დონე გაცილებით მაღალია, ვიდრე სხვა ქალაქებში, სადაც სიტუაცია განსხვავებულია. საერთო ჯამში კი ისეა, რომ თავი კომუნიზმში მეგონა - ყველაფერი ძალიან იაფია. ანაზღაურების გამო იქ ნამდვილად ღირს ცხოვრება და თამაში. რაც შეეხება მოედანს მიღმა ცხოვრებას, გართობისთვის ნამდვილად არ მეცალა...

**- როგორც უნდა იყოს, ერთთვიანი უზბეკური პერიპეტიების მერე უკვე ოთხი თვეა, უგუნდოდ ხარ...**

- სამწუხაროდ... ახლა მხოლოდ ინდივიდუალურად ვვარჯიშობ. კარგი იქნება, თუ ისევ წავალ უზბეკეთში და ამისთვის ვემზადები კიდეც. მთავარია, ფიზიკურად კარგ ფორმაში ვიყო, თორემ უკვე ისეთ ასაკში ვარ, სათამაშო კლასის დახვეწაზე მუშაობა აღარ მჭირდება.

**დავით თავართქილაძე**

საქართველოს ჩემპიონატი

პირველი ლიგა

### აღმოსავლეთი. XVII ტური

**გაგრა 2-ჰერეთი 6:1**

1:0 ჩხაიძე (31), 2:0 ბ. ტეტუნაშვილი (48), 3:0 ჩხაიძე (51), 3:1 შ. ლობჟანიძე (55), 4:1 ფილია (77), 5:1 თუხარელი (80), 6:1 ხოკერაშვილი (90)

*გაგრა:* ა. კოტრიკაძე, ბ. ტეტუნაშვილი, გაბელია, კილაძე, კორიფაძე (63. თუხარელი), ბ. ყიფიანი (53. ოქრიაშვილი), ფილია, გედენიძე, ჩხაიძე, ქაჯაია, მოსიაშვილი (52. ხოკერაშვილი)

*სათადარიგოები:* გ. ნაჭყებია, გ. კალანდაძე, ჭაავა, მარგიანი

*მთავარი მწვრთნელი:* თეიმურაზ ჩხაიძე

*ჰერეთი:* მატვიენკო, თანდაშვილი, ლომიძე, ფარულავა, ა. აბაშიძე, კურტანიძე (63. ტაბატაძე), შ. ლობჟანიძე, ყორღანაშვილი, ჭილაძე (74. ზ. ფოფხაძე), ოქრუაშვილი, ცქიფურიშვილი (55. ცინცაძე)

*სათადარიგოები:* გრიგოლაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* ზურაბ ფოფხაძე

*გაფრთხილებები:* ფარულავა, თანდაშვილი, ა. კოტრიკაძე

*არბიტრი:* თ. გვანცელაძე (სამტრედია)

**კახეთი-დინამო 2 0:0**

*კახეთი:* ქუფარაშვილი, ხუმარაშვილი, მურველაშვილი, ტარუღაშვილი, მჭედლიშვილი, ლ. აბდულაევი, კობაიძე (63. ხამხაძე), მელიქიშვილი, გენგაშვილი, იმერლიშვილი, ჯამუკაშვილი

*სათადარიგოები:* ტეტიაშვილი, ხუციშვილი, კობრიაშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* გივი კობაიძე

*დინამო:* ლოსაბერიძე, მინდორაშვილი, კაჭკაჭიშვილი, კაკუბავა, კეკელია, ჩადუნელი, ნემსაძე, კოპაძე (77. ბოლქვაძე), სიხარულიძე, ზ. ქანთარია (76. ლეკვთაძე), ჯიშკარიანი (67. ჯოხაძე)

*სათადარიგოები:* ნადირაძე, გეთიაშვილი, ქამუშაძე, ზ. ლობჟანიძე

*მთავარი მწვრთნელი:* დავით კევლიშვილი

*გაფრთხილებები:* ქანთარია, ხუმარაშვილი, კოპაძე

*არბიტრი:* ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი)

**სიონი 2-ჩიხურა 0:2**

0:1 როგავა (34), 0:2 ენუქიძე (80)

*სიონი 2:* გავაშელი, თავბერიძე, გ. ოქროპირიძე, იობაშვილი, ლ. ჩხეტიანი, მ. ოქროპირიძე, უგულავა, ბუბუტეიშვილი, გაბრიჭიძე (56. ალფაიძე), ქურასბედიანი, ჯიქიძე (56. გიგინეიშვილი)

*სათადარიგოები:* გურგენიძე, გიორბელიძე, ჭაველაშვილი, ბრეგვაძე, ბერელიძე

*მთავარი მწვრთნელი:* ჯონი ჯაგიდისი

*ჩიხურა:* დოლაძე, მგალობლიშვილი, ბარაბაძე, როგავა, ზივზივაძე, ენუქიძე, კობახიძე, ჭილაძე, ზაბახიძე, ტყებუჩავა, ნოზაძე

*სათადარიგოები:* მნყერაშვილი, ხვედელიძე, დოლონაძე, მაჭარაშვილი, დეკანოიძე, ცარციძე, ჩიკვაიძე

*მთავარი მწვრთნელი:* სოსო ფრუიძე

*გაფრთხილებები:* უგულავა, თავბერიძე

*არბიტრი:* მ. ბეჟქლიშვილი (ყვარელი)

**თბილისი-ნ. დინამო 3:1**

1:0 ჯაში (18), 2:0 ტორონჯაძე (39), 3:0 ზვიადაძე (46), 3:1 გრიგალაშვილი (81)

*თბილისი:* გიორგობიანი, ჭაფოძე, ამისულაშვილი, მიქელაძე, სებისკვერაძე, გურეშიძე, მოდებაძე, ჯაში (37. ბელქანია), ზვიადაძე (53. აფხაზავა), ხოხონიშვილი, ტორონჯაძე (76. ნაჩეშელი)

*მთავარი მწვრთნელი:* ლევან გვანცელაძე

*ნ. დინამო:* გაბრიჩიძე, მამარდაშვილი (46. ედიშერაშვილი), ცინცაძე, ბოკუჩავა, დაბრუნდაშვილი, კაკულია (57. კალაძე), ა. შენგელია, ლაბარტყავა (46. ლვთისავრიშვილი), გრიგალაშვილი, გურაბანიძე, ქავთარაძე

*სათადარიგოები:* ბურჭულაძე, ნეფარიძე, კიკალიშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* რევაზ ბარამიძე

*გაფრთხილებები:* გურეშიძე, სებისკვერაძე, ხოხონიშვილი, გრიგალაშვილი

*არბიტრი:* ი. ურუშაძე (ლანჩხუთი)

**9 დეკემბერი**

ამერი-ვიტ ჯორჯია 1:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩიხურა | 16 | 12 | 2 | 2 | 33-9 | 38 |
| 2. ამერი | 15 | 11 | 2 | 2 | 28-7 | 35 |
| 3. ვიტ ჯორჯია 2 | 15 | 8 | 5 | 2 | 25-6 | 29 |
| 4. დინამო 2 | 14 | 8 | 4 | 2 | 23-10 | 28 |
| 5. დილა | 15 | 6 | 5 | 4 | 21-12 | 23 |
| 6. სიონი 2 | 15 | 5 | 3 | 7 | 21-38 | 18 |
| 7. გაგრა 2 | 16 | 5 | 2 | 9 | 26-37 | 17 |
| 8. თბილისი | 15 | 5 | 2 | 8 | 23-24 | 17 |
| 9. კახეთი | 15 | 2 | 4 | 9 | 8-25 | 10 |
| 10. ნ/დინამო | 15 | 1 | 5 | 9 | 16-30 | 8 |
| 11. ჰერეთი | 15 | 1 | 4 | 10 | 11-37 | 7 |

**მომდევნო ტური**

**1 მარტი, კვირა. 2009**

ჩიხურა-კახეთი
ჰერეთი-სიონი 2
ნორჩი დინამო-ამერი

**2 მარტი, ორშაბათი**

დინამო 2-დილა
ვიტ ჯორჯია 2-გაგრა 2

*თბილისი ისვენებს*

### დასავლეთი. XVII ტური

**ჭიათურა-მარტვილი 2:0**

1:0 ტყემალაძე (5), 2:0 სევასტოპულო (66)

*ჭიათურა:* ბადურაშვილი, ბრეგვაძე, ბრუსლი, გაფრინდაშვილი, ცუცქირიძე, ტყემალაძე, სარალიძე (90. იობიძე), ნდონი, ვაშაძე, სევასტოპულო, ლაშხი (80. ტატაშიძე)

*სათადარიგოები:* მოცრაძე, თემირ მიშველიძე, რობაქიძე, ბითაძე, ღვალაძე

*მთავარი მწვრთნელი:* გიგლა იმნაძე

*მარტვილი:* კოდალაევი (69. შეროზია), ჩხიკვაძე, ფარცვანია, პაპადოპულოსი, კვიტატიანი, ნონორია, დ. თოდუა (30. დ. გოგოლაძე), ლ. ტორაძე, კირკიტაძე (46. ცაგარეიშვილი), ჩალაძე, ციცხვაია

*სათადარიგოები:* ენდელაძე, არდაშელია

*მთავარი მწვრთნელი:* მალხაზ ჟვანია

*გაფრთხილებები:* ნდონი, სარალიძე, გაფრინდაშვილი, სევასტოპულო, ტორაძე

*არბიტრი:* მ. ურუშაძე (ლანჩხუთი)

**გურია-ბათუმი 4:1**

0:1 ბალაძე (31), 1:1 ცინცაძე (61), 2:1 ტ. კუკულაძე (70), 3:1 კვერენჩხილაძე (79), 4:1 კვერენჩხილაძე (87)

*გურია:* მ. გოგუაძე, გ. იმნაძე, ცინცაძე, რ. კუკულაძე, ჯორბენაძე, კილაძე, სულაბერიძე (64. მგელაძე), შენიშული (82. ლ. ციკოლია), ჯაყელი, ურუშაძე (64. კვერენჩხილაძე), ტ. კუკულაძე

*სათადარიგოები:* იმედაშვილი, ქურიძე, მოდებაძე, ხიტირი

*მთავარი მწვრთნელი:* ავთანდილ ნარიაშვილი

*ბათუმი:* თოთლაძე, რამიშვილი, გოგიტაური, თოიძე (35. ფარტენაძე), ნ. გოგუაძე, გოგიტიძე, ბ. მახარაძე (73. ქადიძე), ტულუში (65. გორჯელაძე), დემურაძე, მალაზონია, ბალაძე

*სათადარიგოები:* აბაშიძე, ლ. კალანდაძე, ზაქარეიშვილი, თ. კაკალაძე

*მთავარი მწვრთნელი:* ამირან გოგიტიძე

*გაფრთხილებები:* გოგიტიძე, თოთლაძე, დემურაძე, კილაძე, მალაზონია, გ. იმნაძე

*არბიტრი:* გ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

**კოლხეთი-ტორპედო 2:0**

1:0 გ. ციკოლია (72), 2:0 სიჭინავა (76)

*კოლხეთი:* გ. შენგელია, ჩხარტიშვილი, სიჭინავა, ლუსტა, გელაჭეიშვილი, გვალია, გვიჩია, ქომეთიანი (85. მოისწრაფიშვილი), აბურჯანია, ბაკარანძე (46. ციკოლია), ქანდავაძე (81. გეგელია)

*სათადარიგოები:* ჩემია, მეგრელიშვილი

*მთავარი მწვრთნელი:* ნუგზარ თვარაძე

*ტორპედო:* მიგინეიშვილი, დარსაძე (80. ც. ხარაბაძე), ხარებავა, ბიბილაშვილი, ჭანკვეტაძე, დანელია (70. ტიელიძე), ბესარაშვილი, გურული, კობერიძე, ჩხეტიანი, იმედაძე

*სათადარიგოები:* კუჭუხიძე, ნიქორიძე, ა. ქობალია, გ. ხარაბაძე, კუხიანიძე

*მთავარი მწვრთნელი:* კახა კარანაძე

*გაფრთხილებები:* ლუსტა, გვალია

**სამტრედია-ზესტაფონი 2 1:0**

1:0 ეცადეიშვილი (8)

*სამტრედია:* ი. დ. შენგელია, გოგია, ნინუა, სამსეიშვილი, დარჯანია, ბაკურაძე, ოქრუაშვილი, ადეიშვილი, ეცადეიშვილი, ჩომახიძე, კაკალაძე (89. ი. გ. შენგელია)

*სათადარიგოები:* კეკელიძე, სალდაძე, მუკბანიანი, ჩხაიძე, სუნიაევი, შველიძე

*მთავარი მწვრთნელი:* ვალერიან ჩხარტიშვილი

*ზესტაფონი 2:* ძაძამია, ხვადაგიანი (39. ტაბატაძე), ხიხაძე (77. ხაჩატურიანი), ზ. ლობჟანიძე, ხაჩიძე, ბერუაშვილი, ლაბაძე, სუხიაშვილი, გაბრიჭიძე (63. ლ. ცხადაძე), ბერიძე, კვირიკეიშვილი

*სათადარიგოები:* ბოჭორიშვილი, ბ. ცხადაძე, ჩიხლაძე

*მთავარი მწვრთნელი:* გია ნადირაძე

*არბიტრი:* პ. დოგრაშვილ (ქუთაისი)

**ბაია-ხობი 3:0**

1:0 ეხვაია (5), 2:0 კუტალია (62), 3:0 ეხვაია (65)

*ბაია:* ივარდავა, ექონია, ჟვანია, კვეკვესკირი, ძალამიძე, გუგუჩია (46. რაფავა), კუტალია (70. ლ. ქობალია), ეხვაია (80. ქანთარია), წურწუმია, ვართაგავა, ქირია

*სათადარიგოები:* მაქაცარია, პაჭკორია, ქამაკაშვილი, ჩანგელია

*მთავარი მწვრთნელი:* ჰერბერტ ცანკერი

*ხობი:* ჭურღულია, ჩაჩიბაია, ფიფია (67. ჩიტაია), კვირკველია, გ. გოგენია, ლატარია, ლეფსაია, კ. გოგენია, ფირცხალავა, გრიგოლია (67. ლ. თოდუა), ღლონტი

*სათადარიგოები:* ბუკია

*მთავარი მწვრთნელი:* ლევან ნოდია

*არბიტრი:* ო. ხეცაძე (თბილისი)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაია | 16 | 11 | 4 | 1 | 28-6 | 37 |
| 2. სამტრედია | 16 | 10 | 2 | 4 | 27-12 | 32 |
| 3. მარტვილი | 15 | 9 | 4 | 2 | 25-13 | 31 |
| 4. კოლხეთი | 15 | 8 | 3 | 4 | 19-10 | 27 |
| 5. ჭიათურა | 16 | 7 | 1 | 8 | 24-22 | 22 |
| 6. ხობი | 15 | 6 | 3 | 6 | 16-23 | 21 |
| 7. ტორპედო 2008 | 16 | 6 | 1 | 9 | 12-13 | 19 |
| 8. გურია | 15 | 5 | 3 | 7 | 23-26 | 18 |
| 9. ზესტაფონი 2 | 15 | 4 | 3 | 8 | 13-22 | 15 |
| 10. ბათუმი | 16 | 3 | 4 | 9 | 17-30 | 13 |
| 11. მეშახტე | 15 | 1 | 2 | 12 | 9-36 | 5 |

**მომდევნო ტური**

**1 მარტი, კვირა. 2009**

ხობი-სამტრედია
ზესტაფონი 2-ჭიათურა
მერანი-გურია
ბათუმი-კოლხეთი
ტორპედო 2008-მეშახტე

*ბაია ისვენებს*

მეგოლე

# თოდუას ოთხი კვირა და სატრანსფერო მოლოდინი

ცოტა ხნის წინ გაცნობეთ, ზუგდიდის „მგლების" მთავარმა მეგოლე (მიმდინარე ჩემპიონატში 6 ბურთი აქვს გატანილი) **გია თოდუამ** მენისკის ოპერაცია რომ გაიკეთა. მაშინ ვწერდით, რომ მას 4 თვე გაუცდებოდა და მხოლოდ მარტში მოახერხებდა მოედანზე დაბრუნებას. ეს ინფორმაცია „მგლების" პრეზიდენტმა **ლაშა დარასელიამ** მოგვაწოდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ პრეზიდენტი დეტალებში არ ყოფილა გარკვეული. თავად თოდუა დაგვიკავშირდა და გვითხრა, რომ 4 თვით კი არა, 4 კვირით მოუწევს დასვენება და წვრთნას იანვარში განაახლებს.

„ქირურგიული ჩარევა აუცილებლად და თანაც სასწრაფოდ მესაჭიროებოდა. უკვე ნელ-ნელა დავდივარ. სარეაბილიტაციო კურსის შემდეგ 20 დეკემბრიდან ძუნძულიც შემეძლება. ექიმები მარწმუნებენ, რომ 10 იანვრიდან გუნდთან ერთად ვივარჯიშებ. ასე რომ, სეზონის განახლებამდე უკვე მწყობრში ვიქნები", - გვითხრა თოდუამ.

იანვარში მას „მგლებთან" კონტრაქტი უმთავრდება. საინტერესოა, ხომ არ შეიცვლის კლუბს ზუგდიდელთა ბომბარდირი:

„დიახ, ხელშეკრულების ვადა იწურება. პირველ რიგში „მგლების" პოზიციას დაველოდები. თუ ისევ საურვილი იქნება და კონტრაქტის გაგრძელებაზე მოვილაპარაკებთ, გუნდს არ შევიცვლი. თუ არა და, სხვა ვარიანტებიც მაქვს".

რაც შეეხება „სხვა ვარიანტებს", თოდუა ამას ვერ აკონკრეტებს, თუმც მინიშნებას კი აკეთებს: „ერთი ქართული და სამი უცხოური კლუბია. ქართული გუნდის ჯერ ვერ დავაკონკრეტებ. შესაძლოა, კვლავ ბელარუსში დავბრუნდე, ანდა აზერბაიჯანში ან სომხეთში გავაგრძელო კარიერა. მაგრამ, როგორც გითხარით, ჯერ ზუგდიდელთა წინადადებას დაველოდები".

**დავით ცაგაძე**

რეგიონი

შიდა ქართლი

# ისევ რევაზიშვილი, ორი წლის შემდეგ

გუშინ გორში შიდა ქართლის ფეხბურთის რეგიონული ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები გაიმართა. როგორც ამასწინათ გაცნობეთ, ვაკანტურ თანამდებობაზე ორი კანდიდატურა აცხადებდა პრეტენზიას - **გია რევაზიშვილი და მიხეილ ჩიხლაძე**. ისინი ადგილობრივი საფეხბურთო წრეებისთვის ცნობილი პიროვნებები არიან. რევაზიშვილი 2004-06 წლებში უკვე მუშაობდა რეგიონის ფედერაციის თავკაცის პოსტზე, ხოლო 1996-97 წლებში გორის „დილის" პრეზიდენტიც გახლდათ. დღემდე რევაზიშვილი საქართველოში უეფას ეგიდით მოქმედი „სახალისო ფეხბურთის" ინსტრუქტორი იყო. რაც შეეხება ჩიხლაძეს, ის ერთხანს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის პოსტზეც მუშაობდა და პლუს ამას, რეგიონში ფუტზალსა და ქალთა ფეხბურთსაც კურირებდა.

არჩევნებზე ხმის მიცემის უფლებით 9 სუბიექტი იყო წარმოდგენილი. თითო დელეგატი ჰყავდათ კასპის, ხაშურის, ქარელისა და [illegible] საფეხბურთო სკოლებს, 3 - გორის ამდენივე სკოლას, თითოც ფუტზალსა და ქალთა ფეხბურთს.

ბევრისთვის გასაკვირად, არჩევნების დაწყების წინ ჩიხლაძემ საკუთარი კანდიდატურა მოხსნა და არჩევნებში მონაწილე ცხრავე სუბიექტმა რევაზიშვილს მხარი ერთხმად დაუჭირა. მოულოდნელი გადაწყვეტილების თაობაზე ჩიხლაძეს კომენტარი არ გაუკეთებია.

[illegible] აღმასკომიც, რომელშიც 5 პერსონა იქნება - [illegible] მინაძე (აგარის საფეხბურთო სკოლა), რომან ჯაგნიძე (ქარელის საფეხბურთო სკოლა), ავთანდილ [illegible] (ხაშურის საფეხბურთო სკოლა), **ზვიად ანიაშვილი** (ტინისხიდის საფეხბურთო სკოლა) და **ალექსანდრე მიხანაშვილი** (გორის საფეხბურთო სკოლა „გორი").

„პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს წინამორბედ [illegible] გაწეული მუშაობისთვის, თუმცა ჩვენს ფეხბურთში გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ ბავშვთა ფეხბურთს და [illegible] ვიზრუნოთ მათ მომავალ [illegible]. ამისთვის, აუცილებელია შიდა ქართლის ყველა რაიონში გვყავდეს გუნდები, საქართველოს ჩემპიონატის რომელიმე ლიგაში მაინც. სათანადო ყურადღებას მივაქცევთ ქალთა ფეხბურთს, რომლის ცენტრიც ხაშურშია და საქართველოს მასშტაბით ნამდვილად გამორჩეულია. ბუნებრივია, უყურადღებოდ არც ფუტზალი დაგვრჩება", - განაცხადა „ლელოსთან" საუბარში ხელახლა გაპრეზიდენტებულმა გია რევაზიშვილმა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის წინ

# როგორი იქნება რამოსის სტარტი?

## მანჩესტერი და ვილიარეალი მკვდარ ჯგუფს აცოცხლებენ

### E ჯგუფი

### მანჩესტერი-ოლბორგი

ამბობენ, რომ **სერ ალექს ფერგიუსონს** ძირითადი შემადგენლობის საკვანძო ფეხბურთელების გამოყვანა აქვს გადაწყვეტილი. იმ პირობებში, როცა „მანჩესტერს" პლეი ოფის საგზური განაღდებული აქვს, შოტლანდიელი სპეციალისტის ამ ჩანაფიქრს ერთადერთი ახსნა შეიძლება მოენახოს, მას ჯგუფში პირველი ადგილის განაღდება სურს. ანუ, სავარაუდოა, რომ „იუნაიტედი" თავს არ დაზოგავს და მორიგი სამი ქულის მოსაპოვებლად მედგრად იბრძოლებს.

„სანდერლენდთან" მატჩში **კრისტიანო რონალდომ** მიკრო ტრავმა მიიღო და მოედანი კოჭლობით დატოვა. მიუხედავად ამისა, ინგლისელმა მიმომხილველებმა „ოქროს ბურთის" მფლობელი სავარაუდო შემადგენლობაში მაინც შეიყვანეს, თუმცა ვარაუდი ერთია და რეალობა მეორე. იმ შემთხვევაში, თუ პორტუგალიელ ვარსკვლავს ტკივილი თამაშის საშუალებას არ მისცემს, მას გამოცდილი **რაიან გიგზი** შეცვლის. „ოლბორგისთვის" ამ შეხვედრის შედეგს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. დანიელები მომდევნო ეტაპზე ვერ გავიდნენ, თუმცა ბრძოლას უეფას თასზე გააგრძელებენ.

სავარაუდო შემადგენლობები

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, და სილვა, ფერდინადნი, ვიდიჩი, ოში, პარკი, ფლეტჩერი, ანდერსონი, რონალდო, ბერბატოვი, რუნი.

**ოლბორგი:** ზაზა, ბოგელუნდი, ოლფერსი, იაკობსონი, პედერსენი, კაკა, აუგუსტინუსენი, იოჰანსონი, რისგარდი, ენევოლდსენი, კურტი.

**არბიტრი:** ლორენ დუამელი (საფრანგეთი)

### სელტიკი-ვილიარეალი

„მანჩესტერის" მსგავსად გლაზგოში „ვილიარეალიც" პირველი ადგილისთვის იბრძოლებს, თუმცა ესპანური გუნდისთვის ამ მიზნის მიღწევა ოდნავ უფრო რთულია. ამისთვის „მანჩესტერმა" „ოლდ ტრეფორდზე" უნდა წაიფორხილოს. **მანუელ პელეგრინის** ბიჭებს სხვა გამოსავალიც აქვთ, მაგალითად, მათ „იუნაიტედზე" ორი ბურთით მეტი უნდა გაიტანონ და პირველობა განაღდებული ექნებათ. ესპანელების მთავარი მწვრთნელი გადაჭრით ვერ ამბობს, რომ მისი გუნდი მაინცდამაინც პირველ ადგილზე გავა, თუმცა მანუელ პელეგრინის იმაში ეჭვი არ ეპარება, რომ მისი ბიჭები პლეი ოფში ღირსეულად იასპარეზებენ და ძალიან ბევრს გააკვირვებენ. „სელტიკს" რაც შეეხება, ამ გუნდისთვის ყველაფერი დამთავრებულია და ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ ფსიქოლოგიური წნეხისგან თავისუფალმა საოცარ გულშემატკივარს ლამაზი საღამო აჩუქოს. აი, ისეთი, ფეხბურთის მოყვარულებს სტადიონიდან სახლში მისვლის შემდეგ ტკბილად რომ ეძინებათ ხოლმე.

სავარაუდო შემადგენლობები

**სელტიკი:** ბორუცი, ვილსონი, მაკმანუსი, ლუვენსი, ჰინკელი, მელონი, კოლდველი, სკოტ ბრაუნი, ჰარტლი, მაკდონალდი, სამარასი.

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, ანხელი, გონსალო, ფუენტესი, ბრუნო, კასორლა, სენა, ეგურენი, ფერნანდესი, ნიჰათი, როსი.

**არბიტრი:** კლაუდიო ჩირკეტა (შვეიცარია)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 5 | 2 | 3 | 0 | 7-1 | 9 |
| ვილიარეალი | 5 | 2 | 3 | 0 | 9-5 | 9 |
| ოლბორგი | 5 | 1 | 2 | 2 | 7-12 | 5 |
| სელტიკი | 5 | 0 | 2 | 3 | 2-7 | 2 |

### F ჯგუფი

### ლიონი-ბაიერნი

„ლიონი" და „ბაიერნი" ჯგუფში პირველი ადგილის დასაკავებლად იბრძოლებენ. საფრანგეთის ჩემპიონები ტრავმებისაგან შესუსტებულ შემადგენლობას გაიყვანენ. „ლიონმა" ეროვნული ჩემპიონატის ბოლო სამ მატჩში მხოლოდ ერთი ქულა აიღო და „მარსელი" სამი ქულით დაიახლოვა. „ლიონმა" და „ბაიერნმა" ვადაზე ადრე გაინაღდეს ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში ასპარეზობა. გამარჯვების ან უგოლო ფრის შემთხვევაშიც კი, პირველი საფეხური „ლიონს" დარჩება. ნებისმიერი სხვა შედეგი მიუნხენელთა წისქვილზე დაასხამს წყალს.

ლიონელებმა ლიგის წინა ტურში „ფიორენტინას" 2:1 მოუგეს. **კლოდ პიუელის** გუნდს ეს გამარჯვება ძვირად დაუჯდა. გუნდის ბრაზილიელმა ვარსკვლავებმა - **ჟუნინიომ** და **კრისმა** ყვითელი ბარათები დაიმსახურეს. ეს გაფრთხილებები მათთვის მეორე აღმოჩნდა, რის გამოც ავტომატური ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციები მიესაჯათ. პიუელს არც სამი საუკეთესო მცველი - **ფრანსუა კლერი, ანტონი რევეიერი** და **ჯონ მენსა** ეყოლება. ისინი დაშავებულები არიან. საეჭვოა „ლიონის" ყველაზე მძლავრი იარაღის, **ქარიმ ბენზემას** ასპარეზობა. ახალგაზრდა თავდამსხმელს ბარძაყის კუნთი აქვს გასიებული.

„ბაიერნს" საკადრო პრობლემები არ აწუხებს. გამოჯანმრთელდა **ჰამით ალთინთოფიც**, რომელმაც გასულ უქმეებზე სარეზერვო გუნდის შემადგენლობაში შეუცვლელად ითამაშა. თურქ ლეგიონერს ტერფის ტრავმის გამო ოთხი თვე გაუცდა. ბუნდესლიგის ბოლო ტურში, მიუნხენელებმა ლიდერ „ჰოფენჰაიმს" სძლიეს (2:1) და ქულებით გაუთანაბრდნენ. ახლა ჩემპიონთა ლიგის ჯგუფის მოგება დარჩა. თავდასხმაში **ლუკა ტონისა** და **მიროსლავ კლოზეს** ვიხილავთ. გამოჯანმრთელდა **ლუკას პოდოლსკი**, რომელსაც გრიპი ჰქონდა.

სავარაუდო შემადგენლობები

**ლიონი:** ლორისი, გასამა, ტულალანი, ბუმსონგი, გროსო, სანტოსი, მაკუნი, კალსტრიომი, გოვუ, ედერსონი, ფრედი.

**ბაიერნი:** რენზინგი, ოდო, ლუსიო, ვან ბუიტენი, ლამი, შვაინშტაიგერი, ვან ბომელი, რიბერი, ზე რობერტო, ტონი, კლოზე.

**მსაჯი:** ჰოვარდ ვები (ინგლისი)

### სტიაუა-ფიორენტინა

ეს გუნდები უეფას თასის საგზურისათვის ითამაშებენ. მასპინძლებს მხოლოდ გამარჯვება აძლევთ ხელს. სტუმრებს კი ერთი ქულაც ეყოფათ. ლიგის ბოლო ტურში „სტიაუამ" „ბაიერნთან" (სტუმრად) 0:3 წააგო, „ფიორენტინამ" „ლიონს" დიდი ბრძოლა გაუმართა, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა, 1:2. ფლორენციაში, ამ გუნდების პირველი შეხვედრა უგოლოდ დასრულდა. ბუქარესტელებმა იმ ერთ ქულას დღემდე ვერაფერი შემატეს.

საინტერესო სტატისტიკა: „სტიაუა" ჩემპიონთა ლიგაში მეექვსე სეზონს ატარებს. ამ ხნის განმავლობაში მან ჯგუფურ ტურნირში 35 მატჩი ჩაატარა, მხოლოდ ოთხჯერ მოიგო და 11 მატჩი დაასრულა ფრედ. მისი ბოლო გამარჯვება 2006 წლის სექტემბრით თარიღდება - კიევის „დინამოსთან" საშინაო მატჩში. „სტიაუა" ათჯერ შეხვდა იტალიურ კლუბს და ერთხელაც ვერ დაამარცხა ის, უფრო მეტიც, რუმინელებს იტალიელთა კარში გოლიც კი არ გაუტანიათ.

სტუმართა თავდამსხმელ **ადრიან მუტუს** სანაკრებო პარტნიორების - **მირელ რადოის, დორინ გოიანისა** და **ბანელ ნიკოლიტას** წინააღმდეგ მოუწევს ასპარეზობა.

სავარაუდო შემადგენლობები

**სტიაუა:** საპატა, მარინი, გოიანი, გორიანი, გოლანსკი, პეტრე, რადოი, შეკელი, მორენო, ნიკოლიტა, სტანჩუ.

**ფიორენტინა:** ფრეი, ძაური, დაინელი, გამბერინი, ვარგასი, მონტოლივო, მელო, კუზმანოვიჩი, ჟილარდინო, სანტანა, მუტუ.

**არბიტრი:** ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 5 | 3 | 2 | 0 | 12-7 | 11 |
| ბაიერნი | 5 | 3 | 2 | 0 | 9-2 | 11 |
| ფიორენტინა | 5 | 0 | 3 | 2 | 4-8 | 3 |
| სტიაუა | 5 | 0 | 1 | 4 | 3-11 | 1 |

### G ჯგუფი

### დინამო-ფენერბაჩე

ეს შეხვედრაც უეფას თასის საგზურის მფლობელს გამოავლენს. კიეველები თურქებს სამი ქულით უსწრებენ და რა თქმა უნდა, ევროტურნირებზე ასპარეზობის გაგრძელების უკეთესი შანსი აქვთ. „დინამოს" გაცილებით უკეთესი მდგომარეობა ექნებოდა, უჩვეულო სენი რომ არა: გუნდმა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში, ხუთიდან სამ შეხვედრაში ბოლო წუთებზე გაუშვა გოლი და ძვირფასი ქულები გაანიავა. გავიხსენოთ: „დინამომ" „არსენალთან" კიევური მატჩისას, პირველ ტურში, გამაყაიმებელი გოლი 88-ე წუთზე მიიღო. მეოთხე ტურში, „პორტუსთან" სტუმრად 92-ე წუთზე გაუშვა და დამარცხდა. „არსენალთან" ბოლო რურის შეხვედრისას, ლონდონელებმა „დინამოს" კარი 87-ე წუთზე დალაშქრეს.

საინტერესო სტატისტიკა: „დინამოს" ჩემპიონთა ლიგის საშინაო შეხვედრა ოთხი წელია, არ მოუგია. ასევე ოთხი წელია, რაც „ფენერბაჰჩეს" ლიგის გასვლით მატჩში არ გაუმარჯვია. „დინამოს" ჯერჯერობით უკანასკნელი წარმატება 2004 წლის ნოემბრით თარიღდება - „რომასთან" 2:0. მას მერე უკრაინულმა გრანდმა შინ ექვსჯერ წააგო და ორჯერ ფრედ ითამაშა. სტუმრად „ფენერის" ბოლო წარმატება 2004 წლის დეკემბერში დაფიქსირდა - „სპარტასთან" 1:0. მას მერე თურქებმა მეტოქის მოედანზე ათი შეხვედრა გამართეს, შვიდჯერ წააგეს და სამჯერ ითამაშეს ფრედ.

სავარაუდო შემადგენლობები

**დინამო:** ბოგუში, ელ ხადური, ასათიანი, დიაკატი, ბეტაო, გიოანე, ვუკოევიჩი, კრავეცი, მილევსკი, ერიომენკო, ბანგურა.

**ფენერბაჰჩე:** ვოლქანი, გოხანი, აქმაქი, ედუ, რობერტო კარლოსი, ხოსიკო, ემრე, ბორალი, ალექსი, დეივიდი, გუისა.

**არბიტრი:** ფლორიან მაიერი (გერმანია)

### პორტუ-არსენალი

„არსენალი" „პორტუს" მხოლოდ ერთხელ ესტუმრა - 2006-07 წლების სეზონში. იმხანად ორივე გუნდი ფლეი ოფში იყო გასული. ამ გუნდების ლონდონური მატჩი მასპინძლებმა 2:0 მოიგეს, პორტუგალიაში კი უგოლო ფრეს დასჯერდნენ.

„არსენალს" პირველი ადგილის გასანაღდებლად ფრეც ჰყოფნის. „მეთოფეებს" **ვილიამ გალასი** და **აბუ დიაბი** გამოუჯანმრთელდათ. განაცხადშია **ემანუელ ებუეც**. **არსენ ვენგერმა** მორიგი სარისკო გადაწყვეტილება მიიღო და წამყვანი ფეხბურთელების მთელი ჯგუფი შინ დატოვა. პორტუგალიაში არ გაემგზავრნენ **ემანუელ ადებაიორი, სამირ ნასრი** (დაშავებულია), **ბაკარი სანია** და **კოლო ტურე**. მათ ნაცვლად განაცხადში მოხვდნენ ყმაწვილები - **აარონ რემსი, კირან გიბსი, გევინ ჰოიტი, მარკ რენდალი, ფრან მერიდა, ჯეკ უილშირი** და **ჯეი სიმპსონი**.

„პორტუს" წამყვანი მარჯვენა მცველი **კრისტიან საპურანუ** არ ეყოლება. სამაგიეროდ, გამოჯანმრთელდა ფლეიმეიქერი ლუჩო გონსალესი, რომელიც ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. გამარჯვების შემთხვევაში, პირველი ადგილი პორტუგალიელებს დარჩებათ.

მიმდინარე გათამაშებაში ამ გუნდების ლონდონური შეხვედრა მოულოდნელი ანგარიშით დასრულდა. მასპინძლებმა მეტოქე მიწასთან გაასწორეს და ოთხი უპასუხო გოლი უძღვნეს მას.

სავარაუდო შემადგენლობები

**პორტუ:** ელტონი, პედრო ემანუელი, ბრუნო ალვეში, როლანდო, ფუჩილე, რაულ მეირელეში, ფერნანდო, კოშტა, კრისტიანი, ჰალკი, ლისანდრო ლოპესი.

**არსენალი:** ალმუნია, ჟურუ, გალასი, სილვესტრი, კლიში, სესკი, სონგი, დენილსონი, რემსი, ველა, ვან პერსი.

**არბიტრი:** კიროს ვასარასი (საბერძნეთი)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 5 | 3 | 2 | 0 | 11-3 | 11 |
| პორტუ | 5 | 3 | 0 | 2 | 7-8 | 9 |
| დინამო | 5 | 1 | 2 | 2 | 3-4 | 5 |
| ფენერბაჩე | 5 | 0 | 2 | 3 | 4-10 | 2 |

### H ჯგუფი

### რეალი-ზენიტი

მადრიდის „რეალი" ცხოვრების ახალ ეტაპს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩით იწყებს. ახალი ეტაპი, რა თქმა უნდა, სამეფო კლუბში ახალი მწვრთნელის მოსვლითაა განპირობებული. ესპანური გრანდი მძიმე მდგომარეობაშია, მაგრამ **ხუანდე რამოსი** მუშაობას ოპტიმიზმით იწყებს. მას სჯერა, რომ სიტუაცია ძალიან მალე გამოსწორდება. უშუალოდ ჩემპიონთა ლიგას რაც შეეხება, მასპინძლებისთვის „ზენიტთან" შეხვედრას არანაირი პრაგმატული დანიშნულება არ გააჩნია, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ ესპანელები შემართებითა და დიდი მონდომებით ითამაშებენ. ბუნებრივია, ხუანდე რამოსს ძალიან უნდა, რომ მოღვაწეობა გამარჯვებით დაიწყოს. ძნელი სათქმელია, ტრავმებითა და უამრავი სხვა პრობლემით დამძიმებული „რეალი" ამ ამოცანას რამდენად წარმატებით გაართმევს თავს. და მაინც, „რეალი" „რეალია" და არანაირი უფლება არ აქვს აღზევებულ პროვინციულ საფეხბურთო გუნდთან გულშემატკივრებს უსიამოვნო სიურპრიზი შესთავაზოს. „ზენიტის" დამარცხება, რა თქმა უნდა, ღირსებისა და თავმოყვარეობის საქმეა. მერე რა, რომ მასპინძლებს **რუუდ ვან ნისტელროი** და სხვა საკვანძო ფეხბურთელები არ ეყოლებათ, ისინი ისე არ უნდა დაეცნენ, რომ სამეფო კლუბის ისტორიაში „გაზპრომის" ფულებით აღზევებულ უსახო გუნდთან წარუმატებლობა ჩაწერონ.

სავარაუდო შემადგენლობები

**რეალი:** კასილიასი, მ. სალგადო, სერხიო რამოსი, მეტცელდერი, მარსელო, დრენტე, გაგო, რობენი, გუტი, იგუაინი, რაული.

**ზენიტი:** მალაფეევი, შირლი, ლომბერტსი, კრიჟანაკი, ანიუკოვი, ტიმოშჩუკი, ზირიანოვი, დანი, დენისოვი, არშავინი, პოგრებნიაკი.

**არბიტრი:** იონას ერიკსონი (შვედეთი)

### იუვენტუსი-ბატე

„რეალისა" და „ზენიტის" შეხვედრის მსგავსად აქაც ყველაფერი გარკვეულია. „იუვენტუსს" საპატიო პირველი ადგილი განაღდებული აქვს. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, მაშინ გადაწყდა, როცა „ბებერმა ქალბატონმა" სამეფო კლუბს ორივე შეხვედრა მოუგო. **კლაუდიო რანიერის** საშუალება ეძლევა „ბატესთან" პაექრობაში ექსპერიმენტები ჩაატაროს და სხვადასხვა ტაქტიკური მონახაზი, თუ ფეხბურთელი გამოსცადოს. იტალიელმა მიმომხილველებმა **დელ პიერო** სავარაუდო შემადგენლობაში კი ჩაწერეს, მაგრამ შეიძლება ისე მოხდეს, რომ კუნთის დაჭიმულობის გამო ალექსმა მოედანზე გასვლა ვერ შეძლოს. ამ შემთხვევაში „იუვეს" კაპიტნის ნაცვლად **სებასტიან ჯიოვინკო** იასპარეზებს.

„ბატეს" ამბავი გარკვეულია. ბელარუსებმა საფეხბურთო საზოგადოების სიმპათია და მოწონება დაიმსახურეს. ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთმა ყველაზე ღარიბმა კლუბმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მართალია, ისინი უეფას თასზეც ვერ მოხვდნენ, მაგრამ ამ ეტაპზე იმითაც კმაყოფილი უნდა იყვნენ, რომ მსოფლიომ გაიცნო და სპეციალისტებისგან მრავალი კომპლიმენტი მიიღეს.

სავარაუდო შემადგენლობები

**იუვენტუსი:** გრიგა, ლეგროტალიე, კიელინი, მოლინარო, მარკოლინი, სისოკო, მარკიზო, ნედვედი, დელ პიერო, ამაური.

**ბატე:** ვერემკო, ხაგუში, კაზანცევი, სოსნოვსკი, იურევიჩი, კრივეტსი, ვოლოდკო, ლიხტაროვიჩისტასევიჩი, ბლიზნიუკი, როდიონოვი.

**არბიტრი:** კოსტას კაპიტანისი (კვიპროსი)

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 5 | 3 | 2 | 0 | 7-3 | 11 |
| რეალი | 5 | 3 | 0 | 2 | 6-5 | 9 |
| ზენიტი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-4 | 5 |
| ბატე | 5 | 0 | 2 | 3 | 3-8 | 2 |

**ილია ნიკოლაიშვილი**

ვერდერი

# დიეგო და პისარო დაისაჯნენ

## პერუელს სამი, ბრაზილიელს ოთხი მატჩი. შააფს გაუჭირდება

„კარლსრუესთან" განცდილი მარცხი ბრემენის „ვერდერს" მხოლოდ სამი ქულის დაკარგვის ფასად როდი დაუჯდა, „მუსიკოსებმა" ამ მატჩის შემდეგ ერთბაშად სამი წამყვანი ფეხბურთელი დაკარგეს. თავდამსხმელ **კლაუდიო პისაროს** და გამთამაშებელ **დიეგოს** დისკვალიფიკაციები მიესაჯათ, მეორე ფორვარდმა **უგო ალმეიდამ** კი ტრავმა მიიღო.

პერუელმა თავდამსხმელმა მატჩის დროს **მარტინ შტოლს** სახეში გაარტყა, რისთვისაც ის მოედნიდან გააძევეს. ამ არასპორტული საქციელის გამო პისარო ბუნდესლიგის მომდევნო სამ ტურს გამოტოვებს. ამრიგად, მისთვის მიმდინარე სეზონის პირველი წრე უკვე დასრულებულია, რადგან როგორც იცით, ერთი ტურიც და გერმანიის ჩემპიონატში ზამთრის არდადეგები დაიწყება. ასე რომ, პისარო ვერც „ვოლფსბურგთან" ითამაშებს და ვერც თებერვლის დასაწყისში, „არმინიასთან" და „შალკესთან". თამამად შეიძლება ითქვას, რომ პისაროს არყოფნა **თომას შააფის** გუნდისთვის სერიოზული დანაკლისი იქნება. კლაუდიოს ამ სეზონში 13 მატჩში 10 გოლი აქვს გატანილი.

„ვერდერისთვის" უფრო მტკივნეულია დიეგოს არყოფნაა, რომელსაც გერმანიის საფეხბურთო კავშირის სადისციპლინო კომისიამ ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა. ბრაზილიელი „კარლსრუესთან" მატჩის დროს, ბადენელთა მარცხენა მცველ **კრისტიან აიხნერს** ყელში სწვდა, თუმცა მსაჯმა **გვიდო ვინკმანმა** მისი არასპორტული საქციელი ვერ შენიშნა და დიეგო მოედნიდან არ გააძევა. მაგრამ სადისციპლინო კომისიას ეს არ გამოჰპარვია და განხილვის შემდეგ დიეგო ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაისაჯა. ასე რომ, „ვოლფსბურგთან" „ვერდერს" ის ორი ფეხბურთელი არ ეყოლება, რომლებსაც ერთად 18 გოლი აქვთ გატანილი. სულ „მუსიკოსების" ანგარიშზე კი 37 გოლია.

თითქოს ეს საკმარისი არ იყო, „ვერდერის" ფანებმა გუშინ კიდევ ერთი, მეტად არასასიამოვნო ინფორმაცია შეიტყვეს: დაშავდა და მე-17 ტურში ვერ ითამაშებს პორტუგალიელი თავდამსხმელი **უგო ალმეიდაც**. ეს უკანასკნელი ლაზარეთში 3-4 კვირას დაჰყოფს. ასე რომ, შააფს და მის ისედაც კრიზისში მყოფ სამწყსოს, ძალიან გაუჭირდება...




კლაუდიო პისარო (მარცხნივ) და დიეგო (მარჯვნივ) კარლსრუესთან ცუდად მოიქცნენ და დაისაჯნენ

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანჩესტერ სიტი

# ჰიუზი ხელებს იფშვნეტს

## სიტიმ კასილიასს დაადგა თვალი, სპეკულაციების თანახმად, მანჩესტერში კაკასა და რიბერისაც ელოდებიან...

მოგეხსენებათ, „მანჩესტერ სიტი" ინგლისისა და ევროპის ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბია. მისი ფინანსური რესურსები შეუზღუდავია. გასაკვირი არ არის, რომ სატრანსფერო ბაზარზე „სიტი" ნებისმიერი ევროპული გრანდისათვის ანგარიშგასაწევ ძალად მოიაზრება. მარკ ჰიუზი ზამთარში ხუთი ფეხბურთელის შეძენას აპირებს. პრესა, როგორც ყოველთვის, მხოლოდ ხმაურიან ტრანსფერებზე აკეთებს აქცენტს. ინგლისურ ტაბლოიდებში ვკითხულობთ, რომ **კაკა** და **რიბერი**, შეიძლება, მანჩესტერში აღმოჩნდნენ.

ჰიუზმა ინტერვიუ მისცა „მანჩესტერ ივნინგ ნიუსს". უელსელმა მწვრთნელმა არ დამალა, რომ სოლიდური ფინანსური რესურსის მიუხედავად, სუპერვარსკვლავები „სიტისთან" საქმის დაჭერას თავს არიდებენ. მიზეზი პროზაულია - კლუბი ჩემპიონთა ლიგაში არ თამაშობს და არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მომავალ სეზონშიც ვერ ითამაშებს. აი, რას აცხადებს „ქალაქელთა" თავკაცი: *„ჩვენ არ გვჭირდება ტრანსფერები ყურადღების მისაქცევად. გუნდის გასაძლიერებლად შემადგენლობის დაბალანსებაა საჭირო. აგენტები სიტუაციის სათავისოდ გამოყენებას ცდილობენ და ათასგვარ ვარიანტს გვთავაზობენ, მაგრამ მათი კლიენტები ყოველთვის იმ პოზიციაზე არ თამაშობენ, სადაც „სიტის" ყველაზე მეტად უჭირს. იმ მოთამაშეთა უმრავლესობა, ვისთანაც კავშირზე გასვლას ვცდილობთ, ჩემპიონთა ლიგაში თამაშობს. იანვარში ყველაზე უფრო ძნელია მაღალი დონის მოთამაშის გადაბირება... ჩვენს კლუბს ხუთი პოზიციის გაძლიერება სჭირდება. მენეჯერები ამ საკითხზე უკვე მუშაობენ. გუნდში ფეხბურთელის ჩარიცხვის საკითხს ერთპიროვნულად ვწყვეტ. კლუბის მესაკუთრეთა როლი მხოლოდ ფულის გამოყოფით ამოიწურება. ისინი მწვრთნელის საქმეში არ ერევიან".*

ერთ-ერთი პოზიცია, რომლის გაძლიერებასაც ჰიუზი იანვარში აპირებს, მარცხენა მცველის პოზიციაა. მანჩესტერელებმა „ლიონისა" და იტალიის ნაკრების ვარსკვლავს, **ფაბიო გროსოს** დაადგეს თვალი. „სიტიმ" საფრანგეთის ჩემპიონებს გარიგების სანაცვლოდ 9 მილიონი გირვანქა შესთავაზა, თავად ფეხბურთელს კი დღევანდელთან შედარებით ორჯერ მაღალი ანაზღაურება.

ჯერ კიდევ ზაფხულის ტრანსფერებისას, „სიტიმ" „იუვენტუსის" გოლკიპერის, **ჯანლუიჯი ბუფონის** შეძენა მოინდომა. ბუფონმა ინგლისელები თავაზიანი უარით გაისტუმრა. მანჩესტერელები მსოფლიო დონის მეკარის შეძენის იმედს არ კარგავენ. მათი მორიგი სამიზნე მადრიდის „რეალის" კარის დარაჯი **იკერ კასილიასია**. ინგლისურ ტაბლოიდებს თუ დავუჯერებთ, ესპანელ ვარსკვლავს საარაკო ხელფასი, წელიწადში 11 მილიონი ევრო შესთავაზეს, მაგრამ ის „რეალის" დატოვებას არ ჩქარობს.

აქვე გეტყვით, რომ „სიტი" კვლავ დაინტერესებულია „ბლექბერნისა" და პარაგვაის ნაკრების თავდამსხმელით, **როკე სანტა კრუსით**. ზაფხულის ტრანსფერებისას ჰიუზმა „ვარდებს" 12 მილიონი გირვანქა შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. „დეილი მეილის" მტკიცებით, იანვარში „ბლექბერნს" 15 მილიონ გირვანქასა და ახალგაზრდა მცველ **ნედუმ ონუოჰას** შესთავაზებენ.



მარკ ჰიუზი

მოსალოდნელი გარიგება

# პორტსმუთი იყიდება

## ადამსი გულშემატკივრებს ამშვიდებს



ტონი ადამსი

ბიზნესმენმა **ალექსანდრ გაიდამაკმა** "პორტსმუთის" გაყიდვა გადაწყვიტა. 32 წლის საქმოსანმა განაცხადა, რომ იძულებული გახდა, ასე მოქცეულიყო, რადგან სხვა საქმეების გამო საფეხბურთო კლუბისთვის დრო აღარ რჩება. მიმომხილველები ეჭვობენ, რომ გაიდამაკის გადაწყვეტილებაზე გავლენა იქონია გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმაც. *"მივხვდი, რომ საფეხბურთო ბიზნესისათვის დრო აღარ მრჩებოდა. პირობას ვიძლევი, რომ კლუბს პირველსავე შემხვედრს არ მივყიდი. მოგეხსენებათ, უკვე არსებობს ახალი სტადიონისა და ბაზის მშენებლობის გეგმა. "პორტსმუთის" გაყიდვის ერთ-ერთი წინაპირობა ხსენებული პროექტების ხორცშესხმა იქნება. კლუბში იქამდე დავრჩები, სანამ ღირსეულ პარტნიორს არ ვიპოვი,"* - განუცხადა გაიდამაკმა "სანდი მირორს".

რამდენიმე კვირის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მიმდინარეობდა მოლაპარაკება მავან სამხრეთაფრიკულ კონსორციუმთან, თუმცა ბიზნესმენის პრესსამსახურმა ეს ინფორმაცია კატეგორიულად უარყო - „პორტსმუთის" გაყიდვა ახლახან გადაწყდა და გადაწყვეტილების მიღებამდე მოლაპარაკებას როგორ დავიწყებდითო. უფრო მეტიც, პრესსამსახური ირწმუნება, რომ გაზეთებში გაჟღერებული აფრიკული კომპანია "პორტსმუთით" მაშინ იყო დაინტერესებული, როცა კლუბს თავად გაიდამაკი ყიდულობდა და რომ მას შემდეგ აფრიკელები აღარ გამოჩენილან.

გაიდამაკმა უკვე ორი წინადადება უარყო: *„კომპანიების ვინაობას არ გავამხელ, თუმცა მოლაპარაკებებისას დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ისინი საფეხბურთო ბიზნესში დიდი ხნით დარჩენას არ აპირებდნენ. კლუბის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი ნაკლებად მაინტერესებს. მთავარია, „პორტსმუთისათვის" იდეალური მყიდველი შეირჩეს. უსაფუძვლოა სპეკულაციები იმის თაობაზე, თითქოს კლუბში მძიმე ფინანსური ვითარება სუფევდეს... გული მწყდება, რომ ვემშვიდობები ასეთ შესანიშნავ კლუბსა და გულშემატკივრებს. გარწმუნებთ, შარშანდელმა წარმატებებმა უდიდესი სიამოვნება მომანიჭა. კმაყოფილი ვარ, რომ კლუბს იმაზე უკეთეს მდგომარეობაში ვტოვებ, ვიდრე ჩემს მოსვლამდე იყო..."*

ბატონი გაიდამაკი „პორტსმუთში" 2006 წლის დასაწყისში მივიდა და მაშინდელი მფლობელის, **მილან მანდარიჩისგან** აქციების 50 პროცენტი შეიძინა. ამას გარდა, გაიდამაკმა იანვრის ტრანსფერებისათვის 20 მილიონი გირვანქა გამოყო. ივლისში კლუბის აქციების დარჩენილი ნაწილიც შეისყიდა. მისი მოღვაწეობისას, „პორტსმუთი" ინგლისის თასს დაეუფლა და არსებობის ისტორიაში პირველად გავიდა ევროთასებზე. „პორტსმუთის" მთავარმა მწვრთნელმა **ტონი ადამსმა** გულშემატკივრები დაამშვიდა და განაცხადა: *„გაიდამაკმა დამარწმუნა, რომ ის კლუბის გაყიდვას არ ჩქარობს და შესაფერის წინადადებას ელის. იძულებული ვარ თუ არა, რომ წამყვანი ფეხბურთელები გავყიდო? არა, მითხრეს, რომ საკადრო საკითხები მთლიანად ჩემს ნებაზე გახლავთ დამოკიდებული".*

ნიუკასლი

# კინეირი ისევ უზრდელობს

## ოუენმა ახალი კონტრაქტი მოითხოვა

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ „ნიუკასლის" თავკაც **ჯო კინეირს** კიდევ ერთხელ დასდო ბრალი მსაჯის სიტყვიერ შეურაცხყოფაში. ინციდენტი შაბათს, „სტოკ სიტისთან" კალენდარული მატჩისას მოხდა. „კაჭკაჭების" თავკაცის აღშფოთება არბიტრ **მაიკ რაილის** მიერ მისი გუნდის კარში დანიშნულმა საჯარიმომ გამოიწვია. ასოციაციის გადაწყვეტილებით, კინეირმა 23 დეკემბრამდე ახსნა-განმარტებითი ბარათი უნდა დაწეროს, წინააღმდეგ შემთხვევაში დაეკისრება ფინანსური სანქცია და ხანგრძლივი დროით ჩამოშორდება მინდორს. მიმდინარე სეზონში კინეირმა ერთხელ უკვე გამოიჩინა თავი მსაჯის შეურაცხყოფით. 9 ნოემბერს, „ფულჰემთან" წაგებული მატჩისას (2:1), მან 37 წლის **მარტინ ატკინსონს** შეაგინა.

„ნიუკასლის" თემას **მაიკლ ოუენზე** საუბრით გავაგრძელებთ. მოგეხსენებათ, მისი კონტრაქტი სეზონის ბოლოს იწურება. სპეკულაციების თანახმად, ფეხბურთელით „პარი სენ ჟერმენი", ლივერპული" და „ჩელსი" არიან დაინტერესებულნი, მაგრამ ვარსკვლავს „სენტ ჯეიმსზე" დარჩენა სურს. კლუბი მაიკლის ხელშეკრულების გაგრძელებას ზაფხულში გეგმავდა, მაგრამ **კევინ კიგანის** გუნდიდან წასვლისა და „კაჭკაჭების" ბანაკში გამეფებული ქაოსის გამო მოლაპარაკება გაურკვეველი დროით გადაიდო.

აი, რას აცხადებს ოუენი: *„კლუბთან მოლაპარაკებას დიდხანს ვაწარმოებდი. ამასობაში, „ნიუკასლიდან" არაერთი მაღალჩინოსანი წავიდა, მათ შორის ისინიც, ვისთანაც ხელშეკრულების პირობებს ვათანხმებდი. როგორც კი კლუბის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის საშუალება მომეცემა, ამ საკითხზეც ჩამოვაგდებ სიტყვას. აქამდე, კლუბში ყველაფერი თავდაყირა იდგა და კონტრაქტებისთვის არავის ეცალა."*



მაიკლ ოუენს ნიუკასლთან ახალი კონტრაქტის გაფორმება სურს

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ამბები

## გატუზო შეებულებაში

**ჯენარო გატუზოს** ექვსთვიანი იძულებითი შვებულება ემუქრება. "კატანიასთან" ბოლო ტურის მატჩისას (1:0) მან მუხლის ჯვარედინი მყესები დაიზიანა. გატუზოს ტრავმა "როსონერისათვის" სერიოზული დანაკლისია. გუშინ კლუბის პრესსამსახურმა ასეთი შინაარსის განცხადება გაავრცელა: *"კატანიასთან" ნამატჩევს ჯენარო გატუზომ საფუძვლიანი შემოწმება გაიარა. დადგინდა, რომ მას დაზიანებული აქვს მუხლის წინამდებარე ჯვარედინი მყესი. საავადმყოფოში ყოფნისას, გატუზოს "მილანის" ექიმი ჟან-პიერ მეერსემანი ახლდა. ფეხბურთელის სარეაბილიტაციო პროცედურებს ის უხელმძღვანელებს."* ჯერჯერობით უცნობია, დასჭირდება თუ არა ნახევარმცველს ოპერაციის გაკეთება. ოპერაციის შემთხვევაში, მისი დაბრუნება კიდევ უფრო ხანგრძლივი დროით გადაიდება. ამ უქმეებზე მილანელები "იუვენტუსს" ეთამაშებიან. "როსონერის" წამყვანი ნახევარმცველის გარეშე მოუწევს ფონს გასვლა.

## ნორვეგია მწვრთნელს ეძებს

ნორვეგიის ნაკრები უმწვრთნელოდ დარჩა. **ააგე ჰარეიდემ** თანამდებობა საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა. მიზეზი ის გახლავთ, რომ 2008 წელს ნორვეგიელებმა ძალიან წარუმატებლად იასპარეზეს. გუნდმა მთელი წლის განმავლობაში ერთი თამაშიც ვერ მოიგო. მან ფრედ დაასრულა ოთხი შეხვედრა და ოთხშიც მარცხი იწვნია. ნორვეგიელებს მსოფლიოს ჩემპიონატის მეცხრე შესარჩევ ჯგუფში ბოლო ადგილი უჭირავთ. მათ სამ მატჩში ორად-ორი ქულა დააგროვეს. ამ ჯგუფის ლიდერი ჰოლანდიის ნაკრებია.

ნორვეგიის ფეხბურთის ფედერაცია ახალი მწვრთნელის დანიშვნას არ იჩქარებს. ის ყველა ვარიანტს გულდასმით განიხილავს. ფედერაციას დრო გაზაფხულამდე აქვს. მოგეხსენებათ, ევროპაში სანაკრებო სეზონი თებერვალ-მარტში იწყება. ნორვეგიის ნაკრებს კრიზისი მას შემდეგ დაეწყო, რაც გუნდიდან აღიარებული ლიდერები წავიდნენ (მაგალითად, **ოლე გუნარ სოლსკიაერი**, რომელმაც გუნდში უკანასკნელად 2007 წელს ითამაშა).

## საბრალო ინგლისელი გულშემატკივარი

ინგლისელ გულშემატკივარს სტადიონებზე ტყავს აძრობენ. ასეთ დასკვნამდე მივიდა პოპულარული ინგლისური ტაბლოიდის, „მირორის" მიმომხილველი. მისი ინფორმაციით, პრემიერლიგის უძვირესი არენა "სტემფორდ ბრიჯია", სადაც ადგილობრივ და სტუმარ გულშემატკივარს ერთი კათხა ლუდის შესაძენად, რომელშიც ნახევარი ლიტრი სანუკვარი სითხე ჩადის, ოთხი გირვანქის გადახდა უწევს. ლუდი ნახევარი გირვანქით იაფი ღირს სხვა დედაქალაქური კლუბების – „არსენალის", „ვესტ ჰემისა" და „ფულჰემის" სტადიონებზე. სამგირვანქანახევარი დაგიჯდებათ ლუდის მოწრუპვა „მანჩესტერ სიტის" სტადიონზეც. ინგლისის ყველაზე პოპულარული კლუბების, „მანჩესტერ იუნაიტედისა" და „ლივერპულის" არენებზე ერთ კათხას სამ გირვანქად შეიძენთ. ყველაზე იაფად პირის გასველება კი ვიგანის „ჯეი-ჯეი-ბი სთედიუმზე" შეგიძლიათ. იქ ეს სიამოვნება 2.7 გირვანქა დაგიჯდებათ. მაგრამ ჩვეულებრივი ბრიტანელის ჯიბისათვის ეს 2.7 გირვანქაც დიდი ტვირთია, აღარაფერს ვამბობთ პრემიერლიგის მატჩებზე დასასწრები ბილეთების ასტრონომიულ ფასზე. ბილეთის სიძვირის მიუხედავად, გულშემატკივარი ერთგულად დაიარება საყვარელი გუნდის გასამხნევებლად. „მირორის" აზრით, მათთვის ლუდის ასეთ ფასში მიყიდვა ნამდვილი უსამართლობაა და ამ უსამართლობას აუცილებლად უნდა დაესვას წერტილი.

## მოიესი: წარმატება მილიონები ღირს

„ევერტონის" თავკაცი **დევიდ მოიესი** მიიჩნევს, რომ პრემიერლიგის საუკეთესო ოთხეულში მოსახვედრად ტრანსფერებში, სულ ცოტა, 30 მილიონი გირვანქის დახარჯვაა საჭირო: *„ევერტონში" დანიშვნის შემდეგ, ჩვენს გუნდს მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ადგილები ეკავა. ერთი-ორჯერ სულ ცოტა დაგვაკლდა, რომ სეზონი მეოთხე ადგილზე დაგვესრულებინა. ჩემი აზრით, 30-40 მილიონი გირვანქა ის მინიმალური თანხაა, რომელიც ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვისაა საჭირო. მაგრამ ბოლო დროს სულ უფრო მეტი კლუბი ხარჯავს ათეულობით მილიონს – „მანჩესტერ სიტი", „ასტონ ვილა", „ტოტენჰემი", „ნიუკასლი"... შესაძლოა, ოთხეულისათვის ზემოთ ხსენებული თანხა საკმარისი სულაც აღარ იყოს. რეალურია თუ არა საუკეთესო ოთხეულთან გათანაბრება? ჩემი აზრით, რეალურია, თუ ოთხი-ხუთი სეზონის განმავლობაში ყოველ ზაფხულს 40-მდე მილიონ გირვანქას დახარჯავ."*

## უკრაინისა და პოლონეთის ერთობლივი ანგარიში

დღეს უეფას შტაბბინაში უკრაინისა და პოლონეთის დელეგაციები ევრო 2012-ისთვის მზადების შესახებ ერთობლივ ანგარიშს წარადგენენ. მოხსენებას წაიკითხავს საორგანიზაციო კომიტეტის ერთ-ერთი წევრი, უკრაინის ვიცე-პრემიერი **ივან ვასიუნიკი**: *„უეფას ვაცნობებთ კრიზისული სიტუაციების ლიკვიდაციისა და წმინდა საორგანიზაციო საკითხების შესახებ. უკრაინის მთავრობის სახელით ვაცხადებ, რომ ქვეყანაში ყველაფერი გაკეთდება სასტუმროების მშენებლობის სტიმულირებისთვის"*, - განაცხადა უკრაინელმა მაღალჩინოსანმა. ჩვენი გაზეთი უკვე გაცნობებდათ, რომ გადაწყდა კიევის ცენტრალური არენის თანამედროვე დონეზე გარემონტება, რაშიც უზარმაზარი თანხა დაიხარჯება. გარდა ამისა, ლვოვში აშენდება სუპერთანამედროვე სტადიონი, რომელიც ექსპლუატაციაში სწორედ ევროპის ჩემპიონატის წინ შევა. პოლონეთის სპორტის მინისტრის **მიროსლავ ჟევეცკის** განცხადებით, მის ქვეყანაში ევროპის ჩემპიონატისათვის მზადება უეფასთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს.

## ცხოველმა კარიერა დაასრულა

სკანდალურად ცნობილმა ბრაზილიელმა ვარსკვლავმა, 37 წლის **ედმუნდომ** კარიერა დაასრულა. ბოლოს ის ბრაზილიის ქვედა დივიზიონში დაქვეითებულ „ვასკო და გამაში" თამაშობდა და სოლიდური ასაკის მიუხედავად, საკმაო წარმატებითაც. წელს, 25 შეხვედრაში, მან 13 გოლი გაიტანა. გარდა უსაზღვრო საფეხბურთო ნიჭისა, ედმუნდო აუტანელი ხასიათითა და ზღვარსგადასული პრეტენზიულობითაც გამოირჩეოდა. მას კონფლიქტი ჰქონდა **რომარიოსთან**, რის გამოც „სელესაოში" იშვიათად იწვევდნენ. ამის მიუხედავად, ედმუნდომ ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში 37 შეხვედრა ჩაატარა და 9 გოლი შეაგდო. აქვე შეგახსენებთ იმ კლუბების სიას, სადაც ედმუნდოს უთამაშია: „ვასკო და გამა" (კლუბში ხუთჯერ დაბრუნდა), „პალმეირასი" (ორჯერ დაბრუნდა), „ფლამენგო", „კორინთიანსი", „ფიორენტინა", „სანტოსი", „ნაპოლი", „კრუზეირო", „ტოკიო ვერდი", „ურავა რედ დაიმონდსი" და „ფლუმინენსე".

## ნიანგი დაიმტვრა

შაბათს "მარსელი"-"ნიცის" შეხვედრაში მე-60 წუთზე სტუმარ **სედრიკ კანტესთან** უხერხული ორთაბრძოლისას სერიოზულად დაშავდა მასპინძელთა თავდამსხმელი **მამადუ ნიანგი**. ფეხბურთელი ამოტრიალებით ცდილობდა ბურთის დარტყმას, როცა მეტოქეს ბუცი თავში ჩაარტყა. მან მარჯვენა ფეხის თითი მოიტეხა და მინდორს დიდი ხნით ჩამოშორდა. ნიანგის ნაცვლად შეხვედრაში **მამადუ სამასა** ჩაერთო. *"ეს კლასიკური მოტეხილობა გახლავთ და აშკარად საჭიროებს სასწრაფო ქირურგიულ ჩარევას. მამადუს ოთხიდან ექვს კვირამდე გაუცდება"*, - განაცხადა "მარსელის" მთავარმა ექიმმა **კრისტოფ ბოდომ**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შუსტერი ქუჩაში, რამოსი საქმესთან

## კალდერონმა მწვრთნელი სუპერკლასიკოს წინ შეგნებულად შეცვალა

გუშინ საღამოს „რეალის" გენერალურმა დირექტორმა **პრედრაგ მიატოვიჩმა** სრულიად მოულოდნელად პრესკონფერენცია დანიშნა. სამეფო კლუბის პრესსამსახური საკმაოდ რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მასშტაბური პრესკონფერენციის მცირე დროში ორგანიზება იოლი არ გახლავთ. არადა, მიატოვიჩს ისეთი ინფორმაცია უნდა გაეხმაურებინა, რომ პრესკონფერენცია სწორედ მასშტაბური უნდა ყოფილიყო. „რეალის" პრესსამსახურის გამოცდილმა თანამშრომლებმა უშეცდომოდ იმუშავეს. მათი მეცადინეობით საკონფერენციო დარბაზში 100-ზე მეტმა კორესპონდენტმა მოიყარა თავი. მიატოვიჩმა საუბარი ზედმეტი ფორმალობისა და მიკიბვ-მოკიბვის გარეშე დაიწყო:

*„ამ დილით სამეფო კლუბის დირექტორთა საბჭოს რიგგარეშე სხდომა გაიმართა. კოლეგების წინაშე საანგარიშო სიტყვით წარვდექი. ჩემს მოხსენებაში გუნდში არსებულ სიტუაციაზე ვისაუბრე. შემდეგ სენიორ რამონ კალდერონმა ილაპარაკა. პრეზიდენტმა დირექტორატს თავისი შეხედულება და შეფასება გააცნო. მომდევნო ორი საათი დებატებს მოხმარდა, საბოლოოდ გადავწყვიტეთ, რომ ბერნდ შუსტერთან თანამშრომლობა შევწყვიტოთ. დიახ, გერმანელ სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულება ძალადაკარგულადაა გამოცხადებული. ეს არ გახლდათ იოლი გადაწყვეტილება. შუსტერმა საჩემპიონო ტიტული მოგვიტანა, მაგრამ ახლა სულ სხვა სიტუაციაა და მიგვაჩნია, რომ „რეალს" ახალი სპეციალისტი სჭირდება. ბუნებრივია, შუსტერის მემკვიდრეზეც დირექტორატის საბჭოზე ვიმსჯელეთ. მე და კალდერონმა კოლეგებს ხუანდე რამოსის კანდიდატურა შევთავაზეთ. უნდა გაგიმხილოთ, რომ სენიორ რამოსს დირექტორატში რამდენიმე მოწინააღმდეგე აღმოაჩნდა, მაგრამ ჯანსაღი დებატისა და კენჭისყრის შემდეგ მისი კანდიდატურა დამტკიცდა. მოკლედ, სენიორ ხუანდე რამოსი მადრიდის „რეალის" ახალი მთავარი მწვრთნელია".*

სიმართლე ითქვას, **ბერნდ შუსტერის** გადაყენება მოულოდნელი გადაწყვეტილება არ ყოფილა, მაგრამ საზოგადოება დარწმუნებული იყო, რომ გერმანელ სპეციალისტს, სულ მცირე, სუპერკლასიკომდე მისცემდნენ მუშაობის საშუალებას, მაგრამ ხელმძღვანელობამ დროის დაკარგვა აღარ ისურვა და შუსტერი სახლში გაუშვა. დღეს „ზენიტის" წინააღმდეგ სამეფო კლუბს სწორედ **ხუანდე რამოსი** უხელმძღვანელებს. „სევილიისა" და „ტოტენჰემის" ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა გუშინ პირველი ვარჯიშიც ჩაატარა. აქვე მოგახსენებთ, რომ ახალ მწვრთნელთან ექვსთვიანი კონტრაქტი გაფორმდა. იმ შემთხვევაში, თუ მაისის ბოლოს სამეფო კლუბის ხელმძღვანელობა მისი მუშაობით კმაყოფილი იქნება, ბუნებრივია, კონტრაქტის ვადა გახანგრძლივდება და პირობებიც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება.

ხუანდე ლა კრუს რამოს კანო 1954 წლის 25 სექტემბერს დაიბადა. სამწვრთნელო კარიერა მან 1991/92 წლების სეზონში დაიწყო. მაშინ ის „ილისიტანოს" ავარჯიშებდა. მომდევნო წლებში კი უამრავი კლუბი გამოიცვალა. რამოსი სხვადასხვა დროს „ალკოიანოში", „ლევანტეში", „ლოგრონიესში", „ბარსელონა B-ში", „ლეიდაში", „რაიო ვალეკანოში", „ბეტისში", „ესპანიოლში", „მალაგაში", „სევილიასა" და „ტოტენჰემში" მოღვაწეობდა. იმდენი კლუბი ჩამოგითვალეთ, შესაძლოა, თავბრუც კი დაგეხვათ, მაგრამ ამ ვრცელი სიის გამომზეურებით იმის თქმა გვსურდა, რომ „რეალს" დიდი გამოცდილების მქონე მწვრთნელი ჩაუდგა სათავეში. მისი ყველაზე დიდი წარმატება „სევილიასთან" ერთად უეფას თასის ზედიზედ ორჯერ მოპოვებაა, თუმცა სენიორ ხუანდეს პირად კოლექციაში სხვა ტიტულებიც მოიპოვება. კერძოდ, ევროპის სუპერთასი, ესპანეთის სამეფო თასი და ესპანეთის სუპერთასი. ბოლო ტიტული კი მან „ტოტენჰემს" მოაპოვებინა. ლონდონურ გუნდთან ერთად ესპანელმა სპეციალისტმა ინგლისის ლიგის თასი მოიგო, მაგრამ შემდეგ გუნდში სიტუაცია აერია და ხელმძღვანელებმა თანამდებობიდან დაითხოვეს. პრედრაგ მიატოვიჩმა გულწრფელად განაცხადა - ახალი მწვრთნელის კანდიდატურას დირექტორატში მოწინააღმდეგეები აღმოაჩნდაო. როგორც გაირკვა, გენერალური დირექტორის კოლეგებს „ტოტენჰემიდან" გაგდებული სპეციალისტის უდიდესი ამბიციების მქონე კლუბში დანიშვნა „რეალის" პრესტიჟის შებღალვად მიაჩნიათ. თუ ამ ლოგიკით ვიმსჯელებთ, მაშინ შუსტერის კარიერაც უნდა გავიხსენოთ. გერმანელი სპეციალისტი „შახტარიდან" სწორედ არადამაკმაყოფილებელი შედეგების გამო გაათავისუფლეს, თუმცა ამას „რეალის" მთავარ მწვრთნელად მისი დანიშვნისთვის ხელი არ შეუშლია.



პრედრაგ მიატოვიჩი და ხუანდე რამოსი პრეზენტაციის დროს

ჰერ ბერნდი რამონ კალდერონმა „ხეტაფედან" დიდი ზარ-ზეიმით გადაიბირა და პირველივე პრესკონფერენციაზე განაცხადა - ეს არის კაცი, რომელიც „რეალში" მრავალი წელი იმუშავებსო. პრეზიდენტი დარწმუნებული იყო, რომ **ფაბიო კაპელოს** მემკვიდრე უამრავ ტიტულს მოიპოვებდა და „სანტიაგო ბერნაბეუზე" იმდენ წელს გაატარებდა, რომ საზოგადოებას მისი დანიშვნის თარიღი დაავიწყდებოდა. რეალობა კი აბსოლუტურად განსხვავებული აღმოჩნდა. შუსტერმა მსოფლიოს ყველაზე ტიტულოვანი გუნდის სათავეში მხოლოდ წელიწად ნახევარი გაძლო. მადრიდულ გრანდს მან პირველივე სეზონში საჩემპიონო ტიტული მოუტანა, მაგრამ წლევანდელი ჩემპიონატი ძალიან წარუმატებლად დაიწყო. დღევანდელი მონაცემებით, სამეფო კლუბი მეხუთე ადგილზე იმყოფება და ერთპიროვნულ ლიდერ „ბარსელონას" ცხრა ქულით ჩამორჩება. მთლიანობაში გერმანელმა სპეციალისტმა „რეალს" 52 პრიმერადივიზიონურ შეხვედრაში უხელმძღვანელა. მისი მონაგარი ასეთია, - 35 გამარჯვება, 6 ფრე და 11 წაგება. ბურთების ბალანსი კი 84-33-ზეა.

გუშინ „დიარიო ასის" ინტერნეტ პორტალზე ხუანდე რამოსის განცხადება გამოქვეყნდა. ესპანელი სპეციალისტი მსოფლიო ფეხბურთის გიგანტის ხელმძღვანელებს ნდობისთვის მადლობას მოახსენებს: *„ჩემთვის ეს ძალიან დიდი პატივი, მაგრამ კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობაა. პრეზიდენტსა და გენერალურ დირექტორს მადლობას მოვახსენებ, რომ დირექტორატს ჩემი კანდიდატურა წარუდგინეს. სამეფო კლუბის ხელმძღვანელობამ გუნდისთვის ამ რთულ დროს ნდობა გამომიცხადა. მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ბუნებრივია, მთავარი მწვრთნელი იმის გამო შეიცვალა, რომ კლუბის მმართველებსა და რაც მთავარია, გულშემატკივრებს შედეგები არ აკმაყოფილებთ. დასამალი არ არის, რომ გუნდში ურთულესი სიტუაციაა შექმნილი, მაგრამ ამ შემოთავაზებას ერთი მარტივი მიზეზის გამო დავთანხმდი. მჯერა, რომ „რეალის" რთული სიტუაციიდან გამოყვანის უნარი შემწევს. ამისათვის ბევრი მუშაობა და სალი იდეებია საჭირო. არ მინდა იფიქროთ, რომ ბერნდ შუსტერის მოღვაწეობას ვაკნინებ, უბრალოდ, იმას ვამბობ, რომ მთავარ მწვრთნელად დავინიშნე და გაცემული ავანსები უნდა გავამართლო. სამეფო კლუბში პირველ შეხვედრას „ზენიტის" წინააღმდეგ ჩავატარებ. ჩემპიონთა ლიგაში ყველაფერი რიგზეა, გუნდი მომდევნო ეტაპზე გავიდა. ახლა ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ პრიმერადივიზიონში არსებული მძიმე მდგომარეობა გამოვასწოროთ. ბედისწერამ ისე ინება, რომ პირველივე პრიმერადივიზიონურ დაპირისპირებას „ბარსელონის" წინააღმდეგ ვმართავ, თანაც, „კამპ ნოუზე". არ დავმალავ, რომ ძალიან მძიმე ბრძოლის გამარჯვა მოგვიწევს. კატალონიელები არაჩვეულებრივ ფორმაში არიან, ჩვენ კი სერიოზული პრობლემები გვაქვს. მიუხედავად ყველაფრისა, „კამპ ნოუზე" ოპტიმისტური განწყობით ჩავალთ და გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. შეუძლებელი, რა თქმა უნდა, არაფერია. მით უმეტეს ისეთი დიდი გუნდისთვის, როგორიც მადრიდის „რეალია".*

# კასილიასი: ასეთი თამაშით ტიტულების მოპოვების შანსი არ გვაქვს



კასილიასი და რამოსი. რეალის ახალმა მწვრთნელმა დანიშვნისთანავე პირველი ვარჯიში ჩაატარა

ზემოთაც მოგახსენეთ, რომ ბერნდ შუსტერის ახლა გადაყენებას ბევრი არ ელოდა. ხელმძღვანელობის ეს გადაწყვეტილება ფეხბურთელებისთვისაც მოულოდნელი იყო. როგორც ჩანს, მიატოვიჩმა და კალდერონმა სწორედ სუპერკლასიკოს მოახლოების გამო იჩქარეს. ფიქრობდნენ, რომ შუსტერი **გვარდიოლასთან** დუელს წააგებდა და სამეფო კლუბი საქვეყნოდ შეირცხვენდა თავს. არადა, გერმანელი სპეციალისტი ყველა წარუმატებლობისა და ფიასკოს მიუხედავად „ბარსელონასთან" დუელს უდიდესი ენთუზიაზმითა და ოპტიმიზმით ელოდა. დარწმუნებული იყო, რომ მისი ბიჭები „კამპ ნოუზე" გამარჯვებას შეძლებდნენ. ან უკვე ყოფილ მწვრთნელს **რაულიც** უბამდა მხარს. **გონსალეს ბლანკომ** პრესკონფერენციაზე განაცხადა - წინა წარუმატებლობები სუპერკლასიკოსთან არანაირ კავშირში არ არის და ყველა პირობა გვაქვს იმისთვის, რომ შინ სამი ქულით დავბრუნდეთო. მწვრთნელისა და კაპიტნის ოპტიმიზმის ფონზე **იკერ კასილიასმა** საზოგადოებას ფრიად დეპრესიული და სევდიანი განცხადებით მიმართა. მისი ინტერვიუ „დიარიო მარკაში" დაიბეჭდა. თქვენს სამსჯავროზე მხოლოდ ყველაზე საინტერესო ფრაგმენტს გამოვიტანთ: *„არა მგონია, სირაქლემის პოზის მიღებამ სიკეთე მოგვიტანოს. ჩვენ ყველაფერზე გულწრფელად უნდა ვილაპარაკოთ. მოდით, ვაღიაროთ, რომ „რეალი" ურთულეს მდგომარეობაშია. ამის მიზეზად რამდენიმე გარემოება შეიძლება დასახელდეს, ერთ-ერთი უპირველესი მიზეზი, რა თქმა უნდა, ტრავმების ეპიდემიაა. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ სრულიად ხელმოცარულები ვართ. არ მეგონა, რომ ამ ეტაპისთვის ლიდერს ცხრა ქულით ჩამოვრჩებოდით. სამწუხაროდ, ჩვენი მთავარი პრობლემა არც ესაა. ყველაზე ცუდი ის არის, რომ გუნდი ძალიან ცუდად თამაშობს. ჩემი აზრით, სამეფო კლუბს ასეთი თამაშით არანაირი ტიტულის მოპოვების შანსი არ გააჩნია. ვიცი, ეს ძალიან მძიმე მოსასმენია, მაგრამ ჯობია, მოვლენები სალად და რეალურად შევაფასოთ."*

# დიარასთვის სეზონი დასრულებულია

ყველა აღიარებს, რომ ხუანდე რამოსს ძალიან მძიმე ვითარება ხვდება. ლაპარაკი მხოლოდ თამაშის დაბალ ხარისხზე არ არის. მიმომხილველები ერთხმად აღიარებენ, რომ მადრიდული გრანდის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა ტრავმებია. ძნელი სათქმელია, რა არის ეს, უიღბლობა თუ ბედის ირონია, მაგრამ მიმდინარე სეზონში სამეფო კლუბი წამყვანი ფეხბურთელების გაუთავებელი ტრავმების გამო საშინლად გაიტანჯა. პრაქტიკულად არ დარჩა ფეხბურთელი, რომელმაც ლაზარეთი და მომაბეზრებელი სამედიცინო პროცედურები არ გამოიარა. წინა ტურში გუნდს **გონსალო იგუაინი და არიენ რობენი** დაუბრუნდნენ, მაგრამ გულშემატკივრებისა და ხელმძღვანელობის სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. „რეალს" კიდევ ორი ფეხბურთელი გამოაკლდა. **მაჰამადუ დიარასთვის** სეზონი ნაადრევად დასრულდა. **რუუდ ვან ნისტელროის** მსგავსად, აფრიკელი ნახევარმცველი ამ სეზონში მოედანზე გასვლას ვეღარ შეძლებს. სამეფო კლუბის ექიმებს იმედი ჰქონდათ, რომ დიარას ორკვირიანი შვებულება ფეხზე დააყენებდა, მაგრამ ტკივილი იმდენად გაუსაძლისი და აუტანელი გახდა, რომ მთავარმა ექიმმა **ალფონსო დელ კორალმა** მაჰამადუ „სანიტას დე მონალეხას" კლინიკაში საფუძვლიანი გამოკვლევის ჩასატარებლად წაიყვანა. დიარას კომპიუტერული გამოკვლევა ჩაუტარეს და დაადგინეს, რომ ფეხბურთელს მენისკის სასწრაფო ოპერაცია სჭირდება. მას მუხლის ჯვარედინი მყესებიც გაწყვეტაზე აქვს. მოკლედ, აფრიკელს სერიოზული მკურნალობა სჭირდება. საუკეთესო შემთხვევაში, ვარჯიშის განახლებას ის შვიდი თვის შემდეგ შეძლებს, თუმცა, შეიძლება ისე მოხდეს, რომ სარეაბილიტაციო დრომ ცხრა თვესაც გასტანოს. ცოტა არ იყოს, გაუგებარი და გასაკვირია, მაგრამ დიარა ესპანელი ექიმების დასკვნას არ ენდო და დიაგნოზის გადასამოწმებლად ლიონს გაემგზავრა, სადაც მას ერთი ნაცნობი ტრავმატოლოგი ეგულებოდა. აღსანიშნავია, რომ ფრანგმა ექიმმა იდენტური დიაგნოზი დასვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მაჰამადუ საოპერაციო მაგიდაზე დაწოლას ვერ გადაურჩება. ხანგრძლივი ტრავმა სამეფო კლუბისთვის სერიოზული პრობლემაა. ბუნებრივია, მადრიდელები დიარას გამოჯანმრთელებას გულხელდაკრეფილი ვერ დაელოდებიან. ეს ვაკანსია სასწრაფოდ უნდა შეივსოს. როგორც ამბობენ, პრედრაგ მიატოვიჩი მისი ყოფილი კლუბიდან, „ფიორენტინადან" **ზვრადკო კუზმანოვიჩის** ყიდვას აპირებს.

მადრიდის „რეალზე" საუბარს კიდევ ერთი უსიამოვნო ინფორმაციით დავასრულებთ. „სევილიასთან" წაგებულ შეხვედრაში **როისტონ დრენტემ** ტრავმა მიიღო. მადრიდელ ექიმებს ჯერჯერობით უჭირთ იმის თქმა, თუ რამდენი დრო დასჭირდება ახალგაზრდა ჰოლანდიელი ფეხბურთელის რეაბილიტირებას. უცნაურად ჟღერს, მაგრამ შესაძლოა, დრენტე რამდენიმე დღეში განიკურნოს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მის გამოჯანმრთელებას არაერთი კვირა დასჭირდეს.

გვერდი მოამზადა
ილია ნიკოლაიშვილმა



მოჰამედ დიარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

ადრიანო გალიანი

# ანჩელოტი ხელშეუხებელია

## კალჩოში უცხოური მილიარდები წარმოუდგენელია

ყველაზე ემოციური მმართველი - ასე მოიხსენიებენ „გაძეტა დელო სპორტში" „მილანის" ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის. მას იტალიურ საფეხბურთო წრეებში ყველაზე გავლენიან ფიგურას უწოდებენ და ვფიქრობთ, ეს მართლაც ასეა. ბუნებრივია, გალიანის მიმართ აპენინურ პრესაში ინტერესი განუზომელია, მას ხშირად აკითხავენ ჟურნალისტები და ისიც, სხვადასხვა საკითხზე დაუღალავად ლაპარაკობს. გუშინ „გაძეტაში" მეტად საინტერესო ინტერვიუ გამოქვეყნდა - სენიორ ადრიანო „იუვე"-"მილანის" მომავალ დაპირისპირებაზე, სამომავლო გეგმებზე, კალჩოში შექმნილ ვითარებასა და მსოფლიოს ეკონომიკურ კრიზისზეც კი საუბრობს.




**- „იუვენტუსი"-"მილანი" უფრო დიდი დაპირისპირებაა თუ იტალიურ დერბად აღიარებული „იუვე"-"ინტერი"?**

- საერთაშორისო ტიტულებით თუ ვიმსჯელებთ, იტალიაში საუკეთესო გუნდი „მილანია", მეორე ადგილზე კი ტურინის „იუვენტუსია". თუ ქვეყნის მასშტაბით მოპოვებულ ტიტულებს დავთვლით, დიდი ფორით „ვეკია სენიორა" ლიდერობს, მეორე პოზიცია კი „მილანს" უკავია. ახლა თავად განსაჯეთ, რომელი გუნდების დაპირისპირებას უნდა ერქვას დიდი იტალიური დერბი. მე ტრადიციების მოყვარული კაცი ვარ, სახელების გადარქმევის არავითარი სურვილი არ მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, „როსონერისა" და „ბიანკონერის" დაპირისპირება ჩვენი ქვეყნის საზომით ყველაზე მასშტაბურია.

**- „ინტერი" 6 ქულით გაიჭრა წინ. რის ხარჯზე?**

- ჯერჯერობით „ინტერს" უკეთესად გამოსდის პატარა გუნდებთან თამაში. ჩვენ დაუგეგმავი ქულები დავკარგეთ „ბოლონიასთან", „ლეჩესთან", ტორინოსთან", რაც სატურნირო ცხრილზეც აისახა. „თანაქალაქელები" კი ასეთ მატჩებში ნაკლებ შეცდომას უშვებენ და ხშირად გაჭირვებით, მაგრამ მაინც იგებენ. თუმცა ჩვენ ეს ექვსი ქულა არ გვაშინებს, წინ დიდი გზაა და ვითარება კიდევ არაერთხელ შეიცვლება. ყველაზე მთავარი ისაა, რომ „მილანი" სწორ გზას ადგას, ჩვენ ვიცით, რასაც ვაკეთებთ.

**- მაინც რა არის იმის მიზეზი, რომ „მილანი" პატარა გუნდებთან ხშირად უძლურია?**

- ყველა გუნდს თავისი ხასიათი აქვს. შემთხვევითი არაა, რომ „იუვენტუსს" ჩვენზე თითქმის ორჯერ მეტი სკუდეტო აქვს მოპოვებული, სამაგიეროდ, ლიგაში ტურინელებს 7:2-ს ვუგებთ. ეს გუნდების ფილოსოფიიდან, ფსიქოლოგიიდან, ხასიათიდან მოდის. ამით იმის თქმა არ მსურს, რომ „მილანი" მომავალშიც ასე არასტაბილური იქნება შიდაპირველობაზე, ამ კუთხით ვმუშაობთ და ვცდილობთ კონკურენტებისგან ვისწავლოთ კიდეც. ამის თქმის ნამდვილად არ მრცხვენია. პატარა გუნდებთან თითქოს კონცენტრაცია არ გვყოფნის, რაღაც გვაკლია იმისთვის, რომ გავტეხოთ მეტოქე. ევროსარბიელზე ეს პრობლემა არ დგას, „მილანი" ყოველთვის მონოდების სიმაღლეზეა.

**- კაკამ განაცხადა, რომ ახალ ამპლუას ვერ ეგუება, გამოდის, რომ მას რონის მხარდამხარ თამაში არც ისე მოსწონს.**

- კაკას ასეთი რამ არ უთქვამს და გთხოვთ, მის განცხადებას ინტერპრეტაციას ნუ გაუკეთებთ. კაკამ თქვა, რომ ფლეიმეიქერის პოზიციაზე უკეთესად გრძნობს თავს, ახალ ამპლუას კი ჯერ კიდევ ეჩვევა და იმედი აქვს, რომ ადაპტაციის პროცესი მალე გაივლის. ჟურნალისტებმა ამ გამონათქვამს კუდი გამოაბეს და სურათი ისე დახატეს, თითქოს კაკა რონალდინიოს წინააღმდეგი იყოს. მათ შორის არავითარი პრობლემა არ არის, შესანიშნავად უგებენ ერთმანეთს მოედანზეც და მის მიღმაც. აქვე, კომპლიმენტები კარლო ანჩელოტის, ვინაც ამდენ ვარსკვლავს შორის ბალანსი დაიჭირა და მოედანზე ყველას თავისი ადგილი მოუძებნა.

**- ანჩელოტი ხელშეუხებელია?**

- ნამდვილად. მას კონტრაქტი 2010 წელს ეწურება და როგორც მინიმუმ, ამ დრომდე კარლო „მილანის" მთავარი მწვრთნელი იქნება. შემდეგ კი ყველაფერი თავად ანჩელოტიზე იქნება დამოკიდებული, მას ჯერ გადაწყვეტილი არ აქვს, რას გააკეთებს 2010 წლიდან. როგორც ვიცი, ეროვნული ნაკრების განვრთნა სურს. თუ ასე მოიქცა, უდიდეს წარმატებას ვუსურვებთ და სინანულით გამოვეთხოვებით. თუმცა, „მილანი" ერთი დიდი ოჯახია და კარლეტო ამ ოჯახის სრულფასოვანი წევრია, ასე რომ, გამომშვიდობება არასწორად ნათქვამია.

**- ინგლისურ პრესაში რამდენიმე სტატია გამოქვეყნდა იმაზე, რომ შესაძლოა მომავალში „მილანს" რაფაელ ბენიტესი ჩაუდგეს სათავეში.**

- ჟურნალისტების ფანტაზიებია, რომელსაც რეალობასთან არავითარი კავშირი არ აქვს. ბენიტესთან საქმიანი საუბარი არასდროს მქონია, მას კარგად არც კი ვიცნობ. გამომდინარე იქიდან, რომ მინიმუმ 2010 წლამდე ანჩელოტი „მილანის" მწვრთნელია, სხვასთან მოლაპარაკებების დაწყება აზრადაც არ მომსვლია. ბოლო წლებში მხოლოდ ფეხბურთელთა გადაბირებაზე ვფიქრობთ და ამ კუთხით ვმუშაობთ.

**- არასდროს გიფიქრიათ ლეო მესის შეძენა?**

- მესი უნიჭიერესი ფეხბურთელია და „მილანში" დიდი სიამოვნებით ვიხილავდი. თუმცა, მის ყიდვაზე ნამდვილად გვიფიქრია, გამომდინარე იქიდან, რომ „ბარსელონა" არგენტინელს" არ შეელევა. თანაც გასულ ზაფხულს შევჩენკო და რონალდინიო გადმოვიბირეთ, დავიბრუნეთ მარკო ბორიელო და სიმართლე გითხრათ, ფორვარდთა შეძენაზე აღარ ვფიქრობთ. ამ ეტაპზე, გაცილებით დაინტერესებულნი ვართ უკანახაზელებით და ძლიერ, კვალიფიციურ მცველს ვეძებთ.

**- რა შეიძლება შემატოს ბექჰემმა „მილანს"?**

- ბექჰემი უმაღლესი დონის ფეხბურთელია და არ შეიძლება გუნდს არ წაადგეს. ინგლისელი ჩვენთან 3-4 თვეს დარჩება და ზუსტად ვიცი, რომ ამ დროის განმავლობაში უდიდეს სარგებელს მოიტანს. კარლო ანჩელოტის უკვე აქვს ხედვა, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ინგლისელი. მას მარჯვნივაც შეუძლია თამაში და ცენტრშიც, კარლეტო ცენტრისკენ იხრება და ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**- თემა შევცვალოთ. მსოფლიოს ეკონომიკურმა კრიზისმა ფორმულა 1-ს დიდი ზარალი მიაყენა, ამაზე უკვე ღიად საუბრობენ. იგივე ხომ არ ემუქრება კალჩოს?**

- ფეხბურთში დიდი ფული ტრიალებს და ეს ფულიც საერთო ეკონომიკის ნაწილია. ბუნებრივია, არის გარკვეული საფრთხეები, მაგრამ არა მგონია საქმე ამ დონემდე მივიდეს. ფორმულა 1 საავტომობილო სპორტია, ავტოინდუსტრია კი უფრო მგრძნობიარე აღმოჩნდა ამ კრიზისის მიმართ. ჩვენ მეტი რესურსი გვაქვს, ვიყოთ მოქნილები და სირთულის ჟამს თანხების მოძიების ალტერნატიული გზები მოვნახოთ. ისე კი, ბუნებრივია ამ კრიზისმა ყველა გვაზარალა, სპონსორებთან ურთიერთობა გაჭირდა და ეს პატარა კლუბების ბიუჯეტზე მძიმედ მოქმედებს.

**- ინგლისურ კლუბებს უცხოელი მილიარდერები დაეპატრონენ, ამით პრემიერლიგის მიმართ ინტერესმა იმატა. რამდენად მისაღები იქნებოდა თქვენთვის ანალოგიური პროცესების დაწყება იტალიაში?**

- ყველა ქვეყანას თავისი ტრადიცია აქვს და პროცესებიც შესაბამისად მიმდინარეობს. ინგლისელები ტრადიციული, მაგრამ, ამავდროულად, უცნაური ხალხია. ვერაფრით ვხსნი, რამ მოაფიქრათ „უემბლის" დანგრევა, ერთადერთი სტადიონის, სადაც მსოფლიო თასი აღმართეს. იტალიაში კლუბებს დინასტიებით, ოჯახებით მართავენ, აქ სულ სხვა მიდგომაა და ძნელად წარმოსადგენია, რომ უცხოელმა მილიარდერებმა კლუბების შესყიდვა მოახერხონ. წარმოგიდგენიათ, რომ ანიელების ოჯახმა „იუვენტუსი" გაასხვისოს? - ან ბერლუსკონიმ „მილანი" აზიელ ნავთობმაგნატს გადააბაროს? ვფიქრობ, წარმოუდგენელია.

**- შობა ახლოვდება, რას უსურვებდით იტალიურ ფეხბურთს?**

- იტალია უდიდესი საფეხბურთო ტრადიციების ქვეყანაა, ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ კალჩოთი, მაგრამ სასწავლი და გამოსასწორებელიც ბევრი გვაქვს. ვისურვებდი, იტალიურ სტადიონებზე ისეთივე ატმოსფერო იყოს, როგორიც სხვა, დიდი ევროპული ქვეყნების არენებზეა. დროა დასრულდეს ძალადობა და ხალხმა თამაშებზე ოჯახებით იაროს. აი, ამას ვუსურვებდი კალჩოს.

ანტიპრიზი

# ოქროს ურნა კვარეშმას



ყოველი წლის მიწურულს იტალიაში უამრავი ნომინაცია თამაშდება და უამრავი პრიზი რიგდება. გამონაკლისი არც 2008 წელია. ტელე-რადიო კომპანია RAI-მ წლის საუკეთესო სპორტსმენად **ალესანდრო დელ პიერო** დაასახელა და ამის შესახებ ერთ-ერთ წინა ნომერში გამცნეთ. გუშინ გავრცელებული ინფორმაციით კი, მფლობელი გამოუჩნდა კიდევ ერთ „საპატიო" ჯილდოს. „ოქროს ნაგვის ურნას" **რიკარდო კვარეშმა** დაეპატრონა. შეგახსენებთ, რომ ამ ნომინაციაში ის ფეხბურთელი იმარჯვებს, ვინც ყველაზე მეტად გაუცრუა იმედები კლუბსა და გულშემატკივრებს.

ორი წლის განმავლობაში **ადრიანო** ამ „ჯილდოს" არავის უთმობდა, წელს კი ბრაზილიელი კიდევ ერთმა „ნერაძურიმ", კვარეშმამ ჩაანაცვლა. მეორე ადგილი არავის დაუთმო ბერგამოს „ატალანტას" თავდამსხმელმა, წარსულში მრისხანე **კრისტიან ვიერიმ**, მესამეზე კი ადრიანო მოკალათდა, რაც აშკარა პროგრესის მაჩვენებელია. ათეულში მოხვდნენ „მილანის" ფეხბურთელებიც - მეკარე **ნელსონ დიდა** და **ანდრეი შევჩენკო**.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



ალმერია

# ულტიმატუმი მთავარ მწვრთნელს

პრიმერა დივიზიონის წლევანდელ სეზონში მწვრთნელებისთვის ულტიმატუმის წაყენება მოდაში შემოვიდა. წელს ამ ულტიმატუმებს უკვე სამი მწვრთნელი შეეწირა. „ესპანიოლმა", „ოსასუნამ" და „რეალმა" მთავარ მწვრთნელებთან თანამშრომლობა გაწყვიტეს. შესაძლოა, უიღბლოთა რიცხვს **გონსალო არკონადაც** შეუერთდეს. „ალმერიის" მმართველები გუნდის თამაშითა და შედეგებით უკიდურესად უკმაყოფილო არიან. ბოლო ორი თვეა პროვინციული კლუბი ქულებს უმოწყალოდ ანიავებს. ბუნებრივია, ეს გარემოება სატურნირო მდგომარეობაზე ავბედითად აისახება. თავად განსაჯეთ, ბოლო რვა ტურში „ალმერიამ" 24 შესაძლებლიდან მხოლოდ და მხოლოდ ოთხი ქულა მოიპოვა. ანდალუსიელებს პრიმერა დივიზიონში გადასვლის შემდეგ ასეთი ცუდი შედეგი არასოდეს ჰქონიათ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, გასაკვირი სულაც არ არის, რომ პრეზიდენტი **ალფონსო გარსია** შეშფოთებულია. მან მთავარ მწვრთნელს, გონსალო არკონადას ულტიმატუმი წაუყენა. იმ შემთხვევაში, თუ „ალმერია" მომდევნო ორ ტურში „რასინგსა" და „სპორტინგს" ვერ დაამარცხებს, სენიორ არკონადას შინ გაუშვებენ. მწვრთნელი ხელმძღვანელობის ულტიმატუმს მშვიდად შეხვდა, ფეხბურთისთვის ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და ყველას ძალიან ვთხოვ, არაფრის გამო სკანდალს და აჟიოტაჟს ნუ მოაწყობსო. კაცმა, რომ თქვას, ბატონი გონსალო მართალია, ულტიმატუმები ესპანური ფეხბურთისთვის მართლაც ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ წელს ულტიმატუმის წაყენების შემდეგ ვერც ერთი მწვრთნელი ვერ გადარჩა. ვნახოთ, რას გააკეთებს „ალმერიის" თავკაცი გონსალო არკონადა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ატლეტიკო

# აგუერო ბარსელონას შეუთანხმდაო

## არგენტინული პრესის მტკიცებით, სერხიო კატალონიაში მაისში გადაბარგდება

არგენტინულ პრესაში ისეთი სენსაციური ინფორმაცია დაიბეჭდა, რომ ამ ცნობის მიმართ ესპანური გაზეთები გულგრილი ვერ დარჩნენ და სამხრეთამერიკელი კოლეგების მიერ მომზადებული მასალა თავიანთ გაზეთებში გადმობეჭდეს. საქმე **სერხიო აგუეროს** მოსალოდნელ ტრანსფერს ეხება. არგენტინელებს რომ დავუჯეროთ, ეს მოსალოდნელი კი არა, უკვე შემდგარი ტრანსფერია. ისინი სრული სერიოზულობით აცხადებენ, რომ აგუერო მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ „ატლეტიკოს" დატოვებს და „ბარსელონაში" გააგრძელებს კარიერას. „ელ დეპორნაუტას" ფურცლებზე ასეთ მასალას ვკითხულობთ: *„სანდო წყაროებიდან შევიტყვეთ, რომ აგუეროს ერთ-ერთი მენეჯერი, სერხიო არკოეჩეა ჩიკი ბეგირისტაინს შეხვდა და კატალონიური გრანდის გენერალურ დირექტორთან სიტყვიერ შეთანხმებას მიაღწია. „ბარსელონა" მზადაა, ჩვენს ახალგაზრდა თანამემამულეს 10-წლიანი კონტრაქტი გაუფორმოს და წლიური გასამრჯელოს სახით 8 მილიონი ევრო დაუნიშნოს. ასეთი შეთავაზების წინაშე გულგრილი ვერავინ დარჩება. თანაც, კატალონიელები მზადყოფნას გამოთქვამენ, კონტრაქტის ვადაში პირობების გაუმჯობესებაზე იმდენჯერ იმსჯელონ, რამდენჯერაც საჭირო გახდება. იმ შემთხვევაში, თუ სერხიო „ბარსაში" წარმატებით იასპარეზებს, მას ხელფასს კიდევ უფრო გაუზრდიან. აღსანიშნავია, რომ ასეთი კონტრაქტის გაფორმებით აგუერო კატალონიურ გრანდში სხვა ხელისუფლების მოსვლის შემთხვევაშიც დაცული იქნება. სამართლის მოთხოვნით, ნებისმიერი დირექტორატი ვალდებულია მათ მისვლამდე გაფორმებულ ხელშეკრულებებს პატივი სცენ და მისი ყველა პირობა პირუთვნელად შეასრულონ."*

„ელ დეპორნაუტას" ინფორმაციას ესპანეთში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. წამყვანი გაზეთების თანამშრომლები შეეცადნენ ინფორმაცია დაებალანსებინათ და თავიანთი გამოცემების ფურცლები „ატლეტიკოს" მესვეურების განცხადებებისთვის დაეთმოთ, თუმცა აგუეროს მოსალოდნელ ტრანსფერზე საუბარი არავინ ისურვა. **ენრიკე სერესომ** მოუცლელობა მოიმიზეზა. უფრო დაბალი დონის ჩინოსნები კი აცხადებდნენ, რომ ამ საკითხზე საუბრის კომპეტენცია არ გააჩნდათ. „როხიბლანკოს" მესვეურთა გაჯიუტებამ სპეკულაციების ახალი ტალღის აგორებას შეუწყო ხელი. ჟურნალისტები ღიად და დაუფარავად ამბობენ, აგუეროს „ბარსელონაში" გაყიდვა დღის წესრიგში რომ არ იდგეს, კომენტარზე უარს არ გვეტყოდნენ და განაცხადებდნენ, არგენტინელების მიერ გავრცელებული ინფორმაცია სპეკულაციაა და სხვა არაფერიო. სხვათა შორის, ამ თემაზე ლაპარაკი თავად სერხიო აგუერომაც არ ისურვა.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ვალენსია

# ღამურებს გადარჩენის შანსი გაუჩნდათ

## ვილიას კი გამდიდრების...

31 დეკემბერი ახლოვდება, „ვალენსია" კი უმწვავესი ეკონომიკური პრობლემების მოგვარებას ვერ ახერხებს. როგორც იცით, გუნდის ბიუჯეტი ცარიელია. ამასობაში, „ღამურების" შეფებმა 2008 წლის დასრულებამდე 50-მილიონიანი ვალი უნდა გადაიხადონ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, გუნდი გაკოტრებულად გამოაცხადონ და თავმოყვარე „ვალენსიამ" არსებობა შეწყვიტოს. მადრიდულ ბანკ „ბანკახასთან" ყბადაღებული კონტრაქტის გაფორმებას საშველი არ დაადგა. მსოფლიო ფინანსური კრიზისით შეშინებული ბანკის ხელმძღვანელები გაკოტრების პირას მყოფ გუნდთან თანამშრომლობის შესაძლებლობას ენთუზიაზმით არ აფასებენ, ამიტომ „ღამურებისთვის" საუკეთესო გამოსავალი წამყვანი ფეხბურთელების გასხვისებაა.




გუშინ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, „ვალენსიის" უმაღლესი ხელისუფალი პირები მზად არიან **დავიდ ვილია** „მანჩესტერ სიტის" მიყიდონ. არაოფიციალური ინფორმაციით, ესპანურმა მხარემ ბრიტანელები 70 მილიონი ევროს გადახდაზე დაითანხმა. 70 მილიონი შემთხვევით არ დასახელებულა. 50 მილიონით ისინი ვალს გადაიხდიან. დარჩენილი 20 მილიონით კი ვილიას შემცვლელს შეიძენენ. ძნელი სათქმელია, რამდენად რეალურია ამ ტრანსფერის გაჩარხვა, თუმცა წამყვანი ესპანური გაზეთების კორესპონდენტები და ექსპერტები დარწმუნებული არიან, რომ „ვალენსიაში" ვილიას დღეები დათვლილია.

ჩვენმა კოლეგებმა კიდევ ერთი საინტერესო ამბავი გაახმაურეს, იმ შემთხვევაში, თუ ვილია „მანჩესტერ სიტისთან" კონტრაქტს გააფორმებს, ზღაპრულ გასამრჯელოს მიიღებს. მისი ყოველკვირეული ხელფასი 250 ათასი ფუნტი იქნება, თუმცა ესპანელ ფორვარდს ნისლიან ალბიონზე ბევრად მეტი ფულის გაკეთების შანსი ექნება. ამ 250 ათასში პრემიალური თანხა არ იგულისხმება. „სიტის" მფლობელები მზად არიან, დავიდს თითოეული გამარჯვებისთვის დამატებით 100 ათასი ევრო გადაუხადონ. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვება ვილიას გოლით იქნება მოპოვებული პრემია 150 ათასამდე გაიზრდება. მოკლედ, „სიტიში" გადაბარგების შემთხვევაში დავიდ ვილია შესაძლოა, ისე გამდიდრდეს, ფულის სათვალავიც კი აერიოს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ტრანსფერი




ივიცა ოლიჩი ბაიერნის ფეხბურთელი გახდება

# ოლიჩი ბაიერნში მიდის!

## არც იუვე, არც ვალენსია, ხორვატმა რეკორდმაისტერი აირჩია! რუმენიგე: ივიცა ტონის და კლოზეს დუეტს იდეალურად მოერგება

„ჰამბურგის" ხორვატ თავდამსხმელ **ივიცა ოლიჩს** რამდენიმე ევროპული კლუბი ეპატიჟებოდა. მათ შორის, ყველაზე მეტად „იუვენტუსი" და „ვალენსია" აქტიურობდნენ. მაგრამ როგორც გაირკვა, ფეხბურთელის გერმანელ მეუღლეს, რომელიც ივიცამ 1999 წელს, ბერლინის „ჰერტაში" თამაშისას გაიცნო, სამშობლოს დატოვება არ უნდოდა. გარკვეულწილად ამ ფაქტმაც იმოქმედა იმაზე, რომ ოლიჩი გერმანიაში რჩება.

ოლიჩის ბედი უკვე გადაწყვეტილია! არც „იუვე", არც „ვალენსია" და არც „ლივერპული" - „ბილდის" მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ხორვატიის ნაკრების თავდამსხმელი მიმდინარე სეზონის დასრულებისთანავე მიუნხენის „ბაიერნის" ფეხბურთელი გახდება. მართალია, ბავარიული გრანდის შეფები ამ ინფორმაციას ოფიციალურად ჯერ არ ადასტურებენ, მაგრამ ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, საეჭვო და გასარკვევი უკვე აღარაფერია.

*„ჩვენ ყველანი დარწმუნებულები ვართ იმაში, რომ ივიცა „ბაიერნის" სტილს იდეალურად მოერგება. ლუკა ტონის და მიროსლავ კლოზეს დუეტს ივიცა ძალიან კარგად შეეწყობა. ყველაზე სასიამოვნო კი ის არის, რომ სეზონის ბოლოს მის კონტრაქტს ვადა გასდის. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ოლიჩი ბაიერნელი გახდეს,"* – ეს „ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტ **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** სიტყვებია.

ოლიჩი „ბაიერნში" **ლუკას პოდოლსკის** შეცვლის, რომელიც რეკორდმაისტერს ზაფხულში აუცილებლად დატოვებს. ფაქტია, რომ იურგენ კლინსმანს ივიცა ლუკასზე მეტად გამოადგება, რადგან ოლიჩი უფრო მრავალმხრივი თავდამსხმელია. მას შეუძლია როგორც თავდასხმაში, ცენტრფორვარდად და მის დამხმარედ, ასევე ფლანგის ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშიც. ამასთან, ოლიჩი ტანმაღალია, სწრაფი და ტექნიკურიც. ფეხბურთელის მრჩეველი **გორდონ სტიპიჩი** ამ დღეებში რამდენიმე ევროპული გრანდის ბოსს ელაპარაკებოდა, მათ შორის „ვალენსიის", „იუვენტუსისა" და „ლივერპულის". მერე კი „ბაიერნის" ხელმძღვანელებსაც ესაუბრა და როგორც გაირკვა, მიუნხენელებმა ივიცას საუკეთესო პირობები შესთავაზეს: კონტრაქტი 2012 წლამდე, ერთი წლით გახანგრძლივების პერსპექტივით.

ივიცამ უახლოეს მეგობრებს უკვე გაუმხილა, რომ სეზონის ბოლოს „ჰამბურგს" დატოვებს და „ბაიერნში" გადავა. რეკორდმაისტერის შეთავაზებაზე მას უკვე თანხმობა აქვს ნათქვამი. გადამწყვეტი მნიშვნელობა მისთვის იმ ფაქტს ჰქონდა, რომ „ბაიერნს" ჩემპიონთა ლიგაში თამაში ფაქტობრივად გარანტირებული აქვს და ამასთან, ივიცა გერმანიის ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. მნიშვნელოვანი იყო გერმანელი მეუღლის ფაქტორიც, რომელსაც სამ შვილთან ერთად იტალიაში ან ესპანეთში საცხოვრებლად გადასვლა ძალიან არ უნდოდა.

17 დეკემბერს, უეფას თასის თამაშის შემდეგ, ოლიჩი მიუნხენში ჩავა, სადაც სამედიცინო შემოწმებას გაივლის. თუკი ტესტს წარმატებით ჩააბარებს, რაშიც ეჭვი არავის ეპარება, იანვარში „ბაიერნთან" უკვე ოფიციალურად გააფორმებს კონტრაქტს. გუშინწინ საღამოს „იუვენტუსის" სპორტულ დირექტორ **ალესიო სეკოს** ჰამბურგში მოლაპარაკებების გასაგრძელებლად სურდა ჩასვლა, მაგრამ მან ფეხბურთელის აგენტისგან უარი მიიღო. ასეთივე უარი მიიღეს ხორვატი ფორვარდით დაინტერესებული სხვა კლუბების შეფებმაც.

### რიბერი მიუნხენელებს ტულალანსაც ურჩევს

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ **ფრანკ რიბერი** „ბაიერნის" ხელმძღვანელებს **იოან გურკუფის** შეძენას ურჩევს და რომ რეკორდმაისტერის სკაუტები ამ უკანასკნელს მუდმივად აკვირდებიან. ახლა კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც რიბერის სურს, ბავარიული გრანდი სულ მალე საფრანგეთის ნაკრების ფილიალი გახდება. *„გარდა გურკუფისა, „ბაიერნის" მენეჯერებს ჯერემი ტულალანსაც ვურჩევდი. 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ეს ფეხბურთელი გუნდს ნახევარდაცვაში ძალიან გააძლიერებს და სწრაფად გახდება პუბლიკის ერთ-ერთი უსაყვარლესი მოთამაშე,"* – განუცხადა რიბერიმ „ეკიპს".

აღსანიშნავია, რომ დღეს ბავარიელები ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში „ლიონს" ხვდებიან, ტულალანი კი სწორედ „ლიონის" ფეხბურთელია. რიბერი: *„ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ „ბაიერნს" ძლიერი შემადგენლობა ჰყავდეს. ეს აუცილებელია, თუკი გვინდა, რომ ევროპაში სერიოზულ წარმატებებს მივაღწიოთ. „ბაიერნთან" ჩემი კონტრაქტის გახანგრძლივების საკითხი დღის წესრიგში რომ დადგება, აუცილებლად დავფიქრდები, რამდენად ჰყავს რეკორდმაისტერს ისეთი მოთამაშეები, რომელთა დახმარებითაც გუნდი ჩემპიონთა ლიგის მოსაგებად იბრძოლებს. ამისათვის ცნობილი, ძლიერი ფეხბურთელებია საჭირო. რეალისტებად უნდა დავრჩეთ და ვთქვათ, რომ დღეისათვის „ჩელსის", „მანჩესტერს", „ბარსელონას" ან „ინტერს" ჩემპიონთა ლიგის მოგების უკეთესი შანსი აქვთ."*

ვერაფერს იტყვი, რიბერი ასპროცენტიანია...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟამი ფიქრისა და განსჯისა

ჭიდაობა. ინტერვიუ კახა გენაძესთან



# ბეიჯინი იყო მათი გორიცა და დიდგორიც

*ორი „ოქრო“ და ორი „ბრინჯაო“ - ასეთი ნადავლით დაბრუნდნენ პეკინიდან (ჩინურად - ბეიჯინი) თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეები სამშობლოში. შესაძლოა, ნაალაფარი უფრო ხვავრიელიც ყოფილიყო, მაგრამ ომმა და ტრავმებმა დაღი დაასვა ჩვენი ათლეტების ლტოლვას მედლებისკენ. ყოველივეს მიუხედავად, დაბეჯითებით ვიტყვით, რომ ქართველ ფალავნებს წლეულს მეტად ხვავრიელი შემოდგომა ჰქონდათ - მათს ანგარიშზეა 10 ოქროს, 9 ვერცხლისა და 14 ბრინჯაოს ჯილდო, - მნიშვნელოვან საერთაშორისო შეჯიბრებებში მოპოვებული. საგულისხმო წვლილი წარმატებებში უფროსებთან ერთად ახალგაზრდებსა და ჭაბუკებსაც მიუძღვით.*

*და მაინც, უპირველესი ოლიმპიური თამაშებია. ჩინეთის დედაქალაქში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე მანუჩარ კვირკველია და რევაზ მინდორაშვილი ავიდნენ, ოთარ თუშიშვილსა და გიორგი გოგშელიძეს კი მესამე ადგილები ხვდათ (აქვე შევნიშნავთ, რომ წლეულს ევროპის ჩემპიონატზე გიორგი გოგშელიძემ ჩემპიონობა მოიპოვა, კობა კაკალაძე, რევაზ მინდორაშვილი და ბადრი ხასაია მეორე ადგილებზე გავიდნენ, ხოლო რამაზ ნოზაძე ბრინჯაოს მედლით დაკმაყოფილდა).*

- მთელი ოთხი წელიწადი ინტენსიურად ვემზადებოდით პეკინის თამაშებისთვის, - მითხრა საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **კახა გენაძემ**. - ამ ხნის განმავლობაში საერთაშორისო სარბიელზე არაერთხელ ვისახელეთ თავი და ჩინეთში რიხით ჩავედით, მაგრამ, მოგეხსენებათ, ზედ ოლიმპიადის გახსნის დღეს ჩრდილოელმა მეზობლებმა ზურგში ლახვარი ჩაგვცეს. გაზაფხულზე მიღებულმა ტრავმებმაც ცუდი სამსახური გაგვიწიეს. ყოველივეს მიუხედავად, უზომოდ ბედნიერი ვარ, რომ თამაშებზე საქართველოს წარგზავნილებმა 3 ოქროს და ამდენივე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. აქედან 4 ჯილდო მოჭიდავეებზე მოდის.

პეკინში წუთითაც არ მოვცილებივარ ჩვენს ბიჭებს - ოლიმპიურ სოფელში მათთან ვცხოვრობდი, ვარჯიშებზეც დავყვებოდი, როგორც რიგითი სპორტსმენი.

**- ფალავნებისთვის ხალიჩაზე სპარინგ-პარტნიორობაც ხომ არ გაგიწევიათ?**

- (ეცინება) არა, ამდენს როგორ გავბედავდი. თუმცა მოცალეობის ჟამს, როცა ისინი კალათბურთს ან ფეხბურთს თამაშობდნენ, მათთან ერთად ვიდექი მოედანზე. ვფიქრობ, თანადგომით ჩვენი სპორტსმენების ფსიქოლოგიური წნეხისგან გათავისუფლების საქმეში მოკრძალებული წვლილი მეც შევიტანე. არადა, თქვენც იცით, იმ დღეებში როგორი დათრგუნულები ვიყავით: საქართველოს ქალაქებსა და სოფლებს რუსები ბომბავდნენ, ჩვენ კი, სამშობლოდან შორს მყოფთ, ოჯახის წევრებზე, ახლობლებსა თუ მეგობრებზე მწირი ინფორმაციები მოგვდიოდა, ვნერვიულობდით, რამაც, სამწუხაროდ, საბოლოო შედეგებზეც იმოქმედა.

**- პროტესტის ნიშნად, ჩვენს დელეგაციას თამაშები უნდა დაეტოვებინა. შინ დასაბრუნებლად თბილისიდან თვითმფრინავიც გაიგზავნა, მაგრამ ქვეყნის პრეზიდენტმა გადაწყვეტილება შეცვალა. ვერ გვეტყვით, მაინც რა მოხდა?**

- ომმა ყველა აგვაფორიაქა - შინაც და გარეთაც. ძალიან გვინდოდა, მთელი მსოფლიოს ყურადღება მიგვეპყრო და უფრო ნათლად გვეჩვენებინა რუსეთის სისხლიანი ხელები, ამიტომაც გადაწყდა შინ დაბრუნება.

**- თქვენ ხომ პროტესტის ამგვარი ფორმის წინააღმდეგი იყავით?**

- დიახ. და აი რატომ: პეკინის დატოვებით ოლიმპიურ ქარტიას ვარღვევდით, რის გამოც, მკაცრი სანქციები გველოდა - სულ მცირე, რვა წლით ოლიმპიადებიდან მოგვკვეთდნენ, ხოლო თამაშებში მონაწილე ფედერაციებს გარკვეული ვადით ოფიციალურ საერთაშორისო შეჯიბრებებში გამოსვლა აეკრძალებოდათ. ჩვენი ამგვარი პროტესტით რუსეთის იმპერიულ ზრახვებს ვერ შევაჩერებდით, ვერც მათს სპორტსმენებს დავუშავებდით რამეს, ჩვენს ათლეტებს კი, ოთხი წლის განმავლობაში ქანცის გაწყვეტამდე რომ ვარჯიშობდნენ, გარჯა წყალში ჩაეყრებოდათ, თან საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტსა და თამაშების მასპინძლებს, რომლებსაც ჩვენთვის არაფერი დაუშავებიათ, გავანაწყენებდით. ფაქტობრივად, ოლიმპიური მოძრაობის ხელშემშლელებად გამოგვაცხადებდნენ. ყველაფერი ეს რომ არ მომხდარიყო, სასწრაფო ზომები უნდა მიგვეღო. იმ დაძაბულ სიტუაციაში კი ქვეყნის პრეზიდენტთან დაკავშირება შეუძლებელი გახდა. ამ დროს, ბედად, ჩვენი ფედერაციის პრესცენტრის ხელმძღვანელმა თამარ ჯინჭარაძემ დამირეკა და მისი მეშვეობით მთავრობის რამდენიმე წევრს შევეხმიანე, რომლებიც ამ დროს ბატონ მიხეილ სააკაშვილთან იმყოფებოდნენ თათბირზე.

- აუცილებელი იყო ქვეყნის პრეზიდენტისთვის არა მარტო სიტუაციის ახსნა, არამედ პირობის მიცემაც, რომ ოლიმპიურ ოქროს მედალს შევწვდებოდით. წინააღმდეგ შემთხვევაში, თამაშებზე დარჩენა მორალურად უფრო დიდი კრახი იქნებოდა, ვიდრე პეკინიდან წამოსვლა, - ჩაერია ჩვენს საუბარში **თამარ ჯინჭარაძე**. - ამგვარი ტვირთი კახა გენაძემ აილო საკუთარ თავზე და ქვეყნის პრეზიდენტი დაარწმუნა, რომ პეკინში „ოქროს“ უცილობლად მოვიპოვებდით.

- მჯეროდა, რომ ჩვენი ბიჭები არ მიმტყუნებდნენ, - განაგრძო საუბარი ბატონმა კახამ. - ქვეყნის პრეზიდენტიც გვენდო და მართებული გადაწყვეტილება მიიღო. ამ საქმეში თავისი წვლილი ბატონმა გიგა ბოკერიამაც შეიტანა.

დრომ გვიჩვენა, რომ სწორად მოვიქეცით - აგვისტოში ქართული საქმეები ჩინეთის დედაქალაქში უნდა გვეკეთებინა, მაშინ ჩვენი გორიცა და დიდგორიც პეკინი იყო. სამშობლოში ამაზე უკეთესს რას მოვიმოქმედებდით - ოლიმპიადაზე სამჯერ აჟღერდა საქართველოს ეროვნული ჰიმნი და სამჯერ აფრიალდა ხუთჯვრიანი დროშა. პატივისცემის ნიშნად, ფეხზე წამოუდგა მთელი დარბაზი. იქ კი მტერიც ბევრი იყო და მოყვარეც.

**- ქართველ ფალავანთა მონაგარზე რას იტყვით?**

- თოთხმეტიდან ორ „ოქროს“ ისეთი პატარა ქვეყანა რომ წამოიღებს, როგორიც საქართველოა, ამას კომენტარი არ სჭირდება. თუმცა, უპირველესად, მაინც ნინო სალუქვაძის დამსახურებას მინდა გავუსვა ხაზი - მან გაუკაფა ჩვენს ბიჭებს კვარცხლბეკისკენ გზა. შეუდარებელი იყო ძიუდოისტი ირაკლი ცირეკიძეც. განსაკუთრებით მანუჩარ კვირკველიას წარმატება მინდა გამოვყო - იგი მეტოქეებს მთელი თავით სჯობდა. ქართველმა ფალავანმა ეფექტური ფანდების ისეთი კორიანტელი დააყენა ოლიმპიურ ხალიჩაზე, რომ მოხიბლული გულშემატკივრების ოვაციები არ მოკლებია. ძალიან თავდაჯერებული ჩანდა რევაზ მინდორაშვილი. მთელი დღეების განმავლობაში ჯიუტად იმეორებდა, ჩემპიონი უნდა გავხდეო და სიტყვაც შეასრულა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე უნდა ასულიყო გიორგი გოგშელიძეც, მაგრამ ნახევარფინალში მსაჯებიც და ყაზახეთის სახელით მოასპარეზე თიგიევიც არასპორტულად, არ შევცდები, თუ ვიტყვი, არაკაცურად მოიქცნენ . ჩვენს ფალავანს ოსმა მოჭიდავემ კინაღამ თვალი ამოთხარა, რაც არბიტრებმა „ვერ შენიშნეს“. ორთაბრძოლის დაწყებამდეც ვიცოდით, რომ თიგიევს საგანგებო დავალება ჰქონდა - რადაც უნდა დაჯდომოდა, გოგშელიძე ფინალში არ გაეშვა. შეხვედრის შემდეგ იგი გიორგისთან მივიდა და მომხდარის გამო მოუბოდიშა. ჩვენც არ გაგვიმწვავებია მდგომარეობა, რადგან წამხდარ საქმეს არაფერი ეშველებოდა - პაექრობის შედეგს არავინ შეცვლიდა. გოგშელიძეც არ იყო ბოლომდე მართალი - ყოველივეს მიუხედავად, გამოცდილ სპორტსმენს თავი უნდა შეეკავებინა, მაშინ მეოთხე „ოქროსაც“ ვიზეიმებდით. ეს ინციდენტი ყველა მოჭიდავისთვის მაგალითი იქნება, თვით გიორგისთვისაც. დარწმუნებული ვარ, რომ იგი მომავალი შეჯიბრებებისთვის ჩვეული მუყაითობით მოემზადება და პეკინურ „ბრინჯაოს“ ოთხი წლის შემდეგ ბრიტანულ „ოქროზე“ გადაცვლის.

**- მიხეილ მამიაშვილთან თუ გქონდათ კონტაქტები?**

- როგორ არა. ყოველდღიურად ვხვდებოდით ერთმანეთს. რუსეთ-საქართველოს ომის დაწყების შემდეგ ორ ცეცხლშუა იმყოფებოდა. ჩემთან საუბრისას აღნიშნა, რომ საგანგებო დავალება ჰქონდა, მაქსიმალური წარმატებისთვის მიეღწია, რაც მთავარია, მის შეგირდებს ქართველ ფალავნებთან არ უნდა წაეგოთ. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში რუსმა ვარტერეს სამურგაშევმა მეოთხედფინალში უნგრელ პეტერ ბაშთან ქულებით რომ წააგო, კმაყოფილმა მამიაშვილმა მითხრა, კიდევ კარგი, ნაადრევად ჩამოშორდა ფინალისკენ მიმავალ გზას, თორემ კვირკველია ნახევარფინალში მას შეაბურთავებდა და მეც მოსკოვში არ ჩამესვლებოდაო.

**- თუშიშვილზე არაფერი გითქვამთ.**

- ოთარსაც ცოტა დააკლდა ოცნების ახდენამდე. ისე, ოლიმპიური ჩემპიონობისთვის აუცილებელია, მთელი თავით სჯობდე მეტოქეებს, რადგან ხალიჩაზე მსაჯების სიმპათია-ანტიპათიებს საბოლოოდ ვერავინ ალმოფხვრის. თუმცა ხმამაღლა შემიძლია განვაცხადო, რომ არბიტრები ათენში ბევრად ტენდენციურები იყვნენ, ვიდრე პეკინში. ჩვენს ფედერაციასაც მიუძღვის ამ საქმეში დიდი წვლილი, რადგან ბევრ რამეში დავეხმარეთ ფილას. თუნდაც ის რად ღირს, რომ მსოფლიოში პირველებმა ავიმაღლეთ ხმა შეჯიბრებებზე გადაზრდილი სპორტსმენების გამოყვანის წინააღმდეგ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც მთელი ოთხი წლის განმავლობაში გვერდით გვედგა და გვეხმარებოდა: ეს ოთხი მედალი სწორედ ერთობლივი გარჯის შედეგია. ამგვარი თანადგომით, გვერწმუნეთ, ლონდონის ოლიმპიადაზე უფრო დიდ გამარჯვებას ვიზეიმებთ.

**ვაჟა დანელია**

## მილოცვა

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი 70 წლის იუბილეს ულოცავს ქართული სპორტის ვეტერანს, ვანის რაიონის სპორტკომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს, საქართველოს სპორტის დამსახურებულ მუშაკს ლაშა ბუბაშვილს.**

ჭადრაკი

# ბოლო ტურის წინ სამეული ლიდერობს

გუშინ საქართველოს ქალთა ჩემპიონატის პირველ ლიგაში ბოლოსწინა, მეექვსე ტური გაიმართა და როგორც მოსალდნელი იყო, ვერაფერიც ვერ გაირკვა – ანუ ვერ გამოვლინდა ორი მოწინავე, ვინც უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლებას მიიღებს. გადამწყვეტი ბოლო ტურის შეხვედრებია და, ალბათ, ყველაზე საინტერესოც. გუშინ პირველ დაფაზე **ქეთი წანალაშვილმა** და **სოფიკო გურამიშვილმა** ქულა გაიყვეს; ასეთივე შედეგით დასრულდა შეხვედრა მეორე დაფაზე **ნინო ანაკიძესა** და **ნათია ჯალაბაძეს** შორის. მესამე დაფაზე **მერი არაბიძემ** თეთრებით **ფატი რიჟამაძე** დაამარცხა, ხოლო მეოთხეზე **ლელა უგულავამ** მოულოდნელად აჯობა ფავორიტ **სოფიკო ნიკოლაძეს**. მეხუთეზე **მარიამ სულამანიძემ** თეთრი ფერის მიუხედავად ვერაფერი დაუპირისპირა **მარიამ დანელიას** და დამარცხდა.

წანალაშვილმა და ანაკიძემ ლიდერობა კი შეინარჩუნეს – 4 ქულა აქვთ, მაგრამ მათ გვერდში არაბიძეც ამოუდგა და ახლა სამეული ლიდერობს ტურნირს. გურამიშვილს და დანელიას 3,5 ქულა აქვთ და მეოთხე-მეხუთე ადგილებს იყოფენ. უგულავა და რიჟამაძე კი 3-3 ქულით მეექვსე-მეშვიდე ადგილებში ეცილებიან ერთმანეთს. ნიკოლაძე და ანა კუჭავა 2,5-2,5 ქულით ასრულებენ ცხრილს...

ბოლო ტურში ერთმანეთს დაუპირისპირდებიან: **არაბიძე – ანაკიძე; ჯალაბაძე – წანალაშვილი; გურამიშვილი – უგულავა; დანელია – რიჟამაძე; ნიკოლაძე – კუჭავა. სულამანიძემ ორი ქულით დაასრულა ასპარეზობა.**

**ზვიად შა[illegible]ვილი**

ჩოგბურთი

# ჩიხლაძემ ევროპაში გადმოინაცვლა

დომინიკის დედაქალაქ სანტო დომინგოში ერთმანეთის მიყოლებით 4 ტურნირი გაიმართა (თითოეულის საპრიზო ფონდი – 10 ათასი $), კალენდარში კიდევ ერთია, თუმცა ბოლო შეჯიბრებამ უკვე უქართველოდ ჩაიარა – როგორც ვვარაუდობდით, **ლადო ჩიხლაძემ** ასპარეზობაზე უარი განაცხადა. პირველ ორ ტურნირში **მიხეილ ჩადუნელმაც** ითამაშა, ლადომ კი პირველ სამ ტურნირში მიიღო მონაწილეობა. ამ ტურნირებში უძლიერესი ჩაწოდებებით გამორჩეული ქართველისთვის ყველაზე წარმატებული რიგით მეორე იყო, როცა ჩვენებურმა წყვილთა თანრიგის ფინალში გააღწია. ერთეულებში კი ჩიხლაძემ წარუმატებლად ითამაშა, ორჯერ პირველ წრეში დამარცხდა, ერთხელ კი საერთოდ ვერ შეძლო ძირითად ბადეში გაღწევა.

ლადო უკვე ევროპაშია, ის ჩეხეთის ქალაქ ოპავაში ვაჟ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში იასპარეზებს. 23 წლის ქართველი ძირითად ბადეში განთესილთა შორის იქნება, მიზეზი მარტივია – ხანგრძლივი ტრავმის შემდეგ კორტებზე დაბრუნებულ ჩოგბურთელს რამდენიმე ტურნირზე ძველი (ტრავმამდელი) რეიტინგით შეუძლია თამაში, ლადომაც ეს უფლება გამოიყენა, შარშან ამ დროს ტრავმის მიღებამდე ის მსოფლიოს 370-ე ჩოგანი იყო.

ქალთა შორის ყველაზე ბოლოს სეზონს **სოფიო ქვაცაბაია** და **ანა ჯიქია** ასრულებენ, ჩვენებურები ბენიკარლოს (ესპანეთი, 10 ათასი $) ტურნირის ძირითად ბადეში მოხვდნენ. ქვაცაბაიას პირველი მეტოქე ბულგარელი **ბილიანა პავლოვაა** (727). ამ ტურნირის ძირითად ბადეში გაღწევა შეძლო ანა ჯიქიამაც, თუმცა მისი მომავალი მეტოქე წუხელ გვიან გაირკვეოდა. მანამდე ანამ ზედიზედ სამი მეტოქე დაამარცხა – შვეიცარიელი **მონა პილერი** – 6:1, 6:2, ესპანელი **ალისია ფერნანდესი** – [illegible]:0, 6:0 და მე-4 ნომრად განთესილი ესპანელი **ინეს ფ[illegible]რერი** (542) – 2:6, 6:3, 6:[illegible].

**ნიკოლოზ ნეფარიძე**




ლადო ჩიხლაძე

კალათბურთი | 18-წლამდელთა ჩემპიონატი

# აკადემიკოსთა პირველი მარცხი



ავტორის ფოტო

**5 დეკემბერი. ქუთაისი**

**ქუთაისი-დინამო 53:67**

11:19, 10:23, 15:8, 17:17

ქუთაისი: ბიკაშვილი (14ქ), ტუკვაძე (11 ქ, 17 მ)

დინამო: დეკანოიძე (16 ქ, 16 მ), ალხანაიძე (16ქ), ბაქრაძე (12ქ)

**6 დეკემბერი. სასოფლო**

**მართვე-სამედიცინო 79:84**

22:30, 17:27, 25:6, 15:21

მართვე: ტეტელაშვილი (29ქ), ძიძიშვილი (18 ქ, 11 მ)

სამედიცინო: ლეჟავა (25ქ), ნიკლაური (21 ქ, 9 მ), მაისურაძე (11 ქ, 12 მ)

**აკადემია-მართვე 2 83:87**

16:22, 23:20, 25:22, 19:23

აკადემია: ელიაძე (27ქ), სანაია (17ქ), ჯავახიშვილი (12 ქ, 10 მ)

მართვე 2: გლოველი (24 ქ, 11 მ, 8 პ), ლომოური (20 ქ, 10 მ), ჭიჭვეიშვილი (20ქ), ბაშარაული (19ქ)

**ენერჯი-დინამო 78:64**

16:23, 21:14, 18:13, 23:14

ენერჯი: ელანიძე (17ქ), ჩერქეზიშვილი (14ქ), კოლოსოკი (7 ქ, 17 მ)

დინამო: დეკანოიძე (19 ქ, 16 მ), გუგუშვილი (12ქ), გულდედავა (12ქ)

**9 დეკემბერი. აკადემია**

**ენერჯი-სამედიცინო 86:63**

16:14, 23:16, 17:16, 30:17

ენერჯი: ელანიძე (21 ქ, 17 მ), გურაბანიძე (19 ქ), მაღრაძე (15 ქ)

სამედიცინო: მაისურაძე (16 ქ, 9 მ), ლეჟავა (14ქ), ნიკლაური (12 ქ), ჩქარეული (5 ქ, 14 მ)

გასულ კვირას 20-წლამდელები ისვენებდნენ, ახალგაზრდული ჩემპიონატის მატჩები არ გამართულა. 16-წლამდელები კი, კადეტთა ნაკრების ესპანეთში გამგზავრების გამო უქმობდნენ. შესაბამისად, მხოლოდ ჭაბუკებმა (18-წლამდელებმა) ითამაშეს და "სასოფლოს" გამთბარ დარბაზში მისულ მაყურებელს საინტერესო ორთაბრძოლებიც უჩვენეს.

თუმცა, შაბათამდე ერთი დღით ადრე ქუთაისში გაიმართა ერთი მატჩი, რომელიც ასევე დაძაბულად წარიმართა და დინამოელების გამარჯვებით დასრულდა.

ახლა, "სასოფლოში" მომხდარ ამბებზე მოგახსენებთ, სადაც პირველი დამარცხება განიცადა მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩენილმა "აკადემიამ".

**გია კაზანჯიანი** 16-წლამდელებს ესპანეთში გაჰყვა, "აკადემია" კი **კახა შენგელიას** გაწვრთნილ "მართვე 2-თან" სათამაშოდ მისმა თანაშემწემ გაიყვანა. თამაში საინტერესო გამოვიდა, სადაც გამარჯვებულის ვინაობა ბოლო წამებზე გაირკვა.

მართველები თავიდანვე რომ დაწინაურდნენ, ბოლო მეოთხედამდე ინარჩუნებდნენ ლიდერობას. მათ წინ მიუძღოდათ **გიორგი გლოველი**, რომელსაც **ბექა ჭიჭვეიშვილი** და **აკაკი ლომოურიც** აშველებდნენ ხელს და კახა შენგელიას გუნდი 5-8 ქულით თითქმის სულ წინ იყო.

მეორე ტაიმიდან აკადემიელები გამოცოცხლდნენ, რაც **ლევან ელიაძისა** და **დათო სანაიას** ზუსტი სროლების დამსახურება იყო. "აკადემიამ" ანგარიში მესამე მეოთხედში გაათანაბრა და გადამწყვეტი მეოთხედიდან ყველაფერი ახლიდან დაიწყო.

ბოლო ათწუთეულშიც თანაბრად თამაში ვიხილეთ, ხან ერთი გუნდი დაწინაურდებოდა მცირედით, ხან მეორე. ბოლო წუთზე მართველები 83:81-ს იგებდნენ, თუმცა ლევან ელიაძემ საფინალო სირენამდე 22 წამით ადრე საჯარიმოს ხაზიდან ანგარიში გაათანაბრა. ახალგაზრდა მართვეებმა შეტევა წამოიწყეს, აკადემიელები კი სირენამდე 6 წამით ადრე დაჯარიმდნენ და გიორგი გლოველმა "მართვე-2" 85:83 დააწინაურა. აკადემიელებს თამაშის გადასარჩენად საკმარისი დრო ჰქონდათ, მაგრამ გადამწყვეტ შეტევაში ბურთი დაკარგეს და სეზონში პირველი მარცხი იწვნიეს.

"მართვესა" და "სამედიცინოს" მატჩი არანაკლებ საინტერესო გამოვიდა. ცხრილის მიხედვით ფავორიტად "მართვე" ითვლებოდა, თუმცა **სერგო იშხნელის** გაწვრთნილმა "მედიკოსებმა" პირველ ტაიმში დამაჯერებლად ითამაშეს, რომ **გია ტეტელაშვილის** გუნდს შანსი არ დაუტოვეს. **იოსებ ლეჟავა** გონივრულად თამაშობდა როგორც დაცვაში, ისე შეტევაში, მას მხარს უბამდა **შოთა ნიკლაურიც** და "სამედიცინომ" პირველი ტაიმი 18 ქულით მოიგო - 57:39.

შესვენების შემდეგ მართველები გამოცოცხლდნენ, რაც მათი გამთამაშებლის, **გიორგი ტეტელაშვილის** დამსახურება იყო. "მართვემ" მესამე მეოთხედის საწყისი 8 წუთი 23:4 მოიგო და 62:61 დაწინაურდა. აქ ალბათ ყველამ იფიქრა, რომ "სამედიცინო" გატყდებოდა, მაგრამ იშხნელის შეგირდებმა დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინეს და მატჩის ბოლო ათწუთეული მობილიზებულად ჩაატარეს, რაც დაუფასდათ კიდეც. "მართვე" ნელში ლეჟავას სამქულიანმა გატეხა, რომელიც "მედიკოსთა" თმახუჭუჭა უკანახაზელმა სირენამდე წუთნახევრით ადრე ჩააგდო და თავისიანები 6 ქულით დააწინაურა. საბოლოოდ კი იშხნელის გუნდმა 84:79 იმარჯვა.

ბოლო შეხვედრაში ძალიან დაძაბული იყო საწყისი სამი მეოთხედი. **დავით თორთლაძის** "დინამო" თავიდან დამაჯერებლად უგებდა **ნიკო ჩერქეზიშვილის** "ენერჯის", თუმცა თამაშის სასურველი ანგარიშით დასრულება ვეღარ მოახერხა. "ენერჯიში" გაიბრწყინა მთავარი მწვრთნელის შვილმა **ირაკლი ჩერქეზიშვილმა**, რომელმაც თამაშში გარდატეხა შეიტანა, ხოლო როცა **გიორგი ელანიძემ** და **ედუარდ კოლოსოკმაც** თავი გამოიდეს, "დინამოს" წაგება გარდაუვალი გახდა.

9 დეკემბერს გაიმართა 18-წლამდელთა ჩემპიონატის გადადებული მატჩი, რომელიც 22 ნოემბერს უნდა ჩატარებულიყო. ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის „ენერჯი" სერგო იშხნელის „სამედიცინოს" შეხვდა და იოლად დაამარცხა.

თამაში ისე დაიწყო, სავარაუდო იყო, რომ მაყურებელი საინტერესო ორთაბრძოლას იხილავდა.

მეორე ათწუთეულიდან ჩერქეზიშვილის შეგირდები გამოცოცხლდნენ. გიორგი ელინაძე ფარქვეშ შეუჩერებელი შეიქნა, ის ბურთს ბურთზე ხსნიდა, ქულებსაც აგროვებდა და პირველი ტაიმის ბოლოსთვის „ენერჯი" 9 ქულით დააწინაურა.

„სამედიცინომ" მეტოქეს მესამე მეოთხედში სათანადო წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა ბოლო ათწუთეულში თეთრი დროშაააფრიალა. „ენერჯიმ" 78:64 გაიმარჯვა და სატურნირო ცხრილში "სამედიცინოს" გაუთანაბრდა.

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. მართვე-2 | 6 | 3 | 3 | 9 |
| 2. აკადემია | 5 | 4 | 1 | 9 |
| 3. სამედიცინო | 6 | 3 | 3 | 9 |
| 4. მართვე | 5 | 3 | 2 | 8 |
| 5. ენერჯი | 5 | 3 | 2 | 8 |
| 6. დინამო | 5 | 3 | 2 | 8 |
| 7. ქუთაისი | 5 | 2 | 3 | 7 |
| 8. რუსთავი | 4 | 2 | 2 | 6 |
| 9. ნაკრები-93 | 5 | 0 | 5 | 5 |

ვაჟა სიმონიშვილი

16-წლამდელთა ნაკრები. ისკარის საერთაშორისო ტურნირი

# კადეტებმა ესპანეთი მოილიეს

საქართველოს კადეტთა ნაკრებმა ესპანეთის ქალაქ ისკარში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირი დაასრულა. ბოლო მატჩში ჩვენი 16-წლამდელები პორტუგალიას დაუპირისპირდნენ. მეტოქე მეორე ჯგუფის ბოლოადგილოსანი იყო და საქართველო-პორტუგალიას შორის გამარჯვებული შეჯიბრების ბოლოსწინა, მე-7 ადგილს ინაწილებდა. მატჩმა თანაბარ ბრძოლაში ჩაიარა, უკანასკნელ წამებზე პორტუგალიელებმა იყოჩაღეს და 3 ქულის სხვაობით გაიმარჯვეს – 71:74. თამაში თავიდანვე თანაბარი იყო – ხან ერთი გუნდი ლიდერობდა, ხან მეორე. ქართველებს წინამძღოლობდნენ **ოთარ ფხაკაძე** და **ირაკლი ნადირაძე**, რომლებმაც საბოლოოდ 18–18 ქულა დააგროვეს. **გეგი მესხმა** 10 ქულა ჩააგდო. ბოლო წუთებზე ჩვენებს ჰქონდათ გამარჯვების შანსი, მაგრამ საბოლოოდ პორტუგალიელებმა უფრო დამაჯერებლად ითამაშეს და ისკარის საერთაშორისო ტურნირის მე–7 ადგილი წაგვართვეს.

შეგახსენებთ, რომ გია კაზანჯიანის გაწვრთნილმა კადეტებმა ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში მასპინძლებთან დიდი სხვაობით დათმეს, მანამდე კი თურქეთთან და ხორვატიასთან წააგეს.



ავტორის ფოტო

ვაჟა სიმონიშვილი

რაგბი | ლეგიონერები



# მდგომარეობა სტაბილურია

საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 1 დივიზიონში მეცხრე ტურის შეხვედრები გაიმართა. უამინდობის გამო ქართველ მორაგბეთა რამდენიმე კლუბის შეხვედრა გადაიდო, რის გამოც სატურნირო მდგომარეობის ობიექტური სურათის გაანალიზება ვერ ხერხდება. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეცხრე ტურის შეხვედრებს, რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მოჰყოლია.

A ჯგუფში ქართველ მორაგბეთა ორი გუნდის, **ზურაბ მჭედლიშვილის, გიორგი ნემსაძის, ალექსანდრე მარგველაშვილის** „დომონისა" და **მერაბ კვირიკაშვილის, დავით დადუნაშვილისა და შალვა სუთიაშვილის** „მასის" დაპირისპირება გადაიდო.

ჯგუფის ლიდერი **ბესო უდესიანის** „შალონი" კი, ისევ დაუმარცხებელია. შალონელებმა ზედიზედ მეცხრე გამარჯვება მოიპოვეს საშინაო მატჩში „დიჟონთან" - 27:3. უდესიანს თამაშში მონაწილეობა არ მიუღია.

სტუმრად გაიმარჯვა „რუენთან" **დავით ბოლლაშვილისა და სოსო ნიკოლაენკოს** „ლილმა" - 22:16. შედეგად ლილელები საპლეიოფო ოთხეულს მჭიდროდ დაუახლოვდნენ. ბოლლაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 61-ე წუთზე შეცვალეს. ნიკოლაენკო განაცხადში არ იყო.

**A ჯგუფი. არასი-ლონსი 11:12, დომონი-მასი (გადაიდო), რუენი-ლილი 16:22, შალონი-დიჟონი 27:3**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. შალონი - 39 ქულა, 2. მასი - 26, 3. რუენი - 22, 4. დიჟონი - 21, 5. ლილი - 18, 6. ლონსი - 16, 7. არასი - 10, 8. დომონი - 9.**

B ჯგუფში ლიდერობა დაკარგა **ირაკლი აბუსერიძის** „ორლეანმა", რომელიც გასვლით შეხვედრაში დამარცხდა „ვანთან" - 16:22. აბუსერიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

ასევე სტუმრად წააგო „მონლუსონთან" **სანდრო ესაკიასა** და **ოთარ ელოშვილის** „სენ ნაზერმა" - 6:17. ორივე ქართველი სათადარიგოთა შორის იყო. ესაკია თამაშში 54-ე წუთიდან ჩაერთო. ელოშვილი კი, მოედანზე რვა წუთის შემდეგ გამოჩნდა.

**B ჯგუფი. ბობინი-ჟენევიე 16:6, ვანი-ორლეანი 22:16, ნუარი-ლიმოჟი 16:20, მონლუსონი-სენ ნაზერი 17:6.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ვანი - 29 ქულა, 2. ორლეანი - 27, 3. ბობინი - 26, 4. ლიმოჟი - 25, 5. მონლუსონი - 24, 6. სენ ნაზერი - 20, 7. ნუარი - 16, 8. ჟენევიე - 2.**

D ჯგუფში მორიგი გამარჯვება მოიპოვა **ილია ზედგინიძის** „ექსმა", რომელიც ამჟამად სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზეა. ექსელებმა შინ დაამარცხეს „კარკუირანი" - 35:19. ზედგინიძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა თავისთვის უჩვეულო, ექვსი ნომრის პოზიციაზე.

სტუმრად დამარცხდა დაძაბულ ბრძოლაში „მარსელთან" **დიმა პავლოვის** „ნიცა" - 27:31. პავლოვი განაცხადში არ იყო.

**D ჯგუფი. მარსელი-ნიცა 31:27, ექსი-კარკუირანი 35:19, კარკასონი-არჟელე 25:0, ლავორი-გროლე 6:12.**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. კარკასონი - 30 ქულა, 2. ექსი - 26, 3. ლავორი - 23, 4. ნიცა - 22, 5. გროლე - 22, 6. მარსელი - 15, 7. არჟელე - 14, 8. კარკუირანი - 8.**

E ჯგუფში **თედო ზიბზიბაძის, ირაკლი გუნდიშვილის, ირაკლი ნინიძისა** და **იგორ ბარბაქაძის** „პერიგოს" გასვლითი შეხვედრა „ლურდთან" გადაიდო. მიუხედავად ამისა, პერიგოელები სატურნირო ცხრილში 28 ქულით მაინც დამაჯერებლად ლიდერობენ. არ უთამაშია **შოთა მელიქიძისა** და **გრიგოლ მალალდაძის** „კაორსაც". ჩვენებურთა ეს გუნდი სტუმრად „ოლორონს" უნდა შეხვედროდა. „კაორს" ახლა 18 ქულა აქვს და მე-5 ადგილზეა.

F ჯგუფში ზედიზედ მეორედ მოიგო **დიმიტრი ბასილაიასა** და **ირაკლი ჭყონიას** „მორლაამ". ამჯერად ამ გუნდის მორიგი მსხვერპლი საშინაო მატჩში „ტარნო" შეიქნა - 17:9. ბასილაიამ თავიდან ბოლომდე ითამაშა. ჭყონია განაცხადში არ იყო.

**F ჯგუფი. მორლაა-ტარნო 17:9, სენ ჟან და ლუზი-ლანამეზანი 11:16, ვალანსი-ლანჟონი 9:13, რიბერაკი-ლე ბუჟო 29:13**

**სატურნირო მდგომარეობა: 1. ლანამეზანი - 30 ქულა, 2. ვალანსი - 25, 3. ლანჟონი - 24, 4. სენ ჟან და ლუზი - 22, 5. ლე ბუჟო - 21, 6. მორლაა - 17, 7. ტარნო - 12, 8. რიბერაკი - 12.**

ბესიკ ჯანგავაძე

წიგნის თარო

# ლამაზად თამაშობდა, ლამაზი წიგნიც დაწერა...

მეტად ორიგინალური და ლამაზი წიგნი მიუძღვნა სპორტის გულშემატკივრებს, განსაკუთრებით წყალბურთის მოყვარულებს და, რა თქმა უნდა, თვით წყალბურთელებს - სპეციალისტებს, გასული საუკუნის 50-60-იანი წლების წყალბურთის ვარსკვლავმა **ირაკლი ჩხიკვაძემ**. მაღალმხატვრულად და ძალზე ორიგინალურად შექმნილი ეს წიგნი, ფაქტობრივად ქართული წყალბურთის ისტორიაა...: ავტორს წიგნის სათაურიც ლამაზი, რომანტიკული შეურჩევია - „ჩავუყაროთ ბურთები აუზში ბიჭებს!" ძვირფასი ფოტოებითაც დაუმშვენებია. რაც მთავარია, თხრობის მანერა, არქიტექტონიკა, შინაარსობრივი წყობა უნიკალურია, -ამგვარი სტილის გამოცემებიდან თუ მემუარებიდან განსხვავებული... წიგნი გარკვეულწილად ბიოგრაფიულია. ამასთან, დეტალურადაა აღწერილი, ირაკლი ჩხიკვაძის თანაგუნდელების - ცნობილი ქართველი წყალბურთელების, საერთოდ, ყველა თაობის წყალბურთელთა ღვაწლი. ავტორის მოგონებათა




სკივრი სავსეა აგრეთვე მსოფლიოში და ყოფილ საბჭოთა კავშირში ცნობილი წყალბურთელების, დახასიათებით და მათთან გადატანილი საოცარი ამბებით...

ჭადრაკი

# ყველაზე ახალგაზრდა ქართველი დიდოსტატი გერმანელია...

საქართველოს ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა დიდოსტატად დღემდე მერაბ გაგუნაშვილი ითვლება, რომელმაც უმაღლესი წოდება ჩვიდმეტი წლის ასაკში მოიპოვა. იმ ფონზე, რაც თანამედროვე ჭადრაკში ხდება მსოფლიოს მასშტაბით, ჩვიდმეტი წლის დიდოსტატი ალარავის უკვირს – 12 და 13 წლის დიდოსტატებიც კი მრავლად მოიძევებიან... თუმცა ალსანიშნავია, რომ ასეთები იმ ქვეყნებიდან არიან, სადაც ჭადრაკს უდიდესი ყურადღება ექცევა და სახელმწიფო მილიონებს დაუნანებლად ხარჯავს ჭადრაკის განვითარებისათვის. დარწმუნებული ვარ, ჩვენშიც რომ მსგავსი მიდგომა ყოფილიყო, ახალგაზრდა დიდოსტატების ნაკლებობა არც ჩვენ გვექნებოდა. ნიჭი ნამდვილად არ გვაკლია და ამის გამოვლინებად კიდევ ერთი მაგალითი იქცა: თერთმეტი წლის წინათ საქართველოდან გარკვეული მიზეზებით გერმანიაში გადასახლებულმა დავით ბარამიძემ თხუთმეტი წლის ასაკში მოიპოვა დიდოსტატობა, თუმცა ოფიციალურად წოდება რამდენიმე თვის შემდეგ მიანიჭეს, - მაშინ დავითი უკვე თექვსმეტი წლისა იყო. ბარამიძე ახლა 20 წლისაა და დიდი აღიარებაც დაიმსახურა – გერმანიის ნაკრებში თამაშის უფლება მიიღო და დრეზდენის ოლიმპიადაზე მეოთხე დაფაზე შესანიშნავი შედეგი აჩვენა: შვიდიდან ხუთი ქულა დააგროვა; მოჭადრაკეთა ენაზე ეს მაჩვენებელი „პლუს სამის" ტოლია და საერთო გუნდურ ყულაბაში ლომის წილს უდრის... პროცენტულად მასზე მეტი გუნდში მხოლოდ დანიელ ფრიდმანმა დააგროვა. დავითს დრეზდენში, საჭადრაკო ოლიმპიადაზე, ბოლო ტურის შემდეგ გავესაუბრე – მისმა მოგებამ გერმანიის ნაკრებს გაამარჯვებინა ლიტვასთან და ამ გამარჯვებით საბოლოოდ მეცამეტე ადგილზე გავიდა ბუნდესგუნდი. შევნიშნავთ – გერმანელებს როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის სამ-სამი ნაკრები ჰყავდათ, - ამის უფლება კი მათ მასპინძლის სტატუსის გამო მიეცათ. როგორ და სად ცხოვრობს დავით ბარამიძე; აპირებს თუ არა დაბრუნებას - ამ და სხვა კითხვებზე ახალგაზრდა დიდოსტატი გულწრფელად გვპასუხობს.

- გერმანიაში საცხოვრებლად გადასვლა ბავშვობაში მომიხდა ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო - ბაბუა, როგორც ზვიად გამსახურდიას მომხრე, პოლიტიკურად იდევნებოდა და მთელმა ოჯახმა ვითხოვეთ პოლიტიკური თავშესაფარი. გერმანელებმა კარგად მიგვიღეს. თავდაპირველად ქალაქ გოთაში დავბინავდით, შემდეგ კი დორტმუნდში გადავედით. ოჯახის წევრებმაც იშოვეს ნორმალური სამსახური და მეც მომეცა საშუალება, ჭადრაკისთვის მიმეხედა.

**- ჭადრაკით როდის დაინტერესდი და ვინ იყო შენი პირველი მწვრთნელი?**

7 წლის ასაკში დავიწყე ჭადრაკში პროფესიულად მომზადება ბატონ ვალიკო ურიდიასთან. საქართველოში სხვა მწვრთნელი არც მყოლია. მანამდე მამამ მასწავლა ფიგურების გადაადგილება და შინ ხშირად მეთამაშებოდა ხოლმე.

**- გერმანიაში ვინ გეხმარებოდა?**

- გარკვეული დროის განმავლობაში ბატონი ვალიკო ჩამოდიოდა ჩვენთან და მისი ხელმძღვანელობით ვიმაღლებდი ოსტატობას; შიგადაშიგ ადგილობრივ მწვრთნელებთანაც ვმეცადინეობდი, მაგრამ აქ მაღალი დონის მწვრთნელთა ნაკლებობაა და არც სპარინგ- პარტნიორების სიმრავლეა. ის კლუბი, სადაც მე ვირიცხები, სიდიდით მესამეა გერმანიაში, მაგრამ უმაღლესი კვალიფიკაციის მწვრთნელთა დეფიციტი მაინც შეინიშნება. ამიტომ, ძირითადად, საკუთარი ძალებით მიწევს ფონს გასვლა. თუმცა არის ერთი ადამიანი, უკრაინელი დიდოსტატი ლეონიდ როგოვი, რომელთანაც მჭიდროდ ვთანამშრომლობ. ახლაც, ოლიმპიადისთვის მზადება მასთან ერთად გავიარე და კმაყოფილიც ვარ.

**- შედეგი მართლაც კარგი აჩვენე – „პლუს სამით" დაასრულე ასპარეზობა და ერთ-ერთი საუკეთესო იყავი გუნდში. ასეთი შედეგი იოლი მისაღწევი არ არის. თუმცა შენი ნიჭის თაყვანისმცემლები ალბათ მეტს ელოდნენ – რაც უნდა იყოს, დიდოსტატი 15 წლის ასაკში გახდი...**

- მეტისთვის შეიძლებოდა მიმეღწია, მაგრამ, როგორც გითხარით, გერმანიაში მაღალკვალიფიციური მწვრთნელების დეფიციტია და თუკი ასეთის დაქირავებას მოისურვებ, სოლიდური სპონსორი უნდა გყავდეს. ჭადრაკში კი გერმანელები, სამწუხაროდ, დიდ ინვესტიციებს არ დებენ. რაღაც შეღავათებს კი ვიღებთ, მაგრამ ეს არასაკმარისია აი, მაგალითად, ამჟამად გერმანის ჯარის მოსამსახურედ ვითვლები, - ერთგვარი სპორტული დანაყოფის წევრი ვარ და ხელფასსაც მიხდიან. გერმანიაში ჯარი 9 თვიანია, მაგრამ შესაძლებელია, თუ სურვილი გაქვს, კიდევ გააგრძელო ვადა. მე ამ შანსით ვისარგებლე, მაგრამ ასეთ პრივილეგიას მხოლოდ ორი წლის განმავლობაში იძლევიან. ვადის გასვლის შემდეგ სპონსორთა მოძიება მომიწევს.

**- საინტერესოა, როგორი საჭადრაკო ფილოსოფია ჩამოგიყალიბდა, - როგორც აღნიშნე, ძირითადად ინდივიდუალურად ემზადები...**

- ხასიათით შემტევი ვარ და მიყვარს ტაქტიკური პოზიციები, ისეთი, სადაც ბევრი ფიგურაა და ათასგვარი გაგრძელება შეიძლება ამოირჩიო; ასეთი სირთულეების დაძლევა დიდ სიამოვნებას მანიჭებს. იმის გამო, რომ პირადი მწვრთნელი არა მყავს, სადებიუტო მომზადებაში მოვიკოჭლებ, - ამ კუთხით მმართებს დიდი მუშაობა – სხვაგვარად მნიშვნელოვან სიმაღლეებს ვერ შევწვდები.

**- შენი რეიტინგი ახლოს არის 2600-იან ნიშნულთან. ალბათ, უახლოეს მომავალში ამ ზღვარს გადალახავ, მაგრამ თანამედროვე მოჭადრაკისთვის ორიენტირი 2700-იანი ზღვარია. როგორ ფიქრობ, შეძლებ ამ სიმაღლემდე ასვლას? დიდია განსხვავება 2600-იან და 2700-იან მოჭადრაკეთა შორის?**

- 2600-მდე მიღწევა დიდი პრობლემა არ უნდა იყოს, მაგრამ უფრო მეტისთვის კი მართლაც ბევრი შრომაა საჭირო. 2500-იან და 2600-იანთა შორის განსხვავება არცთუ დიდია, მაგრამ ექსტრაკლასის მოჭადრაკედ გახდომა ყველას არ შეუძლია. ამ შემთხვევაში მარტო ნიჭი არ არის საკმარისი, - სპონსორებია აუცილებელი, უამრავ ტურნირზე უნდა ითამაშო, რომ მოწინავეებს გაუშინაურდე. იმედი მაქვს, დავძლევ ყველა წინაღობას და შევძლებ უმაღლესი დონის ჭადრაკის თამაშს.

**- ჭადრაკის გარდა რას საქმიანობ, სადმე ხომ არ სწავლობ?**

- არა, ამაზე ვფიქრობ. ვხედავ, რომ გერმანიაში მარტო ჭადრაკით ცხოვრება და თავის გატანა ძალიან ჭირს. ჯერჯერობით კონკრეტულად არაფერი გადამიწყვეტია, თუმცა საჩქაროც არაფერია და რამეს მოვიფიქრებ...

**- საქართველოში დაბრუნებაზე რა აზრის ხარ, ეგებ საქართველოს ნაკრებში თამაშიც მოისურვო...**

- სამშობლო ძალიან მიყვარს, მაგრამ არა მგონია, საქართველოს ნაკრებში თამაშმა მომიწიოს. ქართველი მოჭადრაკეები ძალიან ძლიერები არიან და გამიჭირდება გუნდში მოხვედრა. რახან გერმანიის ნაკრებში მიმიწვიეს, ვფიქრობ, პერსპექტივაც გამოჩნდება.

**- სამშობლოს რა სიხშირით სტუმრობ?**

- 8 წელიწადი არ ვიყავი ნამყოფი და მხოლოდ წლეულს მომეცა საშუალება, ორი კვირით ჩავსულიყავი. ძალიან ბედნიერი ვიყავი. მომეწონა, რომ ქვეყანა საკმაოდ პროგრესირებს და ვითარდება. იმედია, ასევე გაგრძელდება და მალე ბევრად უკეთეს საქართველოს ვიხილავთ.

**- თქვენი ოჯახის წევრების პოლიტიკური დევნა, იმედია, დასრულებულია...**

- რა თქმა უნდა, ის დრო წარსულს ჩაბარდა, ბაბუა დაბრუნდა კიდეც საქართველოში და ფოთში ცხოვრობს. მადლობა ღმერთს, პოლიტიკურად ჯანსაღი სიტუაციაა საქართველოში.



**- გარდა ჭადრაკისა, სპორტის რომელიმე სახეობა ხომ არ გიტაცებს?**

- განსაკუთრებული ჰობი არ გამაჩნია, მაგრამ მიყვარს ფეხბურთი და კალათბურთი, როცა საშუალება მეძლევა, სიამოვნებით ვთამაშობ კიდეც.

**- დიდი მადლობა საუბრისთვის. წარმატებებს გისურვებ.**

- გმადლობთ რომ ყურადღება გამოიჩინეთ და ქართველ მკითხველთან შემახვედრეთ.

**ზვიად შათირიშვილი**
დრეზდენი - თბილისი

გაეცანით სამყაროს «ლელოსთან» ერთად!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და მედია სახლის კიდევ მინიმუმ ერთი გამოცემა და მიიღეთ საჩუქრად

„მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი"

ან „ვეფხისტყაოსანი"

„დიდი სამაგიდო ენციკლოპედია"

„დიდი წიგნი ხელოვნებაზე"



მედია სახლი „პალიტრას" გამოცემები:

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| ყველა სიახლე | 0.80 | 52 | 41.60 |
| გზა | 0.80 | 52 | 41.60 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.50 | 52 | 26.00 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.50 | 312 | 156.00 |
| ათიანი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ოსკარი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"
www.elva.ge
T: 38 26 73; 38 26 74
elva@kvirispalitra.com

მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.
რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი"-ს ხაზითუმი გაქრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.

თითოეული წიგნის ფასია 29 ლარი

თქვენ კი მას უფასოდ მიიღებთ!

აქცია გრძელდება 31 დეკემბრამდე

# უცხოური სპორტი

## კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# მაკჰეილმა მგლები ჩაიბარა



"მინესოტა ტიმბერვულვზის" მთავარი მწვრთნელის პოსტიდან დაითხოვეს **რენდი უიტმენი**. უკვე ცნობილია ამ სპეციალისტის შემცვლელი - "მგლებს" სეზონის ბოლომდე კლუბის საკალათბურთო ოპერაციების ვიცე-პრეზიდენტი **კევინ მაკჰეილი** უხელმძღვანელებს.

*"ჩვენს გუნდს სეზონის დასაწყისში გარკვეული მიზნები და იმედები ჰქონდა, რომელიც, სამწუხაროდ, არ გამართლდა. შედეგებით იმედგაცრუებული ვარ, არადა მჯერა, რომ "ვულვზს" გაცილებით მეტის მიღწევა შეუძლია. სიტუაციის შეცვლა აუცილებელია, წინ სეზონის სამი მეოთხედია დარჩენილი, ასე რომ, პროგრესის მიღწევისთვის კიდევ არის დრო"*, - აცხადებს "მინესოტას" მფლობელი **გლენ ტეილორი**.

"ტიმბერვულვზი" ამ სეზონში მეოთხე კლუბია, რომელმაც მწვრთნელი გამოიცვალა. მანამდე თავიანთი პოსტები დატოვეს **პი ჯეი კარლესიმომ** ("ოკლაჰომა-სიტი"), **ედი ჯორდანმა** ("ვაშინგტონი") და **სემ მიტჩელმა** ("ტორონტო").

# ჯერი სლოუნი: 20 წელი ერთ გუნდში



"მინესოტასა" და "იუტას" გუშინდელ შეხვედრაში "ჯაზმენების" დამრიგებელმა **ჯერი სლოუნმა** ამ გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტზე მოღვაწეობის 20 წლისთავი აღნიშნა. სლოუნმა "იუტას" თავკაცის რანგში პირველი შეხვედრა 1988 წლის 8 დეკემბერს გამართა - მაშინ "ჯაზმა" საკუთარ მოედანზე 89:97 წააგო "დალასთან".

იმ დღიდან მოყოლებული, ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბებში ჯამში 223 მწვრთნელი გამოიცვალა. ყველაზე ხშირად - 12-ჯერ ასეთი ცვლილება "დენვერსა" და "ნიუ იორკში" განხორციელდა.

სლოუნის "იუტაში" მისვლის მომენტში, დღეს ლიგაში მოთამაშე კლუბებიდან ხუთი საერთოდ არ არსებობდა. 66 წლის სპეციალისტის ხელმძღვანელობით მოედანზე ჯამში 123 კალათბურთელი გავიდა.

20 წელი ერთ გუნდში - ეს ჩრდილოამერიკული პროფესიული სპორტის ისტორიაში აბსოლუტური რეკორდია. წინა მიღწევა - 18 წელი - ბეისბოლის გუნდ "ატლანტა ბრეივზის" მწვრთნელს **ბობი კოქსს** ეკუთვნოდა. NBA-ში კი წინა რეკორდის მფლობელი ლეგენდარული **რედ აუერბახი** იყო, რომელიც 16 წელი ავარჯიშებდა "ბოსტონს". მოქმედ მწვრთნელებს შორის, სლოუნის შემდეგ მეორე ადგილს **გრეგ პოპოვიჩი** იკავებს - ის 13 წელია "სან ანტონიოში" მოღვაწეობს.

როგორც ადრე ვიტყობინებოდით, ამა წლის 7 ნოემბერს სლოუნმა კიდევ ერთი რეკორდის დამყარება შეძლო - ის გახდა პირველი მწვრთნელი ისტორიაში, ვინც რეგულარულ ჩემპიონატში ერთ გუნდთან 1000 გამარჯვება მოიპოვა.

**ოკლაჰომა-გ. სტეიტი 102:112**

23:29, 17:32, 28:25, 34:26

ო: დურანტი (41+10 მოხსნა+3 დაფარება), კოლისონი (15+10 მოხსნა), უილკინსი (10), უილკოქსი (8+8 მოხსნა), უესტბრუკი (8+8 მოხსნა+7 პასი).

გ-ს: კროუფორდი (19+6 პასი), ბიედრინსი (17+21 მოხსნა+3 ჩაჭრა), მოროუ (15+3 ჩაჭრა), ბ. რაიტი (15), აზუბუიკე (14), ბელინელი (13), უოტსონი (10).

**კლიპერსი-ორლანდო 88:95**

19:26, 29:16, 27:24, 13:29

კ: ბ. დევისი (27+7 პასი), რენდოლფი (21+12 მოხსნა+3 ჩაჭრა), ტორნტონი (13), კემბი (6+17 მოხსნა+3 დაფარება).

ო: დ. ჰოვარდი (23+22 მოხსნათ+6 დაფარება), ლუისი (18+7 მოხსნა), ნელსონი (15), თურქოგლუ (10+6 პასი).

**მემფისი-ჰიუსტონი 109:97**

32:19, 24:28, 27:28, 26:22

მ: გეი (20), უორიკი (18+8 მოხსნა), მაიო (18), ლოური (11), მ. გასოლი (10+8 მოხსნა+3 ჩაჭრა+3 დაფარება), კონლი (10).

ჰ: სკოლა (16+15 მოხსნა), ალსტონი (16+8 პასი), ვაფერი (15), იაო მინი (14), ბრუკსი (14), ლენდრი (12).

**მაიამი-შარლოტი 100:96**

22:25, 29:23, 15:20, 34:28

მ: უეიდი (41+8 მოხსნა), ჩალმერსი (15+3 ჩაჭრა), მერიონი (13), ჰასლემი (6+9 მოხსნა).

შ: ჯ. რიჩარდსონი (24), ოკაფორი (19+12 მოხსნა), აგუსტინი (14), მორისონი (13), ფელტონი (8+8 პასი).

### კვირის მოთამაშეები

"მაიამი ჰიტის" მცველი **დუიენ უეიდი** და "დალასის" ფორვარდი **დირკ ნოვიცკი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატმა უეიდმა საშუალოდ მატჩში 32.7 ქულა (ლიგაში საუკეთესო მაჩვენებელი), 7.7 შედეგიანი პასი, 4.9 მოხსნა და 2.3 დაფარება დააგროვა. "მაიამიმ" გასულ კვირას სამიდან სამი მატჩი მოიგო.

რაც შეეხება დირკ ნოვიცკის, წინა კვირას მისმა მონაგარმა 30.7 ქულა და 10.0 მოხსნა შეადგინა.

კვირის მოთამაშის ტიტულზე შემდეგი კალათბურთელები აცხადებდნენ პრეტენზიას: **ჯო ჯონსონი** ("ატლანტა"), **რეი ალენი** ("ბოსტონი"), **რაჟონ რონდო** ("ბოსტონი"), **ჟიდრუნას ილგაუსკასი** ("კლივლენდი"), **ლებრონ ჯეიმსი** ("კლივლენდი"), **ჩონსი ბილაპსი** ("დეტროიტი"), **იაო მინი** ("ჰიუსტონი") და **დუიატ ჰოვარდი** ("ორლანდო").

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 22 | 20 | 2 | 90.9 |
| 2. კლივლენდი | 20 | 17 | 3 | 85.0 |
| 3. ორლანდო | 21 | 16 | 5 | 76.2 |
| 4. ატლანტა | 19 | 12 | 7 | 63.2 |
| 5. ნიუ ჯერსი | 19 | 11 | 8 | 57.9 |
| 6. დეტროიტი | 19 | 11 | 8 | 57.9 |
| 7. მაიამი | 21 | 12 | 9 | 57.1 |
| 8. ნიუ იორკი | 20 | 9 | 11 | 45.0 |
| 9. ჩიკაგო | 20 | 9 | 11 | 45.0 |
| 10. ფილადელფია | 21 | 9 | 12 | 42.9 |
| 11. ტორონტო | 19 | 8 | 11 | 42.1 |
| 12. მილუოკი | 22 | 9 | 13 | 40.9 |
| 13. ინდიანა | 20 | 7 | 13 | 35.0 |
| 14. შარლოტი | 21 | 7 | 14 | 33.3 |
| 15. ვაშინგტონი | 18 | 3 | 15 | 16.7 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ლეიკერსი | 19 | 17 | 2 | 89.5 |
| 2. პორტლენდი | 22 | 15 | 7 | 68.2 |
| 3. დენვერი | 21 | 14 | 7 | 66.7 |
| 4. ნიუ ორლეანი | 17 | 11 | 6 | 64.7 |
| 5. ჰიუსტონი | 21 | 13 | 8 | 61.9 |
| 6. იუტა | 22 | 13 | 9 | 59.1 |
| 7. დალასი | 19 | 11 | 8 | 57.9 |
| 8. სან ანტონიო | 19 | 11 | 8 | 57.9 |
| 9. ფინიქსი | 21 | 12 | 9 | 57.1 |
| 10. მემფისი | 21 | 6 | 15 | 28.6 |
| 11. გ. სტეიტი | 21 | 6 | 15 | 28.6 |
| 12. საკრამენტო | 21 | 5 | 16 | 23.8 |
| 13. მინესოტა | 19 | 4 | 15 | 21.1 |
| 14. კლიპერსი | 21 | 4 | 17 | 19.0 |
| 15. ოკლაჰომა | 22 | 2 | 20 | 9.1 |

**ქულები**

| | |
|---|---|
| დუეინ უეიდი (მაი) | 29.5 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლი) | 26.5 |
| კრის ბოში (ტორ) | 25.7 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 25.0 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 24.7 |
| დევინ ჰარისი (ნ-ჯერ) | 24.4 |
| დენი გრეინჯერი (ინდ) | 23.1 |
| ჯო ჯონსონი (ატლ) | 23.1 |
| კევინ დურანი (ოკლ) | 22.7 |
| ვინს კარტერი (ნ-ჯერ) | 22.5 |

**მოხსნები**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 14.8 |
| ანდრის ბიედრინში (გ-სტე) | 12.3 |
| ემეკა ოკაფორი (შარ) | 10.7 |
| ტრო მერფი (ინდ) | 10.6 |
| ენდრიუ ბოგუტი (მილ) | 10.4 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 10.4 |
| დევიდ ლი (ნ-იორკ) | 10.2 |
| კრის ბოში (ტორ) | 10.1 |
| ელ ჯეფერსონი (მინ) | 10.1 |
| ელტონ ბრენდი (ფილ) | 10.0 |

**პასები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 11.8 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 9.6 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.5 |
| კრის დუჰონი (ნ-იორ) | 8.3 |
| სტივ ნეში (ფინ) | 8.2 |
| ბაირონ დევისი (კლივ) | 8.1 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 7.6 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 7.5 |
| ჩონსი ბილაპსი (დენ) | 6.9 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლი) | 6.5 |

**ჩაჭრები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 2.8 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 2.7 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 2.3 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 2.3 |
| მარიო ჩელმერსი (მაი) | 2.1 |
| რონი ბრიუერი (იუტ) | 2.1 |
| ჯერალდ უოლასი (შარ) | 2.1 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლი) | 2.1 |
| ტრევორ არიზა (ლეიკ) | 2.0 |

**დაფარებები**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 4.2 |
| მარკუს კემბი (კლივ) | 3.0 |
| კრის ანდერსენი (დენ) | 2.3 |
| ენდრიუ ბინუმი (ლეი) | 2.1 |
| რონი ტურიაფი (გ-სტე) | 2.1 |
| ბენ უოლასი (კლივ) | 2.0 |
| კრის კამანი (კლივ) | 1.9 |
| ელ ჯეფერსონი (მინ) | 1.9 |
| სპენსერ ჰეივსი (საკ) | 1.8 |
| კენდრიკ პერკინსი (ბოს) | 1.8 |

## ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-ტამპა ბეი 5:3**

3:0, 1:1, 1:2

გოლები: 1:0 ლუჩიჩი-7 (ვიდემანი-9, კესელი-8), 2:0 კესელი-17, 3:0 რაიდერი-7 (ჰნიდი-4, ჰანვიკი-7), 3:1 ჰოლი-2 (არტიუხინი-4, რეინჯერი-6), 4:1 ხარა-5 (კრეისი-16, ვიდემანი-10), 4:2 ლეკავალიე-11 (სენტ ლუისი-15, რეინჯერი-7), 4:3 შეჩურა-1 (მალიკი-4, მეზაროში-7), 5:3 აქსელსონი-1 (პ. ბერჟერონი-12).

**ტორონტო-აილენდერსი 4:2**

1:1, 2:1, 1:0

გოლები: 1:0 კულემინი-6 (პონიკაროვსკი-11, სტაიანი-16), 1:1 გერინი-11 (მეიერი-3, უეიტი-20), 2:1 უაიტი-4 (სტრალმანი-6, ჯეისონ ბლეიკი-10), 2:2 სილინჯერი-1 (კამპოლი-4, ჰილბერტი-8), 3:2 ჯეისონ ბლეიკი-5 (ჯერემი უილიამსი-1, კაბერე-15), 4:2 ჯერემი უილიამსი-1 (ჯეისონ ბლეიკი-11, კუბინა-7).

**ოტავა-ფლორიდა 3:4 (ო)**

1:1, 2:2, 0:0, 0:1

გოლები: 1:0 კელი-2 (ფოლინო-3, ვინჩესტერი-4), 1:1 ბონიტონი-3 (პელტონენი-6, გ. კემპბელი-7), 2:1 ჰიტლი-14, 2:2 რეპიკი-1 (ბალარდი-9), 3:2 სპეცა-12 (ალფრედსონი-18), 3:3 ბოუმისტერი-4, 3:4 უეისი-4.

**პიტსბურგი-ბაფალო 3:4**

2:1, 1:2, 0:1

გოლები: 1:0 ფედოტენკო-6 (მალკინი-33, სიკორა-9), 1:1 როი-8, 2:1 ფედოტენკო-7 (მალკინი-34, სიკორა-10), 3:1 ლეტანგი-1 (კროსბი-28), 3:2 კოტალიკი-7 (მეირი-4, აფინოგენოვი-9), 3:3 პეი-3 (გოსტადი-4, მაკარტური-6), 3:4 ვანეკი-20 (პომინვილი-11, ჰეხტი-5).

**სენტ ლუისი-ნეშვილი 6:3**

1:1, 2:2, 3:0

გოლები: 0:1 პილსტრიომი-1 (ლეგვანდი-9, სატერი-12), 1:1 კრომბინი-3, 1:2 კლაინი-2 (ფიდლერი-3, ნიკოლი-6), 2:2 სტინი-3 (პერონი-14, ბოიესი-13), 3:2 ბერგლუნდი-9 (კრომბინი-6, ტკაჩუკი-7), 3:3 დუმონი-7 (ჯ. უორდი-4, სატერი-13), 4:3 კრომბინი-4 (სტინი-3, მაკლემანი-5), 5:3 ბოიესი-14 (ჯეკმენი-4, ბერგლუნდი-9), 6:3 კრომბინი-5 (მაკლემანი-6, ბექსი-6).

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად "ნეშვილ პრედატორზის" მეკარე **პეკა რინე** დაასახელა. წინა კვირას მან სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა და აქედან ორჯერ "მშრალად" შეინახა საკუთარი კარი. რინემ ჯამში 83 შაიბა მოიგერია და მეტოქეთა დარტყმების 97.6 პროცენტის შეჩერება შეძლო.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი "ჩიკაგოს" ცენტრფორვარდს **ჯონათან ტეუვზს** ერგო, რომელმაც 4 გოლი და 2 შედეგიანი პასი დააგროვა.

მესამე ვარსკვლავი გახდა "ოტავა სენატორზის" ფორვარდი **ჯეისონ სპეცა**. მას მხოლოდ ორ მატჩში მოუწია თამაშმა და თავდამსხმელის ანგარიშზე 4 გოლი მოდის.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 27 | 19 | 4 | 4 | 42 |
| 2. რეინჯერსი | 30 | 18 | 10 | 2 | 38 |
| 3. ვაშინგტონი | 28 | 15 | 10 | 3 | 33 |
| 4. მონრეალი | 26 | 15 | 6 | 5 | 35 |
| 5. პიტსბურგი | 27 | 15 | 8 | 4 | 34 |
| 6. ფილადელფია | 26 | 13 | 7 | 6 | 32 |
| 7. ნიუ ჯერსი | 24 | 14 | 8 | 2 | 30 |
| 8. ბაფალო | 27 | 13 | 11 | 3 | 29 |
| 9. კაროლინა | 28 | 13 | 12 | 3 | 29 |
| 10. ფლორიდა | 27 | 12 | 12 | 3 | 27 |
| 11. ტორონტო | 28 | 10 | 12 | 6 | 26 |
| 12. ოტავა | 25 | 10 | 10 | 5 | 25 |
| 13. აილენდერსი | 27 | 10 | 15 | 2 | 22 |
| 14. ატლანტა | 26 | 9 | 14 | 3 | 21 |
| 15. ტამპა ბეი | 27 | 6 | 13 | 8 | 20 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ხოსე | 27 | 22 | 3 | 2 | 46 |
| 2. დეტროიტი | 26 | 18 | 4 | 4 | 40 |
| 3. კალგარი | 27 | 16 | 10 | 1 | 33 |
| 4. ვანკუვერი | 28 | 15 | 10 | 3 | 33 |
| 5. ანაჰაიმი | 28 | 15 | 10 | 3 | 33 |
| 6. ჩიკაგო | 25 | 12 | 6 | 7 | 31 |
| 7. მინესოტა | 26 | 15 | 10 | 1 | 31 |
| 8. ნეშვილი | 27 | 14 | 11 | 2 | 30 |
| 9. ედმონტონი | 26 | 13 | 11 | 2 | 28 |
| 10. სტ. ლუისი | 26 | 12 | 11 | 3 | 27 |
| 11. კოლორადო | 27 | 13 | 13 | 1 | 27 |
| 12. ლოს ანჯელესი | 26 | 11 | 11 | 4 | 26 |
| 13. ფინიქსი | 27 | 12 | 13 | 2 | 26 |
| 14. კოლამბუსი | 27 | 11 | 13 | 3 | 25 |
| 15. დალასი | 26 | 10 | 12 | 4 | 24 |

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 45 (11+34) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 41 (13+28) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 35 (14+21) |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 34 (12+22) |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 32 (14+18) |
| საიმონ განიე (ფილ) | 32 (13+19) |
| პატრიკ კეინი (ჩიკ) | 32 (12+20) |
| მარკ სავარი (ბოს) | 32 (8+24) |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 32 (8+24) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 20 |
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 19 |
| ფილ კესელი (ბოს) | 17 |
| პატრიკ შარპი (ჩიგ) | 16 |
| მარიან ჰოსა (დეტ) | 15 |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 15 |
| ტეემუ სელიანე (ანა) | 14 |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 14 |
| დენი ჰიტლი (ოტა) | 14 |
| ბრედ ბოიესი (ს-ლუი) | 14 |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 14 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 34 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 28 |
| მარკ სავარი (ბოს) | 24 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 24 |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 22 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 22 |

## სხვადასხვა

**ოლიმპიზმი**

### სოკი პეკინის სინჯებს გადაამოწმებს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ოფიციალური განცხადების თანახმად, პეკინის ოლიმპიადის დროს აღებული დაახლოებით 500 დოპინგტესტის შედეგს ხელახლა შეამოწმებენ. ეს პროცედურა იანვარში, მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტოს პარიზისა და ლოზანას ლაბორატორიებში ჩატარდება.

ამ ნაბიჯის გადადგმის აუცილებლობა იმისთვის გახდა საჭირო, რომ ცოტა ხნის წინ ახალი დოპინგი აღმოაჩინეს - მისი სახელწოდებაა CERA და ის ცნობილი აკრძალული პრეპარატის - ერითროპოეტინის ნაირსახეობასა.

ოლიმპიურ კომიტეტში აცხადებენ, რომ ძირითადად ნიჩბოსნების, ველომრბოლების, მოცურავეებისა და მძლეოსნების სინჯებს შეამოწმებენ. პირველი შედეგები მარტის ბოლოსთვის გახდება ცნობილი.

**ფორმულა 1**

### სტანდარტულ ძრავებს ხუთი მომხრე ჰყავს

ყველაფერი იქითკენ მიდის, რომ ამ კვირას ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაცია (FIA) 2010 წლისთვის რეგლამენტში ცვლილებას შეიტანს და გუნდებს სტანდარტული ძრავების გამოყენებას დაავალდებულებს.

უფრო ადრე, ფედერაციის პრეზიდენტმა **მაქს მოსლიმ** გამოაცხადა, რომ ძრავების დამზადებაზე ტენდერი კომპანია "კოსუორტმა" მოიგო და მსოფლიოს ჩემპიონატში ამ სიახლის დასანერგად ოთხი გუნდის თანხმობაა საჭირო.

ფედერაციას უკვე ჰყავს ეს ოთხი საჯინიბო. სტანდარტული ძრავების გამოყენებას თა ნხმდებიან "ფორს ინდია", "უილიამსი", "რედ ბული" და "ტორო როსო". ამ კვარტეტის გარდა, ახალ რეგლამენტს ფრანგული "რენოც" ეთანხმება. ამ გუნდის შეფმა **ფლავიო ბრიატორემ** განაცხადა, რომ დღეს ძრავების "გაყინვის" წესი არ მოქმედებს და ბევრი გუნდი აგრძელებს საკუთარი ტექნიკის მოდერნიზებას. ახალი წესის თანახმად კი, გაცილებით იაფი იქნება სტანდარტული ძრავის შეძენა, რაც სეზონში 6 მილიონი ფუნტი დაჯდება.

ამ საკითხთან დაკავშირებით ფედერაციის სხდომა პარასკევს გაიმართება.

**კალათბურთი**

### კურტინაიტისი ლეტუვოს რიტასში დანიშნეს

ლიტვური კალათბურთის ერთ-ერთ ლიდერს "ლეტუვოს რიტასს" ახალი მთავარი მწვრთნელი ჰყავს. ლეგენდარულმა **რიმას კურტინაიტისმა** ამ პოსტზე **ანასტას სირეიკა** შეცვალა.

მანამდე კურტინაიტისი პოლონეთის "სოპოტში" **ტომას პაჩესასის** თანაშემწედ მუშაობდა. რიმასმა სამწვრთნელო კარიერა აზერბაიჯანში დაიწყო - ის იქ კლუბ "გალა ბაკუსა" და აზერბაიჯანის ნაკრებს ედგა სათავეში. 2006-07 წლების სეზონში კურტინაიტისი პერმის "ურალ-გრეიტში" გადავიდა, მაგრამ სეზონის დასრულებამდე დაითხოვეს პოსტიდან.

# უცხოური სპორტი

## ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

### A ჯგუფი

#### ჩელსი-კლუჟი 2:1

**ჩელსი:** ჩეხი, ბოსინგვა, ტერი, ალექსი, ე. კოული, ობი მიკელი (88. ბრიჯი), ბალაკი, დეკუ, კალუ (65. დროგბა), ჯ. კოული (74. ბელეტი), ანელკა.

**კლუჟი:** ნუნუ კლარუ, პანინი, კადუ, უგო ალკანტარა, ალვარო პერეირა, დანი, მურეშანი, დუბარბიერი (60. ე. კონე), ტრიკა (72. პერალტა), კულიო, ი. კონე.

**გოლები:** 1:0 კალუ (40), 1:1 ი. კონე (55), 2:1 დროგბა (71)

**მსაჯი:** პეტერ ფრიოდფელდტი (შვედეთი)

**მაყურებელი:** 39 000

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: კლუჟი

პირველი ჯარიმა: კლუჟი

პირველი კუთხური: კლუჟი

პირველი გაფრთხილება: კლუჟი

| | | |
|---|---|---|
| 17(8) | დარტყმა | 10(2) |
| 14 | ჯარიმა | 14 |
| 5 | კუთხური | 2 |
| 3 | თამაშგარე | 1 |
| 2 | გაფრთხილება | 2 |
| 67% | ბურთის ფლობა | 33% |

#### რომა-ბორდო 2:0

**რომა:** დონი, პანუჩი, ჟუანი, მექსე, რიისე, ბრიგი, დე როსი, პეროტა (89. პისარო), ტოტი (88. ვუჩინიჩი), მენეზი (80. სისინიო), ჟულიო ბაპტიშტა.

**ბორდო:** რამე, შალმე, პლანუსი, დიავარა, ჟურიეტი, გუფრანი (58. კავენაგი), ფერნანდო, ა. დიარა, გურკუფი, ვენდელი (69. ბელიონი), შამახი (69. იუსი).

**გოლები:** 1:0 ბრიგი (61), 2:0 ტოტი (79)

**მსაჯი:** ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

**მაყურებელი:** 35 000

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: რომა

პირველი ჯარიმა: ბორდო

პირველი კუთხური: რომა

პირველი გაფრთხილება: ბორდო

| | | |
|---|---|---|
| 7(4) | დარტყმა | 16(2) |
| 16 | ჯარიმა | 20 |
| 3 | კუთხური | 4 |
| 6 | თამაშგარე | 4 |
| 1 | გაფრთხილება | 3 |
| 37% | ბურთის ფლობა | 63% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რომა | 6 | 4 | 0 | 2 | 12-6 | 12 |
| 2. ჩელსი | 6 | 3 | 2 | 1 | 9-5 | 11 |
| 3. ბორდო | 6 | 2 | 1 | 3 | 5-11 | 7 |
| 4. კლუჟი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-9 | 4 |

### B ჯგუფი

#### ვერდერი-ინტერი 2:1

**ვერდერი:** ვიზე, ფრიტცი, მერტეზაკერი, პრიოდლი, ბიონიში, ფრინგსი, ვრანიესი (89. ნიმაიერი), ჰუნტი, ოზილი (90. იენსენი), პისარო, როზენბერგი.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, მატერაცი (46. მაქსველი), კორდობა, ხ. ძანეტი, კამბიასო, მუნტარი (71. ბალოტელი), კუარეშმა, ბურდისო, მანსინი, ადრიანო (46. იბრაჰიმოვიჩი).

**გოლები:** 1:0 პისარო (63), 2:0 როზენბერგი (81), 2:1 იბრაჰიმოვიჩი (88)

**მსაჯი:** პიტერ ფინკი (ჰოლანდია)

**მაყურებელი:** 36 000

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ვერდერი

პირველი ჯარიმა: ინტერი

პირველი კუთხური: ვერდერი

პირველი გაფრთხილება: ვერდერი

| | | |
|---|---|---|
| 22(10) | დარტყმა | 9(3) |
| 17 | ჯარიმა | 18 |
| 10 | კუთხური | 3 |
| 4 | თამაშგარე | 6 |
| 2 | გაფრთხილება | 2 |
| 60% | ბურთის ფლობა | 40% |

#### პანათინაიკოსი-ანორთოსისი 1:0

**პანათინაიკოსი:** გალინოვიჩი, ვინტრა, გუმასი, სარიეგი, სპიროპულოსი, ციოლისი, სიმაო, ჟილბერტო სილვა, კლეიტონი (65. სალპინგიდისი), კარაგუნისი (90+3. ივანშიტცი), მანციოსი (83. რუკავინა).

**ანორთოსისი:** ბეკაი (46. ნადი), ა. კონსტანტინუ, კაცავაკისი, დელასი (46. ტრუსოსი), ლეივაკაბესი, სკოპელიტისი, დობრაშინოვიჩი, ბარდონი, ნიკოლაუ, ლაბანი, ტაჰერი (69. პაულო კოშტა).

**გოლი:** 1:0 კარაგუნისი (69)

**მსაჯი:** ბერტრან ბეიეკი (საფრანგეთი)

**მაყურებელი:** 60 000

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: პანათინაიკოსი

პირველი ჯარიმა: ანორთოსისი

პირველი კუთხური: პანათინაიკოსი

პირველი გაფრთხილება: ანორთოსისი

| | | |
|---|---|---|
| 16(6) | დარტყმა | 5(0) |
| 23 | ჯარიმა | 20 |
| 10 | კუთხური | 0 |
| 1 | თამაშგარე | 4 |
| 1 | გაფრთხილება | 3 |
| 56% | ბურთის ფლობა | 45% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პანათინაიკოსი | 6 | 3 | 1 | 2 | 8-7 | 10 |
| 2. ინტერი | 6 | 2 | 2 | 2 | 8-7 | 8 |
| 3. ვერდერი | 6 | 1 | 4 | 1 | 7-9 | 7 |
| 4. ანორთოსისი | 6 | 1 | 3 | 2 | 8-8 | 6 |

### C ჯგუფი

#### ბარსელონა-შახტარი 2:3

**ბარსელონა:** ხორკერა, ვიქტორ სანჩესი, პიკე, კასერესი, სილვინიო, ბუსკეტსი, ვიქტორ ვასკესი, ს. კეიტა, პედრო (77. გუდიონსენი), გლები, კრკიჩი.

**შახტარი:** პიატოვი, სრნა, კუჩერი, ჩიგრინსკი, რატი, ჰუბშმანი, ჟადსონი (67. ბრანდაო), გაი, ვილიანი, ფერნანდინიო (78. ლუიშ ადრიანო), გლადკი.

**გოლები:** 0:1 გლადკი (31), 0:2 გლადკი (58), 1:2 სილვინიო (59), 1:3 ფერნანდინიო (76), 2:3 ბუსკეტსი (83)

**მსაჯი:** მაიკლ რაილი (ინგლისი)

**მაყურებელი:** 19 000



ანორთოსისის იმედები კარაგუნისმა დამარხა

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ბარსელონა

პირველი ჯარიმა: შახტარი

პირველი კუთხური: ბარსელონა

პირველი გაფრთხილება: ბარსელონა

| | | |
|---|---|---|
| 19(12) | დარტყმა | 8(3) |
| 9 | ჯარიმა | 20 |
| 8 | კუთხური | 2 |
| 1 | თამაშგარე | 7 |
| 1 | გაფრთხილება | 6 |
| 63% | ბურთის ფლობა | 37% |

#### ბაზელი-სპორტინგი 0:1

**ბაზელი:** კოსტანსო, ფერატი, მორგანელა, მარკე, საფარი, კარლიტოსი, ერგიჩი, ჰუგელი, ჩიპერფილდი, ფრაი, შტრელერი.

**სპორტინგი:** იანიკი, დანიელ კარიკო, კანეირა, ანდერსონ პოლგა, პერეირინია, როშემბაკი, იზმაილოვი, ტიაგო, ჟოაო მუტინიო, ვუკჩევიჩი (45. აბელი), დერლეი.

**გოლი:** 0:1 იანიკი (19)

**მსაჯი:** პოლ ალაერტსი (ბელგია)

**მაყურებელი:** 25 000

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ბაზელი

პირველი ჯარიმა: ბაზელი

პირველი კუთხური: ბაზელი

პირველი გაფრთხილება: ბაზელი

| | | |
|---|---|---|
| 17(6) | დარტყმა | 10(4) |
| 14 | ჯარიმა | 25 |
| 10 | კუთხური | 0 |
| 0 | თამაშგარე | 4 |
| 1 | გაფრთხილება | 1 |
| 55% | ბურთის ფლობა | 45% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 6 | 4 | 1 | 1 | 18-8 | 13 |
| 2. სპორტინგი | 6 | 4 | 0 | 2 | 8-8 | 12 |
| 3. შახტარი | 6 | 3 | 0 | 3 | 11-7 | 9 |
| 4. ბაზელი | 6 | 0 | 1 | 5 | 2-16 | 1 |

### D ჯგუფი

#### ეინდჰოვენი-ლივერპული 1:3

**ეინდჰოვენი:** ისაქსონი, კულინა, ბრეშე, მარსელისი, სალსიდო, სიმონსი, ბაკალი (83. ნიილანდი), დჟუდჩაკი, ამრაბატი (72. კოვერმანსი), მენდესი (80. მანკო), ლაზოვიჩი.

**ლივერპული:** დიეგო კავალიერი, არბელოა (69. დარბი), კარაგერი (82. კელი), აგერი, დოსენა, მასკერანო, ლუკასი, ბაბელი, ნგოგი, რიერა (76. სპირინგი), კინი.

**გოლები:** 1:0 ლაზოვიჩი (36), 1:1 ბაბელი (45+2), 1:2 რიერა (68), 1:3 ნგოგი (77)

**მსაჯი:** ნიკოლაი ივანოვი (რუსეთი)

**მაყურებელი:** 30 000

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ლივერპული

პირველი ჯარიმა: ეინდჰოვენი

პირველი კუთხური: ლივერპული

პირველი გაფრთხილება: ლივერპული

| | | |
|---|---|---|
| 11(5) | დარტყმა | 15(4) |
| 19 | ჯარიმა | 15 |
| 3 | კუთხური | 1 |
| 3 | თამაშგარე | 2 |
| 2 | გაფრთხილება | 3 |
| 51% | ბურთის ფლობა | 49% |

#### მარსელი-ატლეტიკო 0:0

**მარსელი:** მანდანდა, ბონარი, ზუბარი, ჰილტონი, ტაივო, ზიანი (77. კაბორე), კანა, ბენ არფა, ზენდენი, ბ. კონე (80. ბენ. შეირუ), სამასა (27. ვალბუენა).

**ატლეტიკო:** კუპე, სეიტარიდისი, პაბლო, პერეა, ანტონიო ლოპესი, რაულ გარსია, ბანეგა, მაქსი როდრიგესი (62. მანიშე), ლუის გარსია (77. დე ლას კუევასი), აგუერო (55. ფორლანი), სინამა-პონგოლე.

**მსაჯი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

**მაყურებელი:** 40 000

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: მარსელი

პირველი ჯარიმა: მარსელი

პირველი კუთხური: მარსელი

პირველი გაფრთხილება: მარსელი

| | | |
|---|---|---|
| 20(4) | დარტყმა | 1(0) |
| 12 | ჯარიმა | 14 |
| 13 | კუთხური | 0 |
| 2 | თამაშგარე | 4 |
| 1 | გაფრთხილება | 4 |
| 53% | ბურთის ფლობა | 47% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლივერპული | 6 | 4 | 2 | 0 | 11-5 | 14 |
| 2. ატლეტიკო | 6 | 3 | 3 | 0 | 9-4 | 12 |
| 3. მარსელი | 6 | 1 | 1 | 4 | 5-7 | 4 |
| 4. ეინდჰოვენი | 6 | 1 | 0 | 5 | 5-14 | 3 |

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

#### ინგლისი

**ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ბარნსლი-კარდიფი | 2:2 |
| ჩარლტონი-ქოვენთრი | 1:2 |
| ნოტინგემი-შეფილდი | 0:1 |
| პლიმუტი-ბირმინგემი | 0:1 |
| პრესტონი-დონკასტერი | 1:0 |
| უენსდი-ქუინზ პარკი | 1:0 |
| სუონსი-ბარნსლი | 2:2 |
| ვულვზი-დერბი | 3:0 |
| რედინგი-ბლეკპული | 1:0 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ბაროუ-ალტრინჩემი | 2:2 |
| ბარტონი-კემბრიჯი | 3:1 |
| ისტბურნი-ტორკი | 4:2 |
| ებსფლიტი-ფორესტ გრინი | 0:1 |
| ჰისტონი-იორკი | 1:1 |
| კიდერმინსტერი-მენსფილდი | 2:0 |
| სალისბერი-ლიუესი | 1:2 |
| სტევენეიჯი-გრეისი | 0:0 |
| უეიმაუთი-ოქსფორდი | 2:2 |
| უოკინგი-რაშდენი | 1:1 |

#### ინგლისის თასი

| | |
|---|---|
| ჩესტერფილდი-დროილსდენი | 2:2 |
| სტოკპორტი-ჯილინგემი | 1:2 |
| ტრანმერი-პიტერბრო | 1:2 |

#### შოტლანდიის თასი

| | |
|---|---|
| ალოა-რეითი | 2:1 |
| დამბარტონი-როსი | გადაიდო |
| ინვერური-ვეილი | გადაიდო |

### კალათბურთი

#### ევროლიგა

| | |
|---|---|
| ალბა-ფენერბაჰჩე | 72:63 |

#### ევროჩელენჯი

| | |
|---|---|
| სუმიხიმპრომი-შოლე | 81:82 |
| ტრიუმფი-კალევი | 75:59 |
| ურალ გრეიტი-კერავნოსი | 85:64 |
| ზაგრები-დექსია | 66:84 |
| ტარტუ-ოსტენდე | 87:83 |
| ჰაპოელი-ოლდენბურგი | 81:88 |
| აელ-გმუნდენი | 86:62 |
| ოლიმპია-ამსტერდამი | 77:73 |
| სკაილაინერსი-კიევი | 58:66 |
| ფრიბურგი-ლოკომოტივი | 61:69 |
| ეიფელ ტაუერსი-შაულიაი | 96:82 |
| ვირტუსი-ცსკა ვვს | 75:69 |
| ლიეჟი-ენერგა | 89:64 |

#### ევროთასი

| | |
|---|---|
| აზოვმაში-რეტუვოს რიტასი | 76:66 |
| უნიქსი-დინამო (მ) | 80:71 |
| ჟელეზნიკი-ფორტიტუდო | 59:70 |
| ნიმბურკი-ბილბაო | 79:92 |
| პანელინიოსი-ბნეი ჰაშარონი | 85:70 |
| აკადემიკი-ბარონსი | 75:88 |
| ბეშიქთაში-ხიმკი | 69:71 |
| ბუდუჩნოსტი-ჰემოფარმი | 70:59 |
| ასკ რიგა-მარუსი | 84:70 |
| ცრ. ზვეზდა-ტუროვი | 97:69 |
| არისი-ტურკ ტელეკომი | 79:75 |
| შარლერუა-ბამბერგი | 64:62 |
| რუანი-ზადარი | 66:84 |
| ბენეტონი-ჰავრი | 91:67 |
| ვალენსია-ერტლანდი | 84:67 |
| გრან კანარია-ვილერბანი | 78:80 |

### ხელბურთი

#### ევროპის ჩემპიონატი

**ქალები**

| | |
|---|---|
| უნგრეთი-უკრაინა | 26:24 |
| რუმინეთი-ესპანეთი | 18:26 |

### ჰოკეი

#### კჰლ

| | |
|---|---|
| სიბირი-ტორპედო | 4:4 |
| ლადა-დინამო (რ) | 0:1 |
| აკ ბარსი-დინამო (მნ) | 2:1 |
| ნეფტეხიმიკი-დინამო (მ) | 6:2 |

#### ავსტრია

| | |
|---|---|
| აკრონი-ინსბრუკი | 3:4 |
| ვილახი-გრაცი | 3:0 |
| კლაგენფიურტი-ვენა | 2:0 |
| ლინცი-ზალცბურგი | 2:3 |
| ოლიმპია-ალბა | 3:1 |

#### გერმანია

| | |
|---|---|
| ჰანოვერი-დუისბურგი | 10:4 |

#### დანია

| | |
|---|---|
| ჰერნინგი-ტოტემპო | 4:1 |
| ნორდსილანდი-როდოვრე | 3:6 |
| სენდერიისკი-ოდენსე | 4:2 |
| ჰერლევი-ოლბორგი | 1:4 |
| ესბერგი-ფრედერიკსჰავნი | 5:2 |

#### ნორვეგია

| | |
|---|---|
| ლორენსკოგი-ფრისკ ასკერი | 1:3 |
| სტიორნენი-ვოლერენგა | 4:4 |

#### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| ბისტრიცა-ზვოლენი | 1:3 |
| ჟილინა-მარტინი | 4:2 |
| კეჟმაროკი-ნიტრა | 1:2 |
| კოშიცე-პოპრადი | 5:1 |
| ტრენჩინი-სკალიცა | 5:2 |
| სლოვანი-მიკულაში | 5:1 |

#### ფინეთი

| | |
|---|---|
| ილვესი-სეიპა | 4:1 |
| კალპა-ტპს | 6:3 |
| ლუკო-კერპეტი | 2:0 |
| პელიკანსი-იოკერიტი | 1:2 |
| ჰიფკ-ჰპკ | 0:5 |
| ესეტი-ტაპარა | 0:6 |

#### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-ბოლესლავი | 3:2 |
| კლადნო-კარლოვი ვარი | 4:4 |

#### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ჟენევა-კლოტენი | 4:5 |

#### შვედეთი

| | |
|---|---|
| ლულეო-აიკ | 2:1 |
| სიოდერტალე-ტიმრა | 3:2 |

## TV სპორტი

### 10 დეკემბერი. ოთხშაბათი

#### რუსთავი 2

23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ლიონი-ბაიერნი (LIVE).

02:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. პორტუ-არსენალი.

#### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

08:00 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.

09:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

11:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ჩელსი-კლუჟი.

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

13:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. რომა-ბორდო.

15:15 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. პანათინაიკოსი-ანორთოსისი.

17:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

17:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ეინდჰოვენი-ლივერპული.

19:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მარსელი-ატლეტიკო.

21:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.

21:35 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ვერდერი-ინტერი.

23:30 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).

01:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. იუვენტუსი-ბატე.

03:50 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ლიონი-ბაიერნი.

05:55 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.

06:55 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დინამო-ფენერბაჰჩე.

#### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ვოლფსბურგი-ჰანოვერი.

09:45 კალათბურთი.

09:55 ფეხბურთი. კოპა სუდამერიკანა. მიმოხილვა.

10:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის მიმოხილვა.

11:40 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.

12:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ვერდერი-ინტერი.

14:00 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. პანათინაიკოსი-ანორთოსისი.

15:50 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. რომა-ბორდო.

17:40 სპორტინფორმი - ახალი ამბები.

17:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დინამო-ფენერბაჰჩე.

17:55 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ჩელსი-კლუჟი.

19:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის მიმოხილვა.

21:00 სპორტინფორმი - ახალი ამბები.

21:05 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.

21:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. დინამო-ფენერბაჰჩე.

21:45 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.

22:10 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის წინ.

23:25 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ლიონი-ბაიერნი (LIVE).

03:25 ფეხბურთი. პრემიერლიგის სამყარო.

04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ატლანტა-რეინჯერსი (LIVE).

06:45 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.

07:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ვერდერი-ინტერი.

#### EUROSPORT

11:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრიტანეთი.

12:30 ქიორლინგი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. შვედეთი-გერმანია. შვედეთი (LIVE).

15:00 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. კაცები. ოსტერსუნდი. შვედეთი.

15:45 ბიატლონი. მსოფლიოს თასი. რბოლა გამოდევნებით. ქალები. ოსტერსუნდი. შვედეთი.

16:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS131. ტრონდჰეიმი. ნორვეგია.

18:00 ქიორლინგი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. შოტლანდია-გერმანია. შვედეთი (LIVE).

20:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. გრანპრის სუპერსერია. ნორვეგია.

21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.

21:15 ტიმბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ირლანდია.

22:15 სპორტული მეგზური

22:30 ქიორლინგი. ევროპის ჩემპიონატი. კაცები. ჯგუფური ტურნირი. შვედეთი (LIVE).

00:30 მულტისპორტი.

01:05 ცხენოსნობა. TOP10. ბრიუსელი. ბელგია.

02:05 ცხენოსნობა. ახალი ამბები.

02:10 გოლფ-კლუბი.

01:30 აფროსნობა. Volvo Ocean-ის რბოლა.

01:45 აფროსნობა. იახტ-კლუბი.

02:50 მულტისპორტი.

03:30 რალი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ბრიტანეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმულა 1

# სცენაზე პეჟო გამოდის



ფინანსური კრიზისი, რომელმაც მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული სარბოლო სერია მოიცვა, დღეს ყველაზე ფართოდ განსახილველი თემაა. ცნობილია, რომ შექმნილმა რთულმა სიტუაციამ უკვე შეიწირა იაპონური საჯინიბო „ჰონდა", მაგრამ როგორც ფორმულას წრეებში ლაპარაკობენ, ეს ჯერ მხოლოდ დასაწყისია. „უილიამსის" აღმასრულებელი დირექტორის **ადამ პარას** აზრით, „დიდი პრიზი", შესაძლოა, სხვა საჯინიბოებმაც დატოვონ.

*„მიმაჩნია, რომ აღნიშნულ კრიზისს კიდევ რამდენიმე გუნდი ვერ გადაურჩება, თანაც ეს ყველაფერი, შესაძლოა, უახლოეს პერიოდში მოხდეს"*, - მოჰყავს პარას სიტყვები „ავტოსპორტს".

შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით, „უილიამსის" ერთ-ერთი შეფი საინტერესო წინადადებით გამოდის - მას სურს, რომ რბოლების სანახაობრივი მხარის შესანარჩუნებლად, ჩემპიონატში დარჩენილ გუნდებს ტრასაზე სამი ბოლიდის გამოყვანის უფლება მისცენ. *„გაჩნდა იმის შანსი, რომ თითოეულმა საჯინიბომ ყოველი ეტაპის დროს სამი ავტომობილი წარმოადგინოს. იმ შემთხვევაში, თუ ჩემპიონატში რვა გუნდი დარჩება, ტრასაზე 24 ბოლიდის ხილვის საშუალება გვექნება. ასე რომ, წინა სეზონისგან განსხვავებით, მანქანების რაოდენობა მეტი იქნება"*, - ამბობს პარა.

„ფორს ინდიას" ყოფილი შეფი **კოლინ კოლესი** ეთანხმება იმას, რომ „ჰონდას" ბედს, სავარაუდოდ, სხვა გუნდებიც გაიზიარებენ: *„დღეისათვის, გუნდების უმეტეს ნაწილს ყოფნა-არყოფნის საკითხი უდგათ"*.

პარასა და კოელსს მხარს უბამს ლეგენდარული ავსტრიელი **ნიკი ლაუდა:** *„ძალიან ხშირად ხდება ისე, რომ თოვლის პატარა გუნდა ზვავად იქცევა ხოლმე"*.

უნდა აღინიშნოს, რომ გუნდის ჩემპიონატიდან გასვლა არა მარტო პილოტებს, არამედ მთელ ტექნიკურ პერსონალს აზარალებს, ამიტომაც მსგავს სიტუაციებში, მხოლოდ ერთ გუნდში უმუშევართა რაოდენობა დაახლოებით 800 ადამიანს უტოლდება.

ამასობაში, პრესა „ჰონდა რეისინგის" შეძენის კიდევ ერთ მსურველზე ალაპარაკდა. არ არის გამორიცხული, იაპონური გუნდის ადგილი ფრანგულმა კონცერნმა „პეჟო-სიტროენმა" დაიკავოს.

ფრანგი ავტომწარმოებლები შეიძლება იმით მოიხიბლონ, რომ ფორმულა 1-ში ხარჯების მაქსიმალურად შემცირება იგეგმება, გარდა ამისა, „ჰონდა რეისინგის" სახით, ისინი გამზადებულ ბაზას მიიღებენ.

„პეჟოს" ადრე ჰქონდა ფორმულა 1-თან შეხება - 90-იან წლებში ამ ფირმის ძრავებით „მაკლარენი", „ჯორდანი" და „პროსტი" სარგებლობდნენ.

შეგახსენებთ, რომ ორი დღის წინ, „ჰონდას" შეძენის სურვილი გამოთქვა „პროდრაივმა" და მისმა შეფმა **დეივ რიჩარდსმა.**



**ინგლისის** ნაკრების ნახევარმცველი **დევიდ ბექჰემი** ექსტრემალური სპორტის მოყვარულიც ყოფილა. დევიდმა ახალი ზელანდიის დედაქალაქ ოკლენდის ერთ-ერთი ხიდიდან მეტად სახიფათო ნახტომი შეასრულა.

ფეხბურთი

# ექსტრემალი ბექჰემი

ბექჰემი ზელანდიაში თავის გუნდთან „ლოს ანჯელეს გელაქსისთან" ერთად არის ჩასული. ყველასთვის მოულოდნელად, ინგლისელმა სპეციალური თასმებით Auckland Harbour-ის ხიდიდან გადახტომა მოინდომა. ატრაქციონთან ახლოს მყოფმა ოკლენდელებმა თავიდან ვერ იცნეს ფეხბურთის ვარსკვლავი, მაგრამ როცა გაიგეს, ვისთან ჰქონდათ საქმე, მაშინვე ხიდის გარშემო შეიკრიბნენ და ბექჰემს გამხნევება დაუწყეს. დევიდის თანაგუნდელებმა კი ათამდე უკუღმა დაითვალეს და ამის შემდეგ ფეხბურთელმა თავისი პირველი ნახტომი შეასრულა.

ბექჰემი მეორეჯერაც ავიდა ხიდზე, ოღონდ ფეხებზე გამობმული ელასტიური ტროსის დაგრძელება მოითხოვა. ასე რომ, მეორე ცდაზე მას წყალთან შეხების საშუალება მიეცა.

ჩოგბურთი

# ფერკერკმა თამაში დაამთავრა

ჰოლანდიელმა ჩოგბურთელმა **მარტინ ფერკერკმა** 30 წლის ასაკში პროფესიული კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

ფერკერკი ამჟამად 263-ე ადგილს იკავებს ATP-ის კლასიფიკაციაში. თავისი კარიერის მწვერვალზე ყოფნისას, ჰოლანდიელი რეიტინგში მე-14 ადგილზე იმყოფებოდა. ამ წარმატებას მარტინმა 2003 წლის შემოდგომაზე მიაღწია.

ფერკერკმა თავისი გადაწყვეტილების მიზეზად ძველ სათამაშო დონეზე გასვლის უიმედო მცდელობა დაასახელა. ჰოლანდიელი ორი წლის განმავლობაში ცდილობდა საჩოგბურთო ელიტაში დაბრუნებას, მაგრამ რადგან მის მონდომებას შედეგი არ მოჰყვა, ჩოგბურთელს არც მოტივაცია და არც კარიერის გაგრძელების სურვილი აღარ დარჩა.

*"დავრწმუნდი, რომ ვეღარასოდეს მოვახერხებ ძველებურად მაღალ დონეზე თამაშს"*, - მოჰყავს ფერკერკის სიტყვები სააგენტო "როიტერს".

ჰოლანდიელის საუკეთესო შედეგად 2003 წელს, საფრანგეთის ღია პირველობის ფინალში გასვლა ითვლება. მაშინ მან გადამწყვეტი მატჩი ესპანელ **ხუან კარლოს ფერეროსთან** წააგო.

12-წლიან კარიერაში ფერკერკს მამაკაცთა პროფესიული ტურის ორი ტურნირი აქვს მოგებული: ჰოლანდიის ამერსფორტსა (2004) და მილანში (2003).



გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

კრივი



# მეივეზერი პაკიაოსთვის დაბრუნდება

**ხუთ** წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი **ფლოიდ მეივეზერი** პროფესიულ კრივში დაბრუნებაზე დაფიქრდა. ლეგენდარულ მოკრივეს რინგზე გასვლის სურვილი ფილიპინელმა **მენი პაკიაომ** აღუძრა, რომელმაც გასულ შაბათს "წლის ბრძოლაში" **ოსკარ დე ლა ჰოია** დაამარცხა.

ეს ინფორმაცია პრესას მოკრივის ოჯახის წევრებმა შეატყობინეს. თურმე, პაკიაოსა და დე ლა ჰოიას ბრძოლის შემდეგ მეივეზერმა თავის დას დაურეკა და გამოუცხადა, რომ პროფესიული კარიერის განახლებას აპირებს.

გარდა ამისა, ფლოიდი თავის მამასთან და ყოფილ მწვრთნელთან **ფლოიდ მეივეზერ-უფროსთან** დაკავშირებასაც ცდილობდა, რომელთანაც შვიდი წელია ურთიერთობა არ ჰქონია. მოკრივის თქმით, პაკიაოსთან ბრძოლაში მას შეუძლია გრანდიოზული თანხა გამოიმუშაოს, რომელიც სავსებით ეყოფოდა მას და მის ყოფილ მწვრთნელებს - მამასა და ბაბუა **როჯერ მეივეზერს**. ფლოიდს სურს, რომ "პაკმენთან" სავარაუდო ბრძოლისთვის სწორედ მამამ მოამზადოს

მაგრამ თავად მეივეზერ-უფროსს მიაჩნია, რომ მის ვაჟს უბრალოდ ემოციების მოჭარბება ჰქონდა და სანამ მათ შორის კონტრაქტი არ გაფორმდება, თანამშრომლობაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. *"რა თქმა უნდა, ის ჩემი შვილია, მაგრამ კონტრაქტის გაფორმება აუცილებელია, რადგან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იგრძნობს ის პასუხისმგებლობას*, - ამბობს მეივეზერი-უფროსი. - *ადრე ჩვენ შორის ხელშეკრულება არ არსებობდა, მაგრამ მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ყველაფერი ასე ცუდად დასრულდებოდა. ჩემს ვაჟს დიდ თანხას არ მოვთხოვ, რადგან საკმარისად მდიდარი ვარ. ზუსტად იმდენი დამჭირდება, რომ სიცოცხლის ბოლომდე უზრუნველად მივიდე"*.



გამოვიდა დეკემბრის ნომერი